

ბავშვის აღზრდის პრაქტიკა საქართველოში

მრავალინდიკატერული კლასტერული კვლევა



დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



ჩაღრმავებული ანალიზი მომზადდა საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კვლევების ასოციაცია (EPRA)-ს მიერ, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის ბაზაზე. მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა ჩატარდა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევის ფინანსურ მხარდაჭერას ასევე უზრუნველყოფდნენ: შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SIDA), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD), შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SDC), გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO), მსოფლიო ბანკი და იტალიის ეროვნული ჯანდაცვის ინსტიტუტი.

პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი სრულიად არაა აუცილებელი ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის და დონორი ორგანიზაციების ოფიციალურ თვალსაზრისს.

© გაეროს ბავშვთა ფონდი, ნოემბერი 2020 წ.

მოკლე მიმოხილვა	6
შესავალი	13
დისციპლინა ბავშვის აღზრდისას და ბავშვზე ძალადობა –	
საზღვრების ძიებაში	14
ბავშვის აღზრდისადმი მიდგომების ტაქსონომია - მიზნები და ფორმები	16
ბავშვის მიმართ გამოყენებული დისციპლინის პრაქტიკის გაზომვა და შეფასება –	
კომპლექსური ამოცანა	18
მშობლისა და ბავშვის კონფლიქტის ტაქტიკის სკალა	21
მეთოდოლოგია	22
კონცეპტუალური ჩარჩო და ანალიზის განზომილებები	22
მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა საქართველოში	23
შერჩევის დიზაინი	24
კითხვარები	24
ეთიკის პროტოკოლი	25
ბავშვის მიმართ გამოყენებული დისციპლინის მოდული მრავალინდიკატორულ	
კლასტერულ კვლევაში	26
გაზომვის სკალები	26
მშობლების მიერ ბავშვის მიმართ გამოყენებული	
დისციპლინა საქართველოში	28
ბავშვის მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმები	28
აღზრდის სხვადასხვა მეთოდის კომბინაციები	29
დამოკიდებულება ფიზიკური დასჯის მიმართ	30
აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენებასთან	
დაკავშირებული ფაქტორები	33
საცხოვრებელი ადგილი	33
ქალაქში ან სოფლად ცხოვრება	33
რეგიონები	34
ბავშვის მახასიათებლები	36
ბავშვის ასაკი	36

ბავშვის სქესი	37
ბავშვის ფუნქციური სირთულეები	38
შინამეურნეობა	38
შინამეურნეობის მატერიალური მდგომარეობა	38
შინამეურნეობის უფროსის ეთნიკური წარმომავლობა	40
ოჯახის უფროსის დევნილის სტატუსი	41
შინამეურნეობაში ცხოვრობს ორივე მშობელი	42
შინამეურნეობის ზომა და სიმჭიდროვე	43
მეურვეები და მშობლები	45
მეურვის განათლება	45
მეურვის ფუნქციური სირთულეები	45
კეთილდღეობის სუბიექტური აღქმა მშობლის/მეურვის მიერ	46
მშობელი - დისკრიმინაციის მსხვერპლი	47
ძალადობრივი დისციპლინა და მშობლობის პრაქტიკა	48
წიგნები სახლში	48
პოზიტიური მშობლობა და ადრეული განვითარების ხელშეწყობა	49
ბავშვებზე მეთვალყურეობა	50
დახმარება საშინაო დავალების შესრულებაში	50
ძალადობრივი დისციპლინა და ბავშვის განვითარება	52
ბავშვის ადრეული განვითარება	52
განვითარება უფროსი ასაკის ბავშვებში	53
ძირითადი მიგნებები და დასკვნები	55
რეკომენდაციები	60
პოლიტიკის სფერო – სამომავლო ნაბიჯები	60
ცოდნის ბაზის ფორმირება – ამოცანები მკვლევართათვის	63
კვლევასა და პრაქტიკას შორის კავშირის გაძლიერება	64
დანართები	65
დანართი 1: პოზიტიური მშობლობის სარგებელი და უპირატესობა	65
დანართი 2: პოზიტიური მშობლობის პროგრამების მაგალითები	68
დანართი 3: ბავშვის დისციპლინის საზომი რამდენიმე ინსტრუმენტი	72
დანართი 4: ტექნიკური შენიშვნები ანალიზის შესახებ	75
დანართი 5: დამატებითი ცხრილები	77

წინამდებარე ანგარიშში წარმოგენილია საქართველოში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შედეგები. ეს არის ქვეყანაში მშობლების მიერ გამოყენებული ძალადობრივი დისციპლინის - ბავშვთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ფორმის - შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და სისტემური ანალიზის პირველი ფართომასშტაბიანი მცდელობა.

მონაცემთა შეგროვებაში გარკვეული შეზღუდვებისა და თვითშეფასებაზე დაფუძნებული გამოკითხვისათვის დამახასიათებელი შესაძლო მიკერძოების მიუხედავად, მშობელთა და მეურვეთა მიერ მონოდედებული ინფორმაცია გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის პრობლემის მასშტაბის, მიზეზებისა და შედეგების შესახებ.

დოკუმენტის მიზანია, მეტი ინფორმაცია მიანოდოს მკვლევრებსა და საზოგადოებას საქართველოში ბავშვის აღზრდის ძალადობრივი მეთოდების შესახებ და ხელი შეუწყოს ამ ეტაპისათვის ფრაგმენტული ძალისხმევის გაერთიანებას ამ მნიშვნელოვანი პრობლემის მოსაგვარებლად.

კვლევის მიზნობრივი ჯგუფები და ძირითადი საკვლევო კითხვები

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შექმნილი და მისი მხარდაჭერით ჩატარებული შინამეურნეობების ერთ-ერთი ყველაზე დიდი საერთაშორისო კვლევაა მსოფლიოში. კვლევა მოიცავს ძირითად ინდიკატორებს, რომლებიც გამოიყენება შინამეურნეობების, განსაკუთრებით კი ბავშვების და ქალების, მდგომარეობის შესაფასებლად.

ამ ანგარიშში მიმოხილულია მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის კომპლექსური მონაცემთა ბაზის მხოლოდ ის კომპონენტები, რომლებიც მშობელთა მიერ გამოყენებული აღზრდის მეთოდებს და მშობლობის პრაქტიკაზე მოქმედ ფაქტორებს ეხება.

2018 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის დიზაინი იმგვარად შემუშავდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მონაცემთა განზოგადება მთლიანად საქართველოზე და, ასევე, სოფლისა და ქალაქის, ისევე, როგორც საქართველოს რეგიონების მიხედვით სურათის დანახვა. მთლიანი შერჩევის ზომა 14 120 შინამეურნეობას მოიცავდა.

მშობლობის პრაქტიკის აღწერისათვის ბავშვთა აღზრდის მრავალფეროვანი სტრატეგიები და მიდგომები მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის ინსტრუმენტებში ორ მსხვილ კატეგორიად არის გაერთიანებული: ძალადობრივ და არაძალადობრივ მეთოდებად. ძალადობრივი მეთოდები, თავის მხრივ, ორ ქვეჯგუფს მოიცავს - ფიზიკურ დასჯასა და ფსიქოლოგიურ აგრესიას.

ანგარიშში წარმოდგენილი მიგნებები ორ მთავარ კითხვას პასუხობს:

- როგორია საქართველოში სურათი ბავშვთა აღზრდის სხვადასხვა მეთოდის (მათ შორის ძალადობრივი მეთოდების) გამოყენების თვალსაზრისით?
- რომელ ფაქტორებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ბავშვთა აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენება საქართველოში?

ძირითადი მიდგომა

მშობლობასთან დაკავშირებული გადანაცვებულებების, მოტივებისა და პრაქტიკის სიღრმისეული გაგებისთვის მნიშვნელოვანია მშობლების ქცევის უფრო ფართო კონტექსტში გააზრება.

შესაბამისად, ანგარიშის კონცეპტუალური ჩარჩო მიმოიხილავს მშობლობის პრაქტიკაზე მოქმედ ფაქტორებს ეკოლოგიური პარადიგმის ფარგლებში და შეისწავლის მშობლობის პრაქტიკის ურთიერთმიმართებას ბავშვის, აღზრდელის, შინამეურნეობისა და გარემოს სხვადასხვა მახასიათებელთან.

ანგარიში არ აჩვენებს მიზეზშედეგობრივ კავშირებს ფაქტორებს შორის - მისი მიზანია, წარმოაჩინოს ამ ფაქტორებს შორის რთული ურთიერთკავშირი.

ანგარიშის მთავარი გზავნილიც, შესაბამისად, ის არის, რომ მშობლობის ძალადობრივი პრაქტიკა კომპლექსური ფენომენია, მრავალი მიზეზითა და შედეგით, რომელთან ბრძოლა ეკოსისტემის სხვადასხვა დონეზე კოორდინირებულ ძალისხმევას მოითხოვს.

მნიშვნელოვანი მიგნებები

მსოფლიოს ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად, აღზრდის ძალადობრივი მეთოდები ძალიან გავრცელებულია საქართველოში. კვლევის განხორციელებამდე ერთი თვის განმავლობაში:

- ბავშვების (ასაკი - 1-14 წელი) დაახლოებით 70%-ს გამოუცდია ძალადობრივი აღზრდის სულ მცირე ერთი ფორმა;
- ბავშვების 66% იყო ფსიქოლოგიური აგრესიის მსხვერპლი, ხოლო 31% ფიზიკური დასჯის;
- ბავშვების 5% მძიმე ფიზიკური დასჯის მსხვერპლთა კატეგორიას განეკუთვნება;
- თითქმის ყველა მშობელი (90%-ზე მეტი) მიმართავდა აღზრდის არა ძალადობრივ ფორმებს, თუმცა ეს ფორმები, ხშირ შემთხვევაში, აღზრდის ძალადობრივ ფორმებთან კომბინაციაში გამოიყენებოდა;
- ბავშვების მხოლოდ 28%-ის მიმართ გამოიყენებოდა მარტო არაძალადობრივი აღზრდის მეთოდები;
- დისციპლინის ძალადობრივი ფორმების დეტალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ შინამეურნეობების ნახევარზე მეტში ბავშვებს უყვიროდნენ, ბავშვების 20%-ს კი სილა გააწნეს ან დაარტყეს.

უმცროსი ასაკისა და ფუნქციური სირთულეების მქონე ბავშვების მიმართ ძალადობრივი მეთოდების გამოყენების რისკი გაცილებით მაღალია:

- ძალადობრივი დისციპლინა უფრო გავრცელებულია უმცროსი ასაკის ბავშვებში. ფიზიკური დასჯისათვის პიკი 3-4 წლის ასაკია, ხოლო ფსიქოლოგიური აგრესიისათვის 5-9 წლის ასაკი.

- ბიჭებში ძალადობრივი დისციპლინის გამოყენების რისკი ოდნავ უფრო მაღალია, ვიდრე გოგონებში, მაგრამ, როგორც მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში, ეს განსხვავებები საქართველოშიც მცირეა.
- სქესისგან განსხვავებით, ბავშვების ფუნქციური სირთულეები ძალადობრივი დისციპლინის გამოყენების ძალიან ძლიერი პრედიქტორია. მძიმე ფიზიკური დასჯის მსხვერპლთა კონკრეტულ ქვეჯგუფში ძირითადი ცვლადების გაკონტროლების შემდეგ დადგინდა, რომ მსხვერპლად ქცევის შანსი სამჯერ უფრო მაღალია ფუნქციური სირთულეების მქონე ბავშვებისთვის ფუნქციური სირთულეების არმქონე ბავშვთა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

ძალადობრივი დისციპლინის საერთო გავრცელების ფონზე საქართველოში იკვეთება გარკვეული განსხვავებები შინამეურნეობის მახასიათებლების მიხედვით, როგორცაა ადგილმდებარეობა, ოჯახის უფროსის მახასიათებლები და ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი:

- ძალადობრივი დისციპლინის გამოყენების მაჩვენებელი თბილისთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალია ოთხ რეგიონში: ქვემო და შიდა ქართლში, აჭარასა და გურიაში;
- შინამეურნეობის უფროსის ეთნიკური წარმომავლობა ხსნის ძალადობრივი დისციპლინის მაჩვენებლებში ქვემო ქართლსა და თბილისს შორის არსებული განსხვავებების უდიდეს ნაწილს;
- ოჯახის უფროსის იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი შინამეურნეობაში ძალადობრივი დისციპლინის გამოყენების უფრო მაღალ ალბათობასთან ასოცირდება;
- რაც უფრო დიდია შინამეურნეობის სიმჭიდროვე, მით უფრო მაღალია ძალადობრივი დისციპლინის მეთოდების გამოყენების რისკი (შინამეურნეობის სიმჭიდროვე გამოითვალა როგორც ოჯახის წევრთა საერთო რაოდენობის შეფარდება საცხოვრებელში საძინებლების რაოდენობასთან);
- უფრო მდიდარი ოჯახები ნაკლებად იყენებენ შვილების ფიზიკური დასჯის მეთოდებს, ვიდრე ღარიბი ოჯახები.

საქართველოში ძალადობრივი დისციპლინის მაჩვენებლები აღმზრდელის მახასიათებლებს - განათლების დონეს, ფუნქციურ სირთულეებს და კეთილდღეობის სუბიექტურ აღქმას - უკავშირდება:

- სხვა მრავალი ქვეყნის მსგავსად, უმაღლესი განათლების მქონე მშობლები ნაკლებად იყენებენ ძალადობრივი დისციპლინის მეთოდებს საქართველოში;
- აღმზრდელის ფუნქციური სირთულეები ბავშვთა მიმართ ძალადობრივი დისციპლინის გამოყენების რისკის ფაქტორია;

- ძალადობრივი დისციპლინის გამოყენების ერთ-ერთი პრედიქტორია აღმზრდელის მიერ საკუთარი კეთილდღეობის სუბიექტური აღქმა - ის მშობლები, ვინც თავს ბედნიერად მიიჩნევს, ნაკლებად იყენებენ ძალადობრივი დისციპლინის მეთოდებს;
- ბავშვები უფრო ხშირად განიცდიან ძალადობრივ დისციპლინას, თუ მათი აღმზრდელები თავს დისკრიმინაციისა და შევიწროების მსხვერპლად მიიჩნევენ.

ბავშვები, რომელთა მიმართ ძალადობრივ დისციპლინას იყენებენ, ასევე უფრო ხშირად განიცდიან პოზიტიური აღზრდის სხვადასხვა ფორმის ნაკლებობას:

- ძალადობრივი დისციპლინის მაჩვენებელი უფრო მაღალია იმ შინამეურნეობებში, სადაც აღმზრდელები ნაკლებად არიან დაკავებული ისეთი საქმიანობით, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ადრეულ განვითარებას: ბავშვთან ერთად წიგნების კითხვით ან ილუსტრაციების დათვალიერებით, ამბების/ზღაპრების მოყოლით, სიმღერით, ბავშვებთან თამაშით, სეირნობით, დროის ერთად გატარებით, თვლით ან ხატვით;
- ოჯახები, რომლებსაც ნაკლები წიგნი აქვთ, უფრო ხშირად იყენებენ დასჯის ძალადობრივ ფორმებს;
- ის მშობლები, რომლებიც ზედამხედველობის გარეშე ტოვებენ მცირეწლოვან ბავშვებს, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ აგრესიასაც უფრო ხშირად იჩენენ შვილების მიმართ;
- კვლევის ერთ-ერთი საინტერესო დასკვნაა, რომ მშობლები, რომლებიც უფრო მეტად ეხმარებიან შვილებს საშინაო დავალებების შესრულებაში, უფრო მეტი ალბათობით იყენებენ აღზრდის ძალადობრივ მეთოდებსაც. ეს დასკვნა იმაზე მიუთითებს, რომ ბავშვზე ზრუნვის პროცესში მშობლებმა შესაძლოა უნებლიეთ ზიანი მიაყენონ საკუთარ აღსაზრდელებს სწავლაში დახმარების მოტივით და მნიშვნელოვანი შეცდომები დაუშვან ბავშვის აღზრდაში.

კვლევა აჩვენებს ნეგატიურ ურთიერთკავშირს ძალადობრივი დისციპლინის გამოყენებასა და ბავშვის განვითარების დინამიკას შორის:

- ძალადობრივი დისციპლინის მაჩვენებლები უფრო მაღალია იმ ბავშვებში, რომელთა განვითარების დინამიკა არ შეესაბამება ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების ინდექსის (ECDI) ნიშნულებს;
- ანალოგიური ტენდენცია ვლინდება უფროსი ასაკის ბავშვებშიც (5-14 წელი). სწავლის სირთულეების მქონე ბავშვები უფრო ხშირად ხდებიან ფიზიკური დასჯის მსხვერპლნი;
- ასევე, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯა უფრო ხშირია შფოთვითი პრობლემების მქონე ბავშვებში;

- ფიზიკური დასჯისა და ფსიქოლოგიური აგრესიის მაჩვენებლები უფრო მაღალია იმ ბავშვებში, რომლებსაც ქცევის კონტროლის, კონცენტრაციის, ცვლილებების მიღებისა და თანატოლებთან დამეგობრების სირთულეები აღენიშნებათ.

ზოგადად, საქართველოში გამოვლენილი პრობლემებისა და გამოწვევების სპექტრი მსოფლიო ტენდენციების მსგავსია. ქვეყანაში დღეს არსებული სიტუაცია მნიშვნელოვნად არც იმ სურათისგან განსხვავდება, რომელიც ათი წლის წინ დაფიქსირდა.

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დამაიმედებელი მიგნებაა აღზრდის ძალადობრივი მეთოდების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. მშობლების/მეურვეების მხოლოდ 7% მიიჩნევს, რომ ფიზიკური დასჯა ბავშვის აღზრდის აუცილებელი კომპონენტია. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის წინა ციკლებში დაფიქსირებული საერთაშორისო ტენდენციის მსგავსად, საქართველოში მშობელთა დამოკიდებულებები მკვეთრად განსხვავდება რეალური პრაქტიკისგან - ეს მიგნება მიუთითებს, რომ აუცილებელია მშობლებთან და მეურვეებთან მეტი მუშაობა, რათა მათ განუვითარდეთ პოზიტიური მშობლობის პრინციპების გამოყენებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები.

დასკვნები და რეკომენდაციები

ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე გაწეული დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი ინტერვენციების და პრევენციის სტრატეგიებისა და ქმედებების შემუშავებისა და ეფექტიანი მართვისთვის, ისევე, როგორც ბავშვთა ძალადობრივი აღზრდის პრაქტიკის გავრცელების, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ სრულყოფილი ცოდნის ბაზის შექმნისათვის.

ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემის მოგვარება მოითხოვს სისტემურ და თანმიმდევრულ ჩარევას. წარმატების მთავარი წინაპირობებია გრძელვადიანი ხედვის არსებობა, ყველა დაინტერესებული მხარის კოორდინირებული ძალისხმევა და რეფორმების უწყვეტობა.

ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციები ეხმიანება ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ 2020 წლის გლობალური ანგარიშის ზოგად სულისკვეთებას და ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკის ციკლის მართვის მოქნილი, მაგრამ თანმიმდევრული პრაქტიკის მნიშვნელობაზე. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ გადანაცვლებები ეფუძნებოდეს კვლევას როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელებისა და შეფასების ეტაპებზე.

შესაბამისად, ანგარიშში მოცემული რეკომენდაციები სამ მთავარ კატეგორიად არის დაჯგუფებული: პირველი ორი ეხება ორ უმნიშვნელოვანეს განზომილებას - პოლიტიკის შემუშავებასა და კვლევას, ხოლო მესამე კატეგორია ამ ორ მიმართულებას შორის კავშირების გაძლიერებაზე ამახვილებს ყურადღებას.

პოლიტიკის სფერო

- ბავშვთა მიმართ დისციპლინის ძალადობრივი ფორმების გამოყენების ფართო მასშტაბი საქართველოში, ისევე, როგორც ფიზიკური დასჯისადმი დამოკიდებულებასა და რეალურ პრაქტიკას შორის შეუსაბამობა აშკარად მიუთითებს, რომ საჭიროა მშობელთა განათლების მიმართ უფრო კოორდინირებული და სისტემური მიდგომის ჩამოყალიბება.

- ინტერვენციების წარმატების მნიშვნელოვანი წინაპირობაა სამთავრობო უწყებებს შორის ეფექტიანი კოორდინაცია. მნიშვნელოვანია ბავშვთა მიმართ ძალადობის აღკვეთის ზოგადი პრიორიტეტის ფარგლებში საჭირო კომპეტენციებისა და ამოცანების განსაზღვრა, ამ კომპეტენციების განვითარებისათვის მკაფიო ხედვის ჩამოყალიბება და ცვლილებებში ჩართულ უწყებებს შორის პასუხისმგებლობის მკაფიოდ გამიჯვნა.
- სახელმწიფო პროგრამების განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეპყროს მონყვლად ჯგუფებს, როგორცაა დევნილი პირები, მარტოხელა დედები, უმცირესობები და ფუნქციური სირთულეების მქონე ბავშვთა მშობლები.
- მშობლების კეთილდღეობა და ფსიქიკური ჯანმრთელობა ოჯახში დადებითი დისციპლინური პრაქტიკის გამოყენების უმნიშვნელოვანეს წინაპირობად უნდა იქნეს განხილული. მნიშვნელოვანია, რომ, საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად, რისკ-ჯგუფების წარმომადგენელი მშობლებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ფსიქოლოგის კონსულტაცია.
- ბავშვების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე მიმართული პროგრამების პარალელურად უნდა განხორციელდეს სპეციალური პროგრამები ქრონიკული დაავადებებისა და განვითარების სირთულის მქონე ბავშვთა მშობლებისთვის.
- სკოლამდელი დაწესებულებები და სკოლები სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საერთო სივრცეებია, სადაც ერთად იყრიან თავს მშობლები, ბავშვები და მასწავლებლები. შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა განვიხილოთ როგორც სტრატეგიული ობიექტები, სადაც შეიძლება მოისინჯოს და გავრცელდეს მშობლობის საკითხზე ყველა დაინტერესებული მხარის თანამშრომლობის ახალი ეფექტური პროგრამები.
- განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მშობელთა განათლების საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლას აპრობირებული და ვალიდური მიდგომების შესარჩევად. ეს მიდგომები, ამავე დროს, კარგად უნდა ერგებოდეს ადგილობრივ სპეციფიკას.
- საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამების კიდევ ერთი მნიშვნელოვან მიზნობრივ ჯგუფში უნდა შევიდნენ მომავალი მშობლები. ინტერვენციების ეს ქვეჯგუფი დაეხმარება მშობლებს ბავშვის განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიების ათვისებაში. ამ პროგრამების გავრცელებისათვის შესაძლოა გამოყენებული იქნეს ორსული ქალების მონიტორინგის პროგრამები, სამშობიარო სახლები და სამეანო განყოფილებები.
- მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ბავშვებთან და მშობლებთან მომუშავე პროფესიული კადრების გაძლიერება ბავშვთა მიმართ ძალადობის ქმედითი პრევენციის, დადგენისა და ჩარევისთვის. ეს გულისხმობს ადამიანური რესურსების მომზადებისა და გადამზადების პროგრამების სრულყოფას ფსიქოლოგიის, სოციალური სამუშაოს, ოკუპაციური თერაპიის, სკოლამდელი, დაწყებითი და ზოგადი განათლების მასწავლებლის მომზადების სფეროებში.
- კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ინფორმაციის მართვის სისტემების გაუმჯობესება. ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის შესახებ 2020 წლის მსოფლიო ანგარიშის რეკომენდაციების შესაბამისად, მთავრობამ მეტი ინვესტირება უნდა მოახდინოს მიმდინარე პროგრამების მასშტაბის და შედეგების მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მონიტორინგში. უნდა დაბალანსდეს აქცენტები პრობლემების იდენტიფიცირებაზე და პრობლემების მოგვარების შეფასებაზე მიმართულ კვლევებს შორის.

ცოდნის ბაზის შექმნა - ამოცანები მკვლევართათვის

- მეტი ძალისხმევაა საჭირო აღზრდის პრაქტიკის ძირითადი ასპექტების ამსახველი ცვლადების კონცეპტუალიზაციის გაუმჯობესებისთვის. ეს გულისხმობს მონაცემთა შეგროვების მეთოდებს შორის სინერგიის გაუმჯობესებას, მონაცემთა შეგროვების ახალი მეთოდებისა და მიდგომების დანერგვას, სხვადასხვა წყაროდან და სხვადასხვა მეთოდით მიღებული შედეგების ტრიანგულაციით გამოვლენილი გადახრებისა და შეუსაბამობის შესწავლას და ერთიანი კონცეპტუალური ჩარჩოს ჩამოყალიბებას.
- მშობლობის ნეგატიურ, ძალადობრივ პრაქტიკასთან ერთად უკეთესად უნდა გაიზომოს მშობლობის პოზიტიური პრაქტიკაც.
- კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი საზომ ინსტრუმენტებში ბავშვის განვითარების ეტაპებისა და ასაკობრივი თავისებურებების უკეთ გათვალისწინებაა.
- ინსტრუმენტებში შემავალი დებულებები და კითხვები მშობლობის პოზიტიურ პრაქტიკასთან დაკავშირებით ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი პასუხებისას ე.წ. სოციალური სასურველობის რისკი. უნდა გაუმჯობესდეს დისციპლინის საზომი ინსტრუმენტების თავსებადობა სხვადასხვა კულტურულ კონტექსტთან.

კვლევისა და პრაქტიკის დაკავშირება

- კვლევისა და პოლიტიკის შედეგებისა და გავლენის გაზრდის მიზნით საჭიროა ყურადღება მიექცეს ცოდნის წარმოქმნას და გამოყენებას შორის ურთიერთმიმართებას და მათ შორის კავშირის გაძლიერებას.
- მხოლოდ მკვლევრების ძალისხმევა არ არის საკმარისი კვლევის შედეგების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია მკვლევართა და პრაქტიკოსთა ქსელების შექმნა, დამკვეთთა ადრეულ ეტაპზე ჩართვა კვლევითი პროექტების დაგეგმვაში. პოლიტიკის დღის წესრიგის შემქმნელთა მიერ კვლევისა და პრაქტიკის კავშირის გაძლიერება განხილული უნდა იქნეს ძალიან მნიშვნელოვან დამოუკიდებელ ამოცანად, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა ბავშვთა მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენციისა და ბრძოლის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

ბავშვის აღზრდის პოზიტიური პრაქტიკა გულისხმობს, რომ მშობელი დახმარებას უწევს შვილს ემოციებისა და კონფლიქტების მართვაში და, ამასთანავე, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას, სწორი თვითშეფასების ჩამოყალიბებას, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგრადობისა და ღირსების შენარჩუნებას.

მიუხედავად ამისა, ბავშვთა აღზრდა პრაქტიკაში ხშირად მოიცავს დამსჯელობით მეთოდებსაც, რომლებიც ბავშვებში სასურველი ქცევის მისაღწევად ფიზიკური ძალის, სიტყვიერი დაშინების ან შეურაცხყოფის გამოყენებას გულისხმობს.

კვლევები აჩვენებს, რომ ბავშვთა აღზრდისას ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი ზიანი მოჰყვება. აღზრდის ძალადობრივი მეთოდები აფერხებს ბავშვის განვითარებას, უარყოფით გავლენას ახდენს სწავლის უნარის ჩამოყალიბებასა და სწავლის შედეგებზე, ემოციურ ფონზე, იწვევს დეპრესიას, ამცირებს თვითშეფასებას და, ზოგიერთ შემთხვევაში, ზრდის თვითდაზიანების რისკს.¹

საქართველოში, ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, ბავშვთა აღზრდის პრაქტიკის შესახებ მონაცემები მწირია, რაც ართულებს ბავშვთა მიმართ ძალადობის მასშტაბის, მიზეზებისა და შედეგების აღწერასა და ანალიზს. „სანდო ინფორმაციის არსებობა მნიშვნელოვანია ორიენტირების (საბაზისო ნიშნულების) განსაზღვრისთვის და პრევენციისა და მონიტორინგის სტრატეგიების შემუშავებისთვის“.²

2018 წლის მრავალინდიკატორულ კლასტერულ კვლევაში მშობლებსა და აღმზრდელებს დავუსვით კითხვები იმის შესახებ, ბავშვის აღზრდის რომელ კონკრეტულ მეთოდს იყენებდნენ ისინი შინამეურნეობაში ბოლო ერთი თვის განმავლობაში და რამდენად საჭიროდ მიაჩნდათ ფიზიკური დასჯა ბავშვის აღზრდისთვის. კვლევის მიზნობრივ ჯგუფში შედიოდნენ ოჯახში ხუთ წლამდე ასაკის ყველა ბავშვისა და 5-17 წლის ასაკის შემთხვევით შერჩეული ერთი ბავშვის მშობლები ან აღმზრდელები.

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის დისციპლინის მოდული ზომავდა აღზრდის ძალადობრივი და არაძალადობრივი მეთოდების გამოყენებას შინამეურნეობის ყველა წევრის მიერ. ძალადობრივი მეთოდები, თავის მხრივ, იყოფოდა ფსიქოლოგიურ აგრესიად და ფიზიკურ ძალადობად.

ანგარიშში წარმოდგენლია საქართველოში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შედეგები. საწყისი მონაცემთა ბაზის გარდა, რომელიც აღნიშნული კვლევის ბოლო ციკლის განხორციელებისას შეგროვდა, დოკუმენტში გამოყენებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ანგარიში (2018).³ ადგილობრივი სურათის გლობალურ ტენდენციებთან შედარებისას დოკუმენტი ეყრდნობა იუნისეფის შედარებით ანგარიშს², რომელიც დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში ბავშვთა აღზრდისა და დისციპლინის საკითხებს მიმოიხილავს.

1 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2019). საქართველოს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა 2018, ანგარიში კვლევის შედეგების შესახებ. თბილისი, საქართველო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

2 UNICEF (2010). Child Disciplinary Practices at Home: Evidence from a Range of Low- and Middle-Income Countries, New York, 2010. To facilitate comparison, a similar structure and framework of analysis were followed in this report. შედარების გასაადვილებლად წინამდებარე ანგარიშშიც ანალიზის იმავე სტრუქტურას და ჩარჩოს ვეყრდნობით.

3 Ibid. 18.

მოცემული ანგარიშის მიზანია, მეტი ინფორმაცია მიაწოდოს მკვლევრებსა და საზოგადოებას საქართველოში ბავშვის აღზრდის ძალადობრივი მეთოდების შესახებ და გააერთიანოს ამ ეტაპისათვის ფრაგმენტული ძალისხმევა ამ მნიშვნელოვანი პრობლემის მოსაგვარებლად.

დისციპლინა ბავშვის აღზრდისას და ბავშვზე ძალადობა – საზღვრების ძიებაში

ყველა მშობლისა თუ მეურვისთვის უმთავრესი მიზანი ბავშვის ინტერესების დაცვაა, თუმცა ბავშვის აღზრდის კონკრეტული მეთოდების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ მსოფლიოში აზრთა დიდი სხვადასხვაობაა.

სამწუხაროდ, ბავშვის კეთილდღეობაზე ზრუნვა ზოგჯერ აღზრდის ძალადობრივ ფორმებში ვლინდება და აღმზრდელები, ნებისთი თუ უნებლიეთ, საკუთარ შვილებსა თუ აღსაზრდელებს ზიანს აყენებენ.⁴

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ შემუშავებული ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია⁵ საგანგებოდ აღნიშნავს მშობლისა და მეურვის უფლებასა და პასუხისმგებლობას, „სათანადოდ მართავდნენ და ხელმძღვანელობდნენ“ ბავშვის აღზრდას (მუხლი 5).

თუმცა კონვენცია ამავდროულად ადგენს, რომ ბავშვი დაცული უნდა იყოს ყველა ფორმის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტმოქმედებისაგან, უხეშად მოპყრობისგან, ექსპლუატაციისგან, ზრუნვის ნაკლებობისა თუ დაუდევრობისგან (მუხლი 19).

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ბავშვთა მიმართ ცუდად მოპყრობას ანუ ბავშვთა შეურაცხყოფას განმარტავს როგორც „18 წლის ასაკზე უმცროსი ბავშვების მიმართ ძალადობას და მათ უგულებელყოფას. ბავშვთა მიმართ ძალადობა მოიცავს ყველა სახის ფიზიკურ და/ან ემოციურ ცუდად მოპყრობას, შეურაცხყოფას, უგულებელყოფას, უყურადღებობას და ექსპლუატაციას, რომელიც რეალურ ან პოტენციურ ზიანს აყენებს ბავშვის ჯანმრთელობას, მისი გადარჩენის შესაძლებლობას, განვითარებას თუ ღირსებას პასუხისმგებლობის, ნდობის ან ძალაუფლების ურთიერთობის კონტექსტში.“

ამ ფართო განმარტების ფარგლებში მშობლის მიერ ბავშვის აღზრდისას გამოყენებული მრავალი ფორმა და მეთოდი შეიძლება მოექცეს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მშობელი გულწრფელად ხელმძღვანელობს ბავშვის ინტერესებით, ის შეიძლება მას ცუდად ეპყრობოდეს.

ბავშვთა მიმართ ცუდად მოპყრობის ინტერპრეტაცია და აღზრდის ცალკეული ფორმების მიუღებლობის ხარისხი განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში. ეს ფაქტი ართულებს ბავშვის მიმართ ცუდად მოპყრობის და ძალადობრივი დისციპლინის ცნების შემოღებას და, შესაბამისად, აფერხებს აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენების პრევენციისა და მავნე პრაქტიკასთან ბრძოლის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავებას. აღზრდის მეთოდების შესახებ შეხედულებების მრავალფეროვნება ბავშვთა აღზრდის პრინციპებში, ისევე, როგორც სოციალურად მისაღებ ქცევაში კულტურებს შორის განსხვავებებით აიხსნება.⁶

4 American Psychological Association. (2019). Resolution on physical discipline of children by parents.

5 UNICEF. (1989). Convention on the Rights of the Child.

6 UNICEF (2010). „Child Disciplinary Practices at Home“, 18.

შეხედულებებისა და პრაქტიკის ამ მრავალფეროვნების ფონზე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს სანდო ემპირიული მონაცემები ბავშვის აღზრდის კონკრეტული მეთოდების მავნე ზეგავლენის შესახებ.

2019 წელს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციამ მიიღო რეზოლუცია მშობელთა მიერ ბავშვთა აღზრდის ძალადობრივი მეთოდების შესახებ⁷. რეზოლუციაში, ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, აღნიშნულია, რომ ფიზიკური ძალადობის მსუბუქი ფორმებიც კი დაკავშირებულია ბავშვის ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებასა და კოგნიტური, ქცევითი, სოციალური და ემოციური განვითარების შეფერხებასთან:

- ფიზიკური დასჯის გამოყენება ზრდის დროთა განმავლობაში ბავშვის ქცევითი პრობლემების გამოვლენის რისკს. კერძოდ, იზრდება ანთისოციალური ქცევის, აგრესიის გამოვლენის ალბათობა.
- ფიზიკური დასჯა, ასევე, უკავშირდება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს ბავშვებსა და მოზარდებში.
- ნევროლოგიური და ბიოლოგიური კორელატების თვალსაზრისით, ფიზიკური დასჯა უკავშირდება კოგნიტური შესაძლებლობების და თავის ტვინის ნორმალური განვითარების შეფერხებას.
- ფიზიკური დასჯა, ასევე, იწვევს კორტიზოლისა და დოფამინის მოქმედებაში ცვლილებებს ან დისრეგულაციას, რაც განაპირობებს ჰიპერსენსიტიურობას სტრესისადმი და ზრდის ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გამოყენების რისკს.

კვლევა, ასევე, აჩვენებს ფსიქოლოგიური აგრესიის გამოყენების მავნე შედეგებს:

- ფსიქოლოგიური აგრესია უკავშირდება ბავშვებში რისკის შემცველი ქცევისა და ფსიქოლოგიური პრობლემების გამოვლენის უფრო მაღალ ალბათობას.⁷
- ზოგადად, იზრდება ბავშვებში ქცევითი დარღვევების გამოვლენის ალბათობა.⁸
- შიში, ბრაზი და იმედგაცრუება, რომელიც თან სდევს ფსიქოლოგიურ ძალადობას, იწვევს ბავშვებში ფსიქოემოციური მდგომარეობის გაუარესებას.⁹

თუ გავითვალისწინებთ ამ მტკიცებულებებს, დასჯის ორივე ფორმა - ფსიქოლოგიური აგრესია და ფიზიკური დასჯა - შეგვიძლია მივიჩნიოთ აღზრდის ძალადობრივ ფორმებად, რომლებიც პოტენციური საფრთხის შემცველია ბავშვისა და, ზოგადად, საზოგადოებისათვის.¹⁰

აღზრდის ცალსახად საზიანო და ნაკლებად საზიანო ფორმების შესახებ საერთო შეთანხმების არარსებობა განაპირობებს იმას, რომ დღეს მსოფლიოში ბევრი ისეთი ბავშვია, რომელიც საჭიროებს დაცვას, ასევე, ბევრია ისეთი მშობელიც, რომელიც საჭიროებს დახმარებას, მაგრამ ვერ იღებს სათანადო სერვისებს.

7 Patterson, G. R., DeBaryshe, B. D., & Ramsey, E. (1989). A developmental perspective on antisocial behavior (Vol. 44, No. 2, p. 329). American Psychological Association.

8 Straus, M. A., Sugarman, D. B., & Giles-Sims, J. (1997). Spanking by parents and subsequent antisocial behavior of children. Archives of Pediatrics & Adolescent Medicine, 151(8), 761-767.

9 American Psychological Association. (2019). „Resolution on physical discipline“, 19.

10 Straus, M. A., & Field, C. J. (2003). Psychological aggression by American parents: National data on prevalence, chronicity, and severity. Journal of Marriage and Family, 65(4), 795-808.

ბავშვის აღზრდისადმი მიდგომების ტაქსონომია - მიზნები და ფორმები

მიუხედავად მსოფლიოში არსებული განსხვავებებისა, მშობლების უმეტესობა აღზრდისას ბავშვის ინტერესებით ხელმძღვანელობს. ფუნქციონალისტური პერსპექტივიდან, დისციპლინა გულისხმობს ბავშვში მსჯელობის უნარის, თვითკმარობისა და თვითკონტროლის, პოზიტიური სოციალური ქცევის განვითარებას.¹¹

დისციპლინა ბავშვის აღზრდისას სამ მთავარ მიზანს ემსახურება:¹²

- სწავლისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას;
- სასურველი ქცევის სწავლებასა და განმტკიცებას (პროაქტიული მიდგომა); და
- არასასურველი ქცევის შემცირებას ან აღმოფხვრას (რეაქტიული მიდგომა).

მიუხედავად იმისა, რომ ეს თეორიული განმარტება თანაბრად ამახვილებს ყურადღებას სამივე ასპექტის მნიშვნელობასა და მათ შორის ურთიერთკავშირზე, მშობლებს ხშირად ძალიან ვიწროდ ესმით ბავშვის აღზრდის მიზნები. კერძოდ, მესამე ასპექტი (რეაქტიული მიდგომა) ხშირად მხოლოდ იმას ასახავს, რასაც ტერმინი „დისციპლინის“ გამოყენებისას გულისხმობენ. ბევრი მშობლის აზრით, მისი ძირითადი მიზანი სწორედ არასასურველი ქცევის აღმოფხვრაა.

ამასთანავე, სხვადასხვა კონტექსტში, კულტურასა თუ ისტორიულ პერიოდში თავს იჩენს აზრთა სხვადასხვაობა ამა თუ იმ მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობის, სოციალური სასურველობისა და ეფექტიანობის შესახებ.

ბავშვის აღზრდის დისციპლინური პრაქტიკის და მშობელთა ქცევის მულტიკულტურულ კონტექსტში აღწერის პირველი სისტემური მცდელობა უკავშირდება მარგარეტ მიდის კვლევებს ინკულტურაციის სფეროში 1920-იანი წლების დასასრულს. მას შემდეგ ჩატარებულ მრავალ კვლევაზე დაყრდნობით დღეისათვის აღზრდის მიზნების, განზომილებების, მშობლობის სტილისა და აღზრდის მეთოდების მრავალგვარი კლასიფიკაცია არსებობს.¹³

მშობლობის მეთოდების კატეგორიზაციისათვის მკვლევარებმა სხვადასხვა ცნებას/სტილს შორის კონტრასტები გამოიყენეს:¹⁴

- მიმღებლობა - უარყოფა;
- დომინირება - დამორჩილება;
- სითბო- სიმკაცრე;
- მშფოთვარე ჩართულობა - მშვიდი დისტანცირება;
- კონტროლი - ავტონომია.

მშობლობის მეთოდების კატეგორიზაციის დღეისათვის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ვერსია ამ ჩამონათვალიდან ორ განზომილებას იყენებს - სითბოს და კონტროლს. ამ ტაქსონომიის მიხედვით, არსებობს მშობლობის ოთხი სტილი, რომლებიც სითბოსა და კონტროლის ოთხ სხვადასხვა კომბინაციას ასახვს:¹⁵

11 Butchart, A., Harvey, A. P., Mian, M., & Fürniss, T. (2006). Preventing child maltreatment. A guide to taking action and generating evidence. Geneva: World Health Organization.

12 Committee on Psychosocial Aspects of Child and Family Health. (1998). Guidance for effective discipline. *Pediatrics*, 101(4), 723-728.

13 Power, T. G. (2013). Parenting dimensions and styles: a brief history and recommendations for future research. *Childhood Obesity*, 9(s1), S-14.

14 Socolar, R., Savage, E., Devellis, R. F., & Evans, H. (2004). The discipline survey: A new measure of parental discipline. *Ambulatory Pediatrics*, 4(2), 166-173.

15 Baumrind, D. (1966). Effects of Authoritative Parental Control on Child Behavior, *Child Development*, 37(4), 887-907.

- ავტორიტეტული მშობლები (სითბო და კონტროლი კომბინირებულია და დაბალანსებული);
- ავტორიტარული მშობლები (ძლიერად გამოხატული კონტროლი, სუსტად გამოხატული სითბო);
- დამყოლი მშობლები (ძლიერად გამოხატული სითბო, სუსტად გამოხატული კონტროლი);
- იგნორირებაზე/უარყოფაზე ორიენტირებული მშობლები (სუსტად გამოხატული სითბო და კონტროლი).

ანგარიშში მოცემულია ბავშვების მიმართ გამოყენებული დისციპლინის მეთოდების კლასიფიცირებისადმი ალტერნატიული, თუმცა შემავსებელი მიდგომა. ტაქსონომიაში აქცენტი გადატანილია მშობლობის განსხვავებული მეთოდებიდან დისციპლინის კონკრეტულ პრაქტიკასა და ფორმებზე. გარდა ამისა, იგი მოიცავს ბავშვის პერსპექტივას და აღზრდის დისციპლინაზე დამყარებულ პრაქტიკას ორ მსხვილ კატეგორიად ყოფს:

- აღზრდის ძალადობრივი პრაქტიკა;
- აღზრდის არაძალადობრივი პრაქტიკა.

აღზრდელები, რომლებიც ძალადობრივ პრაქტიკას იყენებენ, გარკვეულ მსგავსებას ავლენენ ავტორიტარულ მშობლებთან. მათი მიდგომები მკაცრია და დასჯაზე ორიენტირებული.¹⁶ არასასურველი ქცევის განხილვის ნაცვლად, მშობლები უფრო ბავშვის დასჯაზე არიან ორიენტირებულნი. ძალადობრივი პრაქტიკა, თავის მხრივ, ორ კატეგორიად იყოფა - ფიზიკურ დასჯად და ფსიქოლოგიურ აგრესიად:

ფიზიკური დასჯა გულისხმობს ძალის გამოყენებას ბავშვის კონტროლისთვის და მასზე გავლენის მოხდენისთვის. ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტი ფიზიკურ ძალადობას განსაზღვრავს როგორც „ნებისმიერი ტიპის დასჯას, რომელიც გულისხმობს ფიზიკური ძალის გამოყენებას და გარკვეული, თუნდაც მცირე ხარისხით, ტკივილისა და დისკომფორტის გამოწვევას“¹⁷. ზოგიერთ ქვეყანაში ფიზიკური დასჯა აღზრდის მიუღებელ ფორმად ითვლება, მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში ანსხვავებენ ფიზიკურ დისციპლინას და ფიზიკურ შეურაცხყოფას და დაკავშირებულ შედეგებს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში დასაშვებია ფიზიკური დასჯა, თუმცა კანონით ისჯება ფიზიკური შეურაცხყოფა.¹⁸ წინა თავებში უკვე აღინიშნა, რომ ფიზიკური დასჯის მსუბუქი ფორმებიც კი ზიანის მომტანია ბავშვისთვის, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

ფსიქოლოგიური აგრესია განმარტებულია როგორც კომუნიკაცია, რომლის მიზანია, გამოიწვიოს ბავშვში ფსიქოლოგიური ტკივილი.¹⁹ კომუნიკაცია შეიძლება იყოს აქტიური ან პასიური, ვერბალური ან არავერბალური“. ძალადობრივი ფსიქოლოგიური აგრესიის კონკრეტული ფორმები შეიძლება გულისხმობდეს დანაშაულის გრძნობის გამოწვევას, დამცირებას, ცივ მოპყრობას, სხვადასხვა სახის ემოციურ მანიპულაციას ბავშვის კონტროლისთვის.²⁰ ფიზიკურ ძალადობასთან ერთად, ფსიქოლოგიური აგრესია ბავშვის კოგნიტური, ქცევითი, სოციალური და ემოციური განვითარებისთვის ზიანის მომტანად ითვლება.

ანგარიშში წარმოდგენილი ტაქსონომიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განზომილება

16 UNICEF (2010). „Child Disciplinary Practices at Home“, 18.

17 ბავშვის უფლებათა კომიტეტი. ზოგადი კომენტარი № 8.

18 American Psychological Association. (2019). „Resolution on physical discipline“, 19.

19 Straus, M. A., & Field, C. J. (2003). „Psychological aggression by American parents“, 21

20 UNICEF (2010). „Child Disciplinary Practices at Home“, 18.

არის არაძალადობრივი აღზრდა. ბავშვის აღზრდის ეს პრაქტიკა მოიცავს ქმედებებს, რომლებიც ახლოსაა ავტორიტეტულ სტილთან. მაგალითად, მშობელი უხსნის ბავშვს, რატომ არის ესა თუ ის ქცევა ცუდი, საჭიროების შემთხვევაში ჩამოართმევს მას გარკვეულ პრივილეგიებს. ავტორიტეტული მშობლები ყურადღებით აკვირდებიან ბავშვის ქცევას, აქვთ მკაფიო სტანდარტები და მოლოდინები, იყენებენ დისციპლინის მეთოდებს, რომლებიც არის მხარდამჭერი, და აქვთ ორმხრივი კომუნიკაცია ბავშვებთან. ამ ტიპის მშობლები ცდილობენ, მხარი დაუჭირონ და გაგებით მოეკიდონ აღსაზრდელის ქცევას, თუმცა აწესებენ გარკვეულ საზღვრებს. ბავშვს ესმის, რომ ამ საზღვრების დარღვევას გარკვეული სანქციები მოჰყვება.²¹

არაძალადობრივი აღზრდა კიდევ ერთ პოპულარულ ცნებას - პოზიტიურ მშობლობას - უკავშირდება. ერთ-ერთი განმარტების თანახმად, პოზიტიური მშობლობა გულისხმობს „ბავშვის საჭიროებებზე თანმიმდევრულ და უპირობო ზრუნვას, კომუნიკაციასა და აღზრდის პროცესის არაძალადობრივი მეთოდებით მართვას”.²²

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა (2006) პოზიტიური მშობლობა განმარტა როგორც „... არაძალადობრივი, მზრუნველი...” მიდგომა, რომელიც „ეფუძნება ნდობასა და ურთიერთშეთანხმებას ბავშვსა და მშობელს შორის და გულისხმობს აღზრდას, რომლის მიზანი ბავშვის მრავალმხრივი განვითარებაა”.

არაძალადობრივი, პოზიტიური მშობლობა ბავშვის კოგნიტური და სოციალური განვითარების ხელშემწყობ მიდგომად არის აღიარებული - ბავშვები, რომელთა მიმართ მშობლები არაძალადობრივ მიდგომებს იყენებენ, უფრო ადვილად ადაპტირდებიან სკოლაში, აქვთ სწავლისადმი უფრო მაღალი მოტივაცია, ნაკლებად ავლენენ დეპრესიის სიმპტომებს, აქვთ უფრო მაღალი თვითშეფასება და უკეთესად უწევენ წინააღმდეგობას თანატოლთა უარყოფით გავლენას მოზარდობის ასაკში.²³

ბავშვის მიმართ გამოყენებული დისციპლინის პრაქტიკის გაზომვა და შეფასება – კომპლექსური ამოცანა

ბავშვთა აღზრდის მეთოდების კვლევაში მრავალი გამოწვევა არსებობს, რომლებიც თავად მშობლობის პრაქტიკის გაზომვას უკავშირდება:

- პირველი დიდი გამოწვევა იმ ძირითადი ცვლადების დადგენა და კონცეპტუალიზაციაა, რომლებიც მშობლის მიერ ბავშვის აღზრდის ძირითად კომპონენტებს ასახავს. მკვლევრებმა უნდა გადანყვიტონ, რომელი ასპექტები ჩართონ თავიანთ საზომებში იმისათვის, რომ კარგად დააბალანსონ ანალიზის სიღრმე და მასშტაბი. მაგალითად, საინტერესო კითხვებია, საზომი ინსტრუმენტი რეალურ ქცევას უნდა ზომავდეს თუ მშობლობის პრაქტიკის მიმართ დამოკიდებულებებს, თუ ორივეს? როგორ ჯობია გავზომოთ ქცევის გამოვლინება - კონკრეტულ მომენტში თუ კუმულატიურად (გარკვეული დროის განმავლობაში)?

21 Ibid.

22 Seay, A., Freysteinson, W. M., & McFarlane, J. (2014, July). Positive parenting. In Nursing Forum (Vol. 49, No. 3, pp. 200-208).

23 Lorcak H.S. (2020). What is positive parenting? A look at the research and benefits.

- მეორე გამოწვევა დაკავშირებულია რესპონდენტების შერჩევასთან (ბავშვი, მშობელი ან მეურვე, ახალგაზრდა ზრდასრულები) და სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული მონაცემების ტრიანგულაციასთან (შეჯერებასა და შედარებასთან). თუკი აღზრდის პრაქტიკის შესახებ უფროსი ასაკის ბავშვებს ან ზრდასრულებს ვეკითხებით, ვიყენებთ ე.წ. რეტროსპექტულ მიდგომას, რომელიც ინფორმაციას გვანვდის კუმულატიური (დაგროვებითი) ეფექტების შესახებ, თუმცა ამ შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს წარსულის გახსენებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. საპირისპიროდ, როდესაც მეურვეს ამჟამინდელი პრაქტიკის შესახებ ვუსვამთ კითხვას, ადგილი აქვს სხვაგვარ შეზღუდვას, როდესაც რესპონდენტს უჭირს მიმდინარე პრაქტიკისგან დისტანცირება და მისი ობიექტურად შეფასება. ასევე, ხშირია შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა წყაროდან და სხვადასხვა მეთოდით მიღებული ინფორმაცია ერთმანეთს ეწინააღმდეგება.²⁴
- მესამე გამოწვევა კვლევისათვის სწორი მეთოდების შერჩევაა. გაზომვის მეთოდები, რომლებიც დღეისათვის გამოიყენება მშობლობის პრაქტიკის კვლევისათვის, მოიცავს დაკვირვებას, ე.წ. მოკლე ჩანახატების მეთოდს, სიღრმისეულ ინტერვიუებს და სტრუქტურირებულ გამოკითხვებს. თითოეული ჩამოთვლილი მეთოდებიდან საკუთარი სპეციფიკური შეზღუდვებისა და უპირატესობების მატარებელია. ის, რასაც მშობლები აღწერენ როგორც საკუთარ პრაქტიკას, შეიძლება არც ემთხვეოდეს იმას, რასაც რეალურად ვხედავთ დაკვირვებისას. შესაბამისად, მეტი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ სწორად დავაბალანსოთ ცალკეული მეთოდის უპირატესობები და შეზღუდვები და შევქმნათ კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც მეთოდებსა და მიდგომებს შორის საუკეთესო ბალანსს დაეყრდნობა.²⁵

საერთო ჯამში, ბავშვის აღზრდის მეთოდების, ფორმებისა და მიდგომების შესასწავლად დღეისათვის მრავალი ინსტრუმენტი გამოიყენება, რომელთა ნაწილი №3 დანართშია ჩამოთვლილი.

ინსტრუმენტების ამ მრავალფეროვნების მიუხედავად, მსოფლიოში მაინც არსებობს საკითხის შესახებ მონაცემების დეფიციტი. იმისათვის, რომ უკეთ აღიწეროს და გაანალიზდეს საკითხის სიღრმე და მასშტაბი, მნიშვნელოვანია ე.წ. შემთხვევის შესწავლის მიდგომისა და ეპიდემიოლოგიური კვლევების ხარისხის გაუმჯობესება, ისევე, როგორც ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების სტრატეგიების სრულყოფა.

ძირითადი საკითხები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, არის ინსტრუმენტების ფსიქომეტრიული მახასიათებლები, სანდოობა და ვალიდურობა. ასევე, მხედველობაშია მისაღები რესპონდენტების შერჩევასთან და მონაცემთა შეგროვების მეთოდებთან დაკავშირებული შეზღუდვები.²⁶

ახალ, 2020 წლის მსოფლიო ანგარიშში ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის შესახებ აღნიშნულია, რომ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ანგარიშგების ფარგლებში ქვეყნებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ მონაცემთა შეგროვებას ძალადობასთან დაკავშირებულ ძირითადი ინდიკატორების მიხედვით. ამასთანავე, ანგარიშში საგანგებოდ არის აღნიშნული მონაცემთა დამუშავების მნიშვნელობა არა მხოლოდ დაგეგმვისთვის, არამედ მიმდინარე ცვლილებების ეფექტიანი მონიტორინგისა და შეფასებისთვის.²⁷

24 UNICEF (2010). „Child Disciplinary Practices at Home“, 18.

25 Locke, L. M., & Prinz, R. J. (2002). Measurement of parental discipline and nurturance. *Clinical psychology review*, 22(6), 895-929

26 UNICEF (2010). „Child Disciplinary Practices at Home“, 18.

27 Global status report on preventing violence against children 2020: executive summary. Geneva: World Health Organization.

საზომი ინსტრუმენტების გაუმჯობესების კუთხით სამეცნიერო ლიტერატურასა და პოლიტიკის დოკუმენტებში შემდეგი პრიორიტეტებია აღნიშნული²⁸:

დღეისათვის ბავშვთა მიმართ გამოყენებული დისციპლინის პრაქტიკის საზომი ინსტრუმენტები ძირითადად ფოკუსირებულია ძალადობრივ, არაეფექტურ პრაქტიკაზე და ნაკლებად მოიცავს პოზიტიური მშობლობის პრაქტიკას. პრობლემური, ძალადობრივი პრაქტიკის ზუსტი შესწავლა მნიშვნელოვანია ბავშვთა მიმართ ძალადობის უკეთ გააზრებისათვის და მშობლის კომპეტენციების მინიმალური სტანდარტის განსაზღვრისათვის²⁹. თუმცა, ამასთანავე, პოზიტიურ პრაქტიკაზე მეტი ყურადღების გამახვილება და მეტი სიზუსტე მისი აღწერისას მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისათვის ხელშემწყობი სოციალური პირობებისა და მშობლობის პრაქტიკის იდენტიფიცირებისა და უკეთ გააზრებისათვის³⁰.

- ინსტრუმენტებში შემავალი დებულებები და კითხვები მშობლობის პოზიტიურ პრაქტიკასთან დაკავშირებით ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი პასუხებისას ე.წ. სოციალური სასურველობის რისკი - მშობლები ნაკლებად აღიარებენ ისეთი პრაქტიკის გამოყენებას, რომელიც არ არის სოციალურად მისაღები.
- ბევრ ინსტრუმენტში შემავალი საკითხები მოცემულია კონკრეტული კონტექსტის მითითების გარეშე. მშობლები შესაძლოა მიიჩნევდნენ, რომ ამა თუ იმ პრაქტიკას მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციაში, კონკრეტულ ბავშვთან დაკავშირებით მიმართავენ. მნიშვნელოვანია, უკეთ მოხდეს მშობლის ქცევის კონტექსტუალიზაცია და, ამასთანავე, შენარჩუნებული იყოს განზოგადების შესაძლებლობა.
- უნდა გაუმჯობესდეს დისციპლინის საზომი ინსტრუმენტების თავსებადობა სხვადასხვა კულტურულ კონტექსტთან. მნიშვნელოვანია, განხორციელდეს გაზომვის ეკვივალენტობის კვლევები, რაც ხელს შეუწყობდა არსებული ინსტრუმენტების სრულყოფას და ახალი, უფრო რელევანტური საზომების შემუშავებას. დღეისათვის კულტურული განსხვავებები, რომლებსაც ვხვდებით მონაცემთა ანალიზისას, შესაძლოა განპირობებული იყოს გაზომვის შეცდომებით ან კულტურული კონტექსტით, ან ორივე ფაქტორით ერთდროულად. უნივერსალური და კულტურის თვალსაზრისით უნიკალური პრაქტიკის დადგენის წინაპირობა სწორედ სხვადასხვა კულტურულ ჯგუფში გაზომვის ეკვივალენტობის დადგენაა.
- კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი საზომ ინსტრუმენტებში ბავშვის განვითარების ეტაპებისა და ასაკობრივი თავისებურებების უკეთ გათვალისწინებაა. დისციპლინისა და აღზრდის პრაქტიკა ბავშვის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულია. ზოგიერთი პრაქტიკა უცვლელად გამოიყენება გარკვეულ ასაკობრივ ჯგუფში, ზოგიერთი კი აღარ გამოიყენება ან ჩანაცვლდება ახალი პრაქტიკით ბავშვის განვითარების კვალდაკვალ.

28 Locke, L. M., & Prinz, R. J. (2002). Measurement of parental discipline and nurturance.

29 Budd, K. S. (2001). Assessing parenting competence in child protection cases: a clinical practice model). *Clinical Child and Family Psychology Review*, 4, 1–18.

30 Sanders, M. R. (1999). Triple P—Positive Parenting Program: towards an empirically validated multilevel parenting and family support strategy for the prevention of behavior and emotional problems in children). *Clinical Child and Family Psychology Review*, 2, 71–90.

მშობლისა და ბავშვის კონფლიქტის ტაქტიკის სკალა

მშობლისა და ბავშვის კონფლიქტის ტაქტიკის სკალა (CTSPC) ბავშვის აღზრდის პრაქტიკის ეპიდემიოლოგიური კვლევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტია. CTSPC მოკლე ვერსიის მოდიფიცირებული ვერსია მრავალინდიკატორულ კლასტერულ კვლევაში დისციპლინის მოდულის საფუძველია. ეს მოდული ეყრდნობა ოჯახში ბავშვის მიმართ ძალადობრივი პრაქტიკის გაზომვის წინარე გამოცდილებას და მულტინაციონალურ კონტექსტში მონაცემების შეგროვების დღეისათვის ყველაზე ცნობილი ინიციატივაა³¹.

CTSPC არსებული ვერსია 1990 წლებში შეიქმნა როგორც უფრო ადრინდელი, 1979 წლის ვარიანტის მოდიფიკაცია Conflict Tactics Scale version 1 (CTS1). CTSPC გამიზნულია როგორც კლინიკური, ისე ეპიდემიოლოგიური კვლევებისთვის. ის შეიცავს 22 დებულებას, რომლებიც გაერთიანებულია სამ კატეგორიაში: არაძალადობრივი დისციპლინა, ფსიქოლოგიური აგრესია და ფიზიკური დასჯა. ინსტრუმენტი, ასევე, მოიცავს 13 დამატებით დებულებას სექსუალური ძალადობისა და სხვა ასპექტების შესახებ. დებულებების უმეტესობა ფასდება 8 ქულიან სკალაზე, რომელიც ასახავს ბოლო წლის განმავლობაში ამა თუ იმ პრაქტიკის გამოყენების სიხშირეს.

CTSPC რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს სხვა ინსტრუმენტებთან შედარებით:

პირველ რიგში მის ძლიერ მხარეს ვალიდობა და სანდოობა წარმოადგენს. CTSPC-ს კარგი მაჩვენებლები აქვს განმეორებითი ტესტირების სანდოობის, ისევე როგორც კონსტრუქტისა და დისკრიმინაციული ვალიდობის თვალსაზრისით.

ინსტრუმენტის კიდევ ერთი უპირატესობა ის არის, რომ CTSPC, ისევე, როგორც მისი წინამორბედი CTS1, ფართოდ გამოიყენებოდა საერთაშორისო კონტექსტში, ითარგმნა მრავალ ენაზე და უკეთესად არის მორგებული სპეციფიკურ კულტურულ კონტექსტებს. CTSPC-ის გამოყენების პირველი მცდელობა უკავშირდება გელაპის კვლევას, 1995 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში. სამეცნიერო საძიებელ სისტემაში Google Scholar 2016-2020 წლების განმავლობაში CTSPC-ის გამოყენებით შექმნილი რამდენიმე ასეული სამეცნიერო სტატია იძებნება.

გარდა ამისა, ინსტრუმენტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა ის არის, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. ბავშვის აღზრდის პრაქტიკის საზომი 55 ინსტრუმენტის მეტა-ანალიზის თანახმად, CTSPC იმ ხუთი ინსტრუმენტის სიაშია, რომლებსაც ორი უმნიშვნელოვანესი და იშვიათი მახასიათებელი აქვთ: ისინი განკუთვნილია ფართო ასაკობრივი სპექტრისათვის და მათი გამოყენება შესაძლებელია ეპიდემიოლოგიურ კვლევებში.

ბავშვის აღზრდის მეთოდების ამ საზომის ჩართვა შინამეურნეობების კვლევებში, რომელთა ერთ-ერთი მაგალითი მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევაა, საშუალებას გვაძლევს, ერთმანეთთან დავაკავშიროთ აღზრდის პრაქტიკა და სხვა კონტექსტუალური ფაქტორები, როგორიცაა მშობლის განათლება და ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, და ვიკვლიოთ სხვადასხვა ცვლადს შორის მიზეზშედეგობრივი და ასოციაციური კავშირები. CTSPC-ის და მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის დისციპლინის მოდული უფრო დეტალურად ანგარიშის შემდგომ თავებშია აღწერილი.

31 CTSPC სკალისა და MICS მოდულის აღწერა ეყრდნობა „იუნისეფის“ 2010 წლის საერთაშორისო ანგარიშში მოცემულ აღწერას „ბავშვების მიმართ ოჯახში გამოყენებული დისციპლინის პრაქტიკა. [Child Disciplinary Practices at Home: Evidence from a Range of Low- and Middle-Income Countries, 2010].

კონცეპტუალური ჩარჩო და ანალიზის განვითარება

მშობლობასთან დაკავშირებული გადანაცვებულებების, მოტივებისა და პრაქტიკის სიღრმისეული გააზრებისთვის მნიშვნელოვანია მშობლების ქცევის უფრო ფართო კონტექსტში გააზრება. ჩვენი ანალიზის ლოგიკა ეყრდნობა დაშვებას, რომ ბავშვების მიმართ გამოყენებული დისციპლინის პრაქტიკა არ უნდა განვიხილოთ გარემოს ზეგავლენის გათვალისწინების გარეშე. ანგარიშის კონცეპტუალური ჩარჩო მიმოიხილავს მშობლობის პრაქტიკაზე მოქმედ ფაქტორებს ეკოლოგიური პარადიგმის ფარგლებში და ეკოსისტემის მოდელებზე დაყრდნობით ³².

ნახატი 1 ანგარიშის კონცეპტუალური ჩარჩოს ვიზუალური გამოსახულებაა. ერთმანეთთან დაკავშირებული წრეები ასახავს ქვესისტემებს - ფაქტორებს, რომელთაგან თითოეული გავლენას ახდენს მშობლობის პრაქტიკაზე და თავადაც არის ზეგავლენის ობიექტი. მოდელის შიდა შრე ბავშვის და მშობლის ინდივიდუალურ მახასიათებლებს ასახავს, ხოლო გარე შრე შინამეურნეობის მახასიათებლებს, ისევე, როგორც იმ ფართო სოციალურ-კულტურულ კონტექსტს, რომელშიც შინამეურნეობა არის მოქცეული.

ანგარიშში გამოყენებული კონცეპტუალური ჩარჩო ბრონფენბრენერის ორიგინალურ მოდელს ეყრდნობა. ეს მოდელი, თავის მხრივ, მომდინარეობს განვითარების თეორიებიდან და, შესაბამისად, ორიგინალურ ვერსიაში ეკოსისტემის ცენტრში ინდივიდია მოქცეული. ჩვენს ვერსიაში მოდელის ცენტრში ძალადობრივი აღზრდის პრაქტიკა მოვაქციეთ.

შემდეგი შრე ასახავს ბავშვისა და მშობლის/მეურვის მახასიათებლებს, როგორიცაა ასაკი, სქესი, ბავშვის კოგნიტური და ემოციური განვითარების თავისებურებები, რომლებიც, ჩვენი მოდელის თანახმად, შესაძლოა კავშირში იყოს მშობლობის პრაქტიკის თავისებურებებთან და დისციპლინის კონკრეტული მეთოდების გამოყენებასთან. ამავე შრეშია მოქცეული მშობლის/მეურვის განათლება, ფუნქციური სირთულეები, საკუთარი კეთილდღეობის სუბიექტური აღქმა და ა.შ.

მოდელის სხვა ელემენტები მოიცავს შინამეურნეობის მახასიათებლებს, როგორიცაა შინამეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, ზომა, საცხოვრებელი პირობები, ზოგადი კლიმატი და მშობლობის პრაქტიკა, ოჯახის უფროსის დევნილის სტატუსი და სხვა მახასიათებლები.


ბოლო შრე მოიცავს იმ კონტექსტის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ თავისებურებებს, რომელშიც ფუნქციონირებს შინამეურნეობა.

ანგარიშში აღწერილი მრავალი ფაქტორის კომპლექსური ურთიერთკავშირის გათვალისწინებით, რთული აღმოჩნდა ერთი ისეთი მოდელის - ცვლადების ისეთი კომბინაციის - პოვნა, რომელიც ყველაზე კარგად ახსნიდა, თუ რატომ იყენებენ მშობლები აღზრდის ძალადობრივ მეთოდებს. როგორც ეს ანგარიშშია ნაჩვენები, ერთი შეხედვით ძლიერი კავშირი ცალკეულ ცვლადს შორის შესაძლოა სხვა ცვლადების ირიბი ეფექტით იყოს განპირობებული.

32 Bronfenbrenner, U. (1979). The Ecology of Human Development: Experiments by Nature and Design. Cambridge, MA: Harvard University Press. Bronfenbrenner, U. (1977). Toward an Experimental Ecology of Human Development. American Psychologist, 32, 515-531. Bronfenbrenner, U. (1976). The Experimental Ecology of Education. Teachers College Record, 78(2), 157 – 204. Bronfenbrenner, U. (1974). Developmental Research, Public Policy, and the Ecology of Childhood. Child Development, 45(1), 1-5. Buchmann, C. (2002). Getting Ahead in Kenya: Social Capital, Shadow Education and Achievement. In B. Fuller and E. Hannum (Eds.), Schooling and Social Capital in Diverse Cultures (pp. 133-159). Amsterdam: JAI Press.

ანგარიში არ აჩვენებს მიზეზშედეგობრივ კავშირებს ფაქტორებს შორის. მისი მიზანია, წარმოაჩინოს ამ ფაქტორებს შორის რთული ურთიერთმიმართება. მთავარი გზავნილი ის არის, რომ მშობლობის ძალადობრივი პრაქტიკა კომპლექსური ფენომენია, მრავალი მიზეზითა და შედეგით, რომლებთან ბრძოლა ეკოსისტემის სხვადასხვა დონეზე კოორდინირებულ ძალისხმევას მოითხოვს.

ნახატი 1 კონცეპტუალური ჩარჩო ბავშვის აღზრდის პრაქტიკის ანალიზისათვის



მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა საქართველოში

2018 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა საქართველოში 2018-2019 წლებში განხორციელდა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდთან და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის გლობალური პროგრამის ფარგლებში. კვლევის განხორციელებას ტექნიკური დახმარება გაეროს ბავშვთა ფონდმა გაუწია და იგი მთავრობის დაფინანსებითა და გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური დახმარებით ჩატარდა. კვლევას განხორციელებას ასევე შემდეგი დონორები უჭერდნენ მხარს: ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო, მსოფლიო ბანკი, გაეროს მოსახლეობის ფონდი, შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო, საფრანგეთის განვითარების სააგენტო, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო, იტალიის ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი, გაეროს განვითარების პროგრამა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია³³.

³³ მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მეთოდოლოგიური ასპექტების მიმოხილვას საფუძვლად უდევს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის ეროვნული ანგარიშის შინაარსი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2019). საქართველოს 2018 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შედეგების ანგარიში, თბილისი, საქართველო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შემუშავებული და მისი მხარდაჭერით ჩატარებული შინამეურნეობების ერთ-ერთი ყველაზე დიდი საერთაშორისო კვლევაა მსოფლიოში. კვლევა ფარავს ძირითად ინდიკატორებს, რომლებიც გამოიყენება შინამეურნეობების, განსაკუთრებით კი ბავშვების და ქალების მდგომარეობის შესაფასებლად. მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის ჩატარება 1990-იან წლებში დაიწყო და დღემდე 100-ზე მეტ ქვეყანაში 300-ზე მეტი კვლევა ჩატარდა.

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის ერთ-ერთი მიზანია საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნებისა და სხვა საერთაშორისო ვალდებულებების განხორციელების მონიტორინგია. 2005 წლის შემდეგ საქართველოში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის სრულფასოვანი ციკლი არ განხორციელებულა - სხვადასხვა კვლევის ფარგლებში მხოლოდ ცალკეული ინდიკატორების მიხედვით გროვდებოდა ინფორმაცია.

2018 წლის კვლევის მიზანია სხვადასხვა სფეროში მიღწეული პროგრესის კრიტიკული შეფასებისათვის მონაცემების შეგროვება და სამომავლო პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულებების გამოვლენა, ასევე, სხვა წყაროებიდან მიღებული შედეგების ვალიდაცია და ინფორმაციის შევსება უფრო ფოკუსირებული და ეფექტიანი ჩარევების დასაგეგმად.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: mics.unicef.org

შერჩევის დიზაინი

2018 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შერჩევა იმგვარად იქნა შედგენილი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მონაცემების განზოგადება მთლიანად საქართველოზე და, ასევე, სურათის დანახვა სოფლისა და ქალაქის, ისევე, როგორც საქართველოს რეგიონების: თბილისის, აჭარის, გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის მიხედვით.

ძირითად სტრატეგიად თითოეული რეგიონის ფარგლებში გამოიყო სოფლისა და ქალაქის დასახლებები. შემდგომში თითოეული ძირითადი სტრატა დამატებით ჩაიშალა იძულებით გადაადგილებულის სტატუსის ან ამ სტატუსის უქონლობის მიხედვით.

შინამეურნეობების შერჩევა ორ ეტაპად განხორციელდა. თითოეული სტრატის ზომის პროპორციულად, სისტემურად ამორჩეული იქნა სააღწერო უბნების გარკვეული რაოდენობა. შემდეგ სააღწერო უბანში შემავალი შინამეურნეობებიდან სისტემურად შეირჩა 20 შინამეურნეობა. მთლიანი შერჩევის ზომა მოიცავს 14 120 შინამეურნეობას 706 კლასტერში. კვლევის შედეგების წარმოდგენისას შესაბამისი წონებია გამოყენებული.

კითხვარები

კვლევაში გამოყენებულია შვიდი განსხვავებული ინსტრუმენტი:

- 1) შინამეურნეობათა კითხვარი, რომელიც აგროვებს დემოგრაფიულ ინფორმაციას შინამეურნეობის ყველა წევრის, თავად შინამეურნეობისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ;
- 2) წყლის ხარისხის შესახებ კითხვარი, რომელიც გამოყენებული იქნა შერჩევის თითოეულ კლასტერში შემავალ ხუთ შინამეურნეობაში;

- 3) ქალებისთვის განკუთვნილი კითხვარი, რომელიც გამოყენებული იქნა ყველა შერჩეული შინამეურნეობის 15-49 წლის ქალებთან;
- 4) მამაკაცებისთვის განკუთვნილი კითხვარი, რომელიც გამოყენებული იქნა ყოველი მეორე შერჩეული შინამეურნეობის 15-49 წლის მამაკაცებთან;
- 5) 5 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი კითხვარი, რომელიც გამოყენებული იქნა შინამეურნეობაში მცხოვრები შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვის მშობლებთან ან მეურვეებთან;
- 6) 5-17 წლის ბავშვებისთვის განკუთვნილი კითხვარი, რომელიც გამოყენებული იქნა შინამეურნეობაში შემთხვევით შერჩეული შესაბამისი ასაკის ერთი ბავშვის მეურვეებთან ან მშობლებთან;
- 7) ტყვიის შემცველობის შეფასების კითხვარი, რომელიც გამოყენებული იქნა 2-7 წლის ასაკის ბავშვების მშობლებთან ან მეურვეებთან.

კითხვარების ადმინისტრირების გარდა, კვლევა მოიცავდა ხელის დასაბანი ადგილის დათვალიერებას, 5 წლამდე ასაკის ბავშვების წონისა და სიმაღლის გაზომვას, წყლის სინჯის აღებასა და ვენური სისხლის აღებას 2-7 წლის ასაკის ბავშვებში ტყვიის შემცველობის დასადგენად.

კითხვარები ეყრდნობა მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS6) სტანდარტულ კითხვარებს. ორიგინალური ინგლისური ვერსიები ითარგმნა ქართულად, აზერბაიჯანულად და სომხურად. თარგმნილი ვერსიების პილოტირება განხორციელდა საქართველოს ოთხ რეგიონში (თბილისში, მცხეთა-მთიანეთში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში). წინასწარი ტესტისათვის შეირჩა სამი განხვავებული ტიპის ლოკაცია (დიდი ქალაქი, ქალაქი და სოფელი). შერჩევის ზომა შეადგენდა დაახლოებით 240 შინამეურნეობას 29 კლასტერში. თითოეული კლასტერიდან ყოველი მესამე შინამეურნეობა გამოიკითხა. პილოტირება 2018 წლის ივნისში განხორციელდა. პილოტირების შედეგებზე დაყრდნობით კითხვარებში გარკვეული შესწორებები იქნა შეტანილი.

ეთიკის პროტოკოლი

კვლევის პროტოკოლი დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა 2018 წლის აგვისტოში დაამტკიცა. პროტოკოლში შედიოდა „დაცვის პროტოკოლი“, რომელშიც მითითებულია ის პოტენციური რისკები, კვლევის განმავლობაში რომ შეიძლება წარმოიქმნას, და აღნიშნული რისკების შემარბილებელი მართვის სტრატეგიები.

სიტყვიერი თანხმობა იქნა მიღებული ყველა რესპონდენტისაგან და ინტერვიუებში ჩართული 15-17 წლის ბავშვების მშობლებისგან, ასევე, ტყვიის შემცველობის ტესტისთვის შერჩეული 2-7 წლის ბავშვების მშობლებისგან. მშობლებს განემარტათ კვლევის მიზანი, მონაწილეობის პირობები, ტესტირების პროცესის დეტალები, ტესტში მონაწილეობის სარგებელი და რისკი, ისევე, როგორც შედეგების გაზიარების პროცედურა.

ყველა რესპონდენტს მიეწოდა ინფორმაცია კვლევაში ნებაყოფლობითი მონაწილეობის, კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის პირობების დაცვის შესახებ. დამატებით, რესპონდენტები ინფორმირებულნი იქნენ მათი უფლების შესახებ, არ ეპასუხათ ცალკეული შეკითხვისთვის ან ნებისმიერ მომენტში შეენწყვიტათ ინტერვიუ.

ბავშვის მიმართ გამოყენებული დისციპლინის მოდული მრავალინდიკატორულ კლასტერულ კვლევაში

ბავშვის მიმართ გამოყენებული დისციპლინის მოდული CTSPC ორიგინალური ვერსიის შემოკლებული ვარიანტია. CTSPC ზოგიერთი საკითხი ამოღებული იქნა კითხვარიდან კვლევის ზოგად მიზნებთან შეუსაბამობის ან კულტურათაშორის კონტექსტში გამოყენების შეუძლებლობის გამო.

მოდული მოიცავს 12 საკითხს. პირველი 11 საკითხი ეხება მეურვის/მშობლის ქცევას ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით. საკითხები გაერთიანებულია სამ ბლოკში: არაძალადობრივი აღზრდა, ფსიქოლოგიური აგრესია და ფიზიკური დასჯა. რესპონდენტი პასუხობს კითხვას, გამოყენებული იქნა თუ არა მის შინამეურნეობაში აღზრდის ესა თუ ის მეთოდი:

- ბოლო დროს (დაზუსტებულია როგორც სულ მცირე ერთხელ ბოლო თვის განმავლობაში);
- ოჯახის/შინამეურნეობის რომელიმე წევრის მიერ (არა მხოლოდ დედის ან მეურვის მიერ).

შესაძლო პასუხებია „დიახ“ და „არა“. კვლევაში არ გროვდებოდა ინფორმაცია ამა თუ იმ მეთოდის გამოყენების სიხშირის შესახებ.

დისციპლინის მოდულის ბოლო საკითხი ეხებოდა მშობლის/მეურვის შეხედულებას და დამოკიდებულებას ბავშვის აღზრდის პროცესში ფიზიკური დასჯის გამოყენების აუცილებლობის მიმართ.

ბავშვის მიმართ გამოყენებული დისციპლინის სხვა საზომების მსგავსად, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის ეს მოდულიც მთლიანად რესპონდენტის თვითშეფასებას ეყრდნობა. ეს გარემოება ინსტრუმენტის მნიშვნელოვანი შეზღუდვაა, რადგან შეუძლებელია, ობიექტურად შემოწმდეს, რამდენად გულახდილ და ზუსტ ინფორმაციას გვანვდის რესპონდენტი საკუთარი ან ოჯახის სხვა წევრების ქცევისა და მოტივების შესახებ.

ბავშვის სკალები

ანგარიშში ნაკლებად არის გამოყენებული ანალიზი აღზრდის ფორმების აღმწერი ცალკეული დებულების/კითხვის მიხედვით. ამის ნაცვლად, დებულებები გაერთიანებულია ე.წ. სკალებად შედეგების უფრო კომპაქტური სახით წარმოდგენისათვის. ძირითადი ანალიზი ორ სკალაზე დაყრდნობით არის გაკეთებული: აღზრდის ძალადობრივი მეთოდები და აღზრდის არაძალადობრივი მეთოდები.

ბავშვის დისციპლინის მოდული მოიცავს რვა დებულებას ძალადობრივი მეთოდების ბლოკში. ყველა ეს დებულება გამოყენებულია ძალადობრივი პრაქტიკის სკალის შექმნისას. ძალადობრივი დისციპლინის კატეგორიის ფარგლებში გამოყენებულია სამი ქვე-სკალა: ფსიქოლოგიური აგრესია, ფიზიკური დასჯა და მძიმე ფიზიკური დასჯა.

ფსიქოლოგიური აგრესია გულისხმობს დისციპლინის ორ ფორმას: (1) ყვირილს და (2) ბავშვისათვის შეურაცხმყოფელი სახელების, მაგალითად, „უტვინოს“ ან „ზარმაცის“, დაძახებას.

ფიზიკური დასჯის ქვესკალა აერთიანებს დისციპლინის დანარჩენ ექვს ფორმას: (1) შეჯანჯღარებას, (2) ბავშვის ხელზე/მხრებზე/ფეხზე შიშველი ხელის დარტყმას, (3)

დუნდულებზე ან სხეულის სხვა ნაწილზე მყარი საგნით დარტყმას, (4) საჯდომზე ხელის დარტყმას, (5) სახეზე, თავზე ან ყურებზე დარტყმას, (6) მთელი ძალით ცემას.

ბოლო ორი ფორმა მძიმე ფიზიკური დასჯის ქვეკატეგორიას განეკუთვნება.

ბავშვის დისციპლინის მოდული, ასევე, მოიცავს სამ დებულებას აღზრდის არაძალადობრივი პრაქტიკისთვის: (1) ახსნა, თუ რატომ არის ქცევა არასწორი, (2) პრივილეგიების ჩამორთმევა ან სახლიდან გასვლის აკრძალვა, და (3) ბავშვის ყურადღების სხვა საქმიანობაზე გადატანა. ცხრილი 1 აღწერს, თუ როგორ ერთიანდება დებულებები შესაბამის სკალებში. თუ მშობელი/მეურვე პასუხობს „დიახ“ სკალაში/ქვესკალაში შემავალ ერთ დებულებაზე მაინც, ითვლება, რომ ბავშვის მიმართ გამოყენებული იქნა აღზრდის ეს ფორმა და შესაბამის სკალაზე მას ენიჭება დადებითი ქულა. მშობელს/მეურვეს შეუძლია დადებითი პასუხი გასცეს სკალში შემავალ რამდენიმე დებულებას.

ცხრილი 1: ბავშვის მიმართ გამოყენებული დისციპლინის საზომი სკალები და ქვესკალები

ქვესკალა	აღზრდის კონკრეტული ფორმები
არაძალადობრივი აღზრდა	იმის ახსნა, თუ რატომ არის ქცევა არასწორი ბავშვის ყურადღების სხვა საქმიანობაზე გადატანა პრივილეგიების ჩამორთმევა
ფსიქოლოგიური აგრესია	ყვირილი ბავშვისთვის შეურაცხმყოფელი სახელის დაძახება
ფიზიკური დასჯა	საჯდომზე ხელის დარტყმა შეჯანჯლარება ბავშვის ხელზე/მხრებზე/ფეხზე შიშველი ხელის დარტყმა დუნდულებზე ან სხეულის სხვა ნაწილზე მყარი საგნით დარტყმა
მძიმე ფიზიკური დასჯა	სახეზე, თავზე ან ყურებზე დარტყმა მთელი ძალით ცემა

მშობლების მიერ ბავშვის მიმართ გამოყენებული დისციპლინა საქართველოში


ბავშვის მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმები

მსოფლიოს ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად, აღზრდის ძალადობრივი მეთოდები საკმაოდ გავრცელებულია საქართველოში. მშობლების/მეურვეების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვების დაახლოებით 70%-ს კვლევის განხორციელებამდე ერთი თვის განმავლობაში გამოუცდია ძალადობრივი აღზრდის ერთ-ერთი ფორმა (ნახატი 2).

ფსიქოლოგიური აგრესია უფრო გავრცელებულია ფიზიკურ დასჯასთან შედარებით. მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ბავშვების 66% ბოლო თვის განმავლობაში იყო ფსიქოლოგიური აგრესიის მსხვერპლი, ხოლო 31% - ფიზიკური დასჯის.

ბავშვების 5% მძიმე ფიზიკური დასჯის მსხვერპლთა კატეგორიას განეკუთვნება. თითქმის ყველა მშობელი მიმართავს აღზრდის არაძალადობრივ ფორმებს, თუმცა ეს ფორმები, ხშირ შემთხვევაში, აღზრდის ძალადობრივ ფორმებთან კომბინაციაში გამოიყენება. ბავშვების მხოლოდ 28%-ის მიმართ გამოიყენებოდა მარტო არაძალადობრივი აღზრდის მეთოდები.

ნახატი 2 1-14 წლის ბავშვების წილი მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმების მიხედვით კვლევის განხორციელებამდე ბოლო ერთი თვის განმავლობაში



ყვირილი, როგორც ძალადობრივი აღზრდის სკალაში შემავალი ერთ-ერთი ფორმა, გაცილებით უფრო გავრცელებულია, ვიდრე სხვა ფორმები (ნახატი 3). აღზრდის ეს კონკრეტული ფორმა გამოკითხული შინამეურნეობების ნახევარზე მეტმა გამოიყენა. საქართველოს შედეგები ამ მხრივ ძალიან ჰგავს სხვა ქვეყნებში მიღებულ შედეგებს. საგანგაშო სიგნალია ის ფაქტი, რომ ხუთიდან ერთი ბავშვისთვის ბოლო ერთი თვის განმავლობაში მშობელს ხელი დაურტყამს.

ნახატი 3 1-14 წლის ბავშვების წილი მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინის კონკრეტული ფორმების მიხედვით კვლევის განხორციელებამდე ბოლო ერთი თვის განმავლობაში

ქვესკალა	დისციპლინის ფორმები	%
არაძალადობრივი აღზრდა	ახსნა, თუ რატომ არის ქცევა არასწორი	93
არაძალადობრივი აღზრდა	ბავშვის ყურადღების სხვა საქიანოებაზე გადატანა	58
არაძალადობრივი აღზრდა	პრივილეგიების ჩამორთმევა	37
ფსიქოლოგიური აგრესია	ყვირილი	61
ფსიქოლოგიური აგრესია	ბავშვისთვის შეურაცხმყოფელი სახელის დაძახება	28
ფიზიკური დასჯა	საჯდომზე ხელის დარტყმა	21
ფიზიკური დასჯა	შეჯანჭლარება	15
ფიზიკური დასჯა	ბავშვის ხელზე/მხრებზე/ფეხზე შიშველი ხელის დარტყმა	5.5
ფიზიკური დასჯა	დუნდულებზე ან სხეულის სხვა ნაწილზე დარტყმა მყარი საგნით	1
მძიმე ფიზიკური დასჯა	სახეზე, თავზე ან ყურებზე დარტყმა	4.2
მძიმე ფიზიკური დასჯა	მთელი ძალით ცემა	0.3

აღზრდის სხვადასხვა მეთოდის კომბინაციები

როგორც უკვე აღინიშნა, ბავშვების დიდი ნაწილის მიმართ გამოიყენება აღზრდის როგორც ძალადობრივი, ისე არაძალადობრივი მეთოდები. გარდა ამისა, რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვების მიმართ ერთდროულად აღზრდის რამდენიმე ფორმა გამოიყენება.

აღზრდის მეთოდების გარკვეული კომბინაციები უფრო გავრცელებულია სხვებთან შედარებით.


ნახატი 4 აჩვენებს, თუ როგორ არის გავრცელებული საქართველოში ბავშვის აღზრდის ხუთი ურთიერთგამომრიცხავი სტრატეგია (ეს კატეგორიები განსაზღვრულია იუნისეფის 2010 წლის შედარებით ანგარიშში):

- მხოლოდ არაძალადობრივი მეთოდები;
- ფსიქოლოგიური აგრესია ფიზიკური დასჯის გარეშე (არაძალადობრივ

- მეთოდებთან კომბინაციაში ან მათ გარეშე);
ფიზიკური დასჯა ფსიქოლოგიური აგრესიის გარეშე (არაძალადობრივ მეთოდებთან კომბინაციაში ან მათ გარეშე);
- ფსიქოლოგიური აგრესია ფიზიკურ დასჯასთან ერთად (არაძალადობრივ მეთოდებთან კომბინაციაში ან მათ გარეშე);
- არ არის გამოყენებული კითხვარში შემავალი აღზრდის არცერთი ფორმა.

შედეგები აჩვენებს, რომ კვლევის განხორციელებამდე ერთი თვის განმავლობაში ბავშვების 28% ერთდროულად ფიზიკური დასჯისა და ფსიქოლოგიური აგრესიის მსხვერპლი იყო, 38% - მხოლოდ ფსიქოლოგიური აგრესიის, ხოლო დაახლოებით 3% - მხოლოდ ფიზიკური დასჯის. ბავშვების 28%-ის მიმართ გამოიყენებოდა მხოლოდ არაძალადობრივი მეთოდები.

ნახატი 4 1-14 წლის ბავშვების წილი მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმების მიხედვით კვლევის განხორციელებამდე ბოლო ერთი თვის განმავლობაში



დამოკიდებულება ფიზიკური დასჯის მიმართ

სხვადასხვა კვლევა აჩვენებს, რომ ფიზიკური დასჯის მიმართ დადებითი დამოკიდებულება ამ პრაქტიკის გამოყენების მნიშვნელოვანი პრედიქტორია.³⁴ ამასთანავე, დადებითი დამოკიდებულება ფიზიკური დასჯის მიმართ ამცირებს ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტების აღიარებისა და გამჟღავნების ალბათობას³⁵. შესაბამისად, მშობელთა მიერ ფიზიკური დასჯის გამოყენების მოტივების გააზრება, დამოკიდებულების შესწავლა და კორექტირება ამ პრაქტიკის შემცირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.³⁶

34 Socolar, Rebecca RS, and Ruth EK Stein. "Spanking infants and toddlers: Maternal belief and practice". Pediatrics 95.1 (1995): 105-111.

35 Jent, J. F., Eaton, C. K., Knickerbocker, L., Lambert, W. F., Merrick, M. T., & Dandes, S. K. (2011). Multidisciplinary child protection decision making about physical abuse: Determining substantiation thresholds and biases. Children and youth services review, 33(9), 1673-1682.

36 Cappa, C., & Khan, S. M. (2011). Understanding caregivers' attitudes towards physical punishment of children: Evidence from 34 low-and middle-income countries. Child Abuse & Neglect, 35(12), 1009-1021.

ბავშვის მიმართ გამოყენებული დისციპლინის მოდული მრავალინდიკატორულ კლასტერულ კვლევაში მოიცავდა კითხვას მშობლებისა და მეურვეებისთვის ფიზიკური დასჯისადმი დამოკიდებულების შესახებ. მშობლებს და მეურვეებს ეკითხებოდნენ, მიიჩნევდნენ თუ არა ისინი ფიზიკურ დასჯას ბავშვის აღზრდის აუცილებელ მეთოდად.


საქართველოს მონაცემები აჩვენებს, რომ ფიზიკური დასჯის გამოყენების აუცილებლობას მშობლების მხოლოდ მცირე ნაწილი ეთანხმება.

იმ მშობელთა/მეურვეთა წილი, რომლებიც მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ფიზიკური დასჯის გამოყენებას, მხოლოდ 7%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი 1-14 წლის ბავშვებში ფიზიკური დასჯის გამოყენების რეალურ მაჩვენებლებზე გაცილებით დაბალია. შესაბამისად, შედეგები მიგვანიშნებს, რომ ფიზიკური ძალადობა იმ შინამეურნეოებშიც გამოიყენება, სადაც მშობლები არ აღიარებენ ბავშვის აღზრდისას ამ მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობას.

ამასთანავე, ქვეყნის დონეზე განხორციელებული ანალიზი ადასტურებს, რომ მეურვეთა და მშობელთა დადებითი დამოკიდებულება ფიზიკური დასჯის მიმართ კორელაციაშია ფიზიკური დასჯის რეალურ პრაქტიკასთან (ნახატი 5).

ბავშვები ფიზიკური დასჯის უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან, თუკი მათ მშობლებს სჯერათ, რომ ფიზიკური დასჯა აღზრდის აუცილებელი მეთოდია. იმ შინამეურნეოებში, სადაც დედა/მეურვე არ ემხრობა ფიზიკური დასჯის გამოყენებას, ფიზიკური დასჯის რეალური მაჩვენებელი 27%-ს შეადგენს, მაშინ, როდესაც იმ შინამეურნეოებში, სადაც დედა/მეურვე ფიზიკური დასჯის მომხრეა, მაჩვენებელი 64%-ს უტოლდება $X^2(2, N = 5533) = 275.170, P < 0.001$.

ნახატი 5 1-14 წლის ბავშვების წილი მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმების მიხედვით კვლევის განხორციელებამდე ბოლო ერთი თვის განმავლობაში და ფიზიკური დასჯის მიმართ მშობლის/მეურვეის დამოკიდებულების მიხედვით



აღზრდის არაძალადობრივი მეთოდების გამოყენების ანალიზი იმავე სურათს გვიჩვენებს, ოღონდ სხვა რაკურსით. იმ ბავშვების მიმართ, რომელთა მშობლები არ ემხრობიან ფიზიკურ დასჯას, უფრო ხშირად გამოიყენება აღზრდის მხოლოდ არაძალადობრივი მეთოდები $X^2(2, N = 5533) = 97.019, P < .001$. საქართველოს ეს შედეგები თანხვედრაშია მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შედეგებთან მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.³⁷

რეალურ პრაქტიკასა და დამოკიდებულებას შორის ურთიერთკავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი რჩება მას შემდეგაც, როცა ვაკონტროლებთ ბავშვისა და შინამეურნეობის სხვადასხვა მახასიათებელს, როგორიცაა ბავშვის სქესი, ფუნქციური სირთულეები, შინამეურნეობის ადგილმდებარეობა და სხვ. ამ ცვლადების გაკონტროლების შემდეგ ფიზიკური დასჯის გამოყენების ალბათობა ოთხჯერ უფრო მაღალია იმ შინამეურნეობებში, სადაც მშობლები დისციპლინის ამ ფორმას აღზრდის აუცილებელ კომპონენტად მიიჩნევენ (იხ. დანართი 5-21).

თუმცა, ზემოთ აღწერილი ტენდენციის მიუხედავად, საქართველოში ბევრია ისეთი ოჯახი, სადაც ფიზიკური ძალადობა გამოიყენება ამ მეთოდის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად.

დამოკიდებულებასა და რეალურ პრაქტიკას შორის ეს შეუსაბამობა შეიძლება იმით აიხსნას, რომ დედა/მეურვე, რომელიც პასუხობდა კითხვას ფიზიკური დასჯის მიზანშეწონილობის შესახებ, არ არის სრულად პასუხისმგებელი ოჯახის სხვა წევრების რეალურ ქცევაზე. მამები ან ოჯახის სხვა წევრები შესაძლოა ფიზიკურ დასჯას იმ შემთხვევაშიც იყენებდნენ, თუ ეს მეთოდი დედისთვის/მეურვისთვის არ არის მისაღები. გარდა ამისა, ეს შეუსაბამობა შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ მშობელმა კარგად არ იცის, როგორ გამოიყენოს ფიზიკური დასჯის ალტერნატიული, აღზრდის არაძალადობრივი მეთოდები², ან კითხვაზე პასუხის გაცემისას რესპონდენტებზე გავლენას ახდენდა სოციალური ნორმები და/ან კონკრეტული ემოციური განწყობა.³⁸

ანგარიშის შემდეგ თავებში განხილულია სხვა ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენებასთან.

37 UNICEF (2010). „Child Disciplinary Practices at Home“, 18.

38 Socolar, Rebecca RS, and Ruth EK Stein. „Spanking infants and toddlers: Maternal belief and practice.“ *Pediatrics* 95.1 (1995): 105-111.

აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტორები

საცხოვრებელი ადგილი

ქალაქში ან სოფლად ცხოვრება


აღრე განხორციელებული საერთაშორისო კვლევები ვერ გვაძლევს ცალსახა პასუხს შინამეურნეობის ადგილმდებარეობის (ქალაქი/სოფელი) და აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენების ურთიერთკავშირის შესახებ. ზოგიერთი კვლევა აჩვენებს, რომ სოფელში მცხოვრები ბავშვები ძალადობრივი აღზრდის უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან, ვიდრე ქალაქში მცხოვრები ბავშვები, თუმცა კვლევების ნაწილი ამ ჰიპოთეზას ვერ ადასტურებს და აჩვენებს, რომ ქალაქსა და სოფელს შორის ამ მხრივ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ არის.³⁹

საქართველოს მონაცემების მარტივი ანალიზი არ ავლენს მნიშვნელოვან განსხვავებებს სოფელსა და ქალაქს შორის აღზრდის მეთოდებში, თუმცა შემდგომი, უფრო დეტალური ანალიზი საინტერესო ნიუანსებს გვიჩვენებს.

უპირველეს ყოვლისა, დისბალანსი ძალადობრივი აღზრდის მეთოდების გამოყენებაში ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავდება იმის მიხედვით, თუ ძალადობის რომელ კონკრეტულ ფორმაზე გვაქვს საუბარი. მეორე, ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავებებზე გავლენას ახდენს თბილისის - საქართველოს დედაქალაქის - სურათი.

ქვემოთ მოცემულ ნახატზე ნაჩვენებია განსხვავებები აღზრდის ძალადობრივი ფორმების გამოყენების სიხშირეში სოფელს, ქალაქსა და თბილისს შორის.

ნახატი 6 1-14 წლის ბავშვების წილი კვლევის განხორციელებამდე ბოლო ერთი თვის განმავლობაში მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმების და შინამეურნეობის ადგილმდებარეობის მიხედვით



39 UNICEF (2010). „Child Disciplinary Practices at Home“, 18.


ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქალაქსა და სოფელში არ ვლინდება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები ფსიქოლოგიური აგრესიის გამოყენებაში, თუმცა სოფელში მცხოვრები ბავშვები ფიზიკური დასჯის უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან (34%) თბილისში მცხოვრებ ბავშვებთან შედარებით (26%) $X^2(2, N = 6797) = 40.449, P < 0.001$.

რეგიონების (თბილისის ჩათვლით) და შინამეურნეობის ფინანსური კეთილდღეობის ამსახველი სხვა ძირითადი ცვლადების (მაგალითად, ოჯახის უფროსის ეთნიკური წარმომავლობა და დევნილის სტატუსი, ბავშვის მახასიათებლები) გათვალისწინების შემდეგ ქალაქში ან სოფლად ცხოვრების ფაქტორის მასშტაბი და მიმართულება იცვლება. ანალიზი აჩვენებს, რომ ქალაქებში მცხოვრები ბავშვები ფიზიკური დასჯის ოდნავ უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან (იხ. დანართი 5-20). სავარაუდოდ, ოჯახის მატერიალური კეთილდღეობა და შინამეურნეობის სხვა მახასიათებლები ნაწილობრივ ხსნის განსხვავებებს სოფელსა და ქალაქს შორის ფიზიკური დასჯის გავრცელების მაჩვენებლებში (ეს ეფექტები უფრო დეტალურად ანგარიშის შემდგომ თავებშია აღწერილი).

რეგიონები

საქართველოში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მონაცემები აგრეთვე გვიჩვენებს მნიშვნელოვან განსხვავებებს რეგიონების მიხედვით ძალადობრივი მეთოდების გამოყენებაში. ფიზიკური დასჯის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქვემო ქართლში (40%) გამოვლინდა, ხოლო ყველაზე დაბალი იმერეთში (23%). ფსიქოლოგიური აგრესიის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გურიასა და შიდა ქართლში (74%) დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი სამცხე-ჯავახეთში (56%).

ნახატი 7 1-14 წლის ბავშვების წილი კვლევის განხორციელებამდე ბოლო ერთი თვის განმავლობაში მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმების და რეგიონების მიხედვით



შენიშვნა: იმერეთი გრაფიკზე ასახავს რეგიონების კლასტერს (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი).

იმისათვის, რომ უკეთ შევადაროთ და გავაანალიზოთ რეგიონების ეფექტი ძალადობრივი დისციპლინის გამოყენების ალბათობასთან მიმართებით, საკონტროლო ჯგუფად თბილისი გამოვიყენეთ და გავაკონტროლეთ სხვა მნიშვნელოვანი ცვლადები, როგორიცაა ქალაქში ან სოფლად ცხოვრება, შენამეურნეობისა და ბავშვის მახასიათებლები.

ქალაქში ან სოფლად ცხოვრების გაკონტროლებისას აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენების ალბათობა თბილისთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალია ოთხ რეგიონში: ქვემო და შიდა ქართლში, აჭარასა და გურიაში (იხ. დანართი 5-13). სიას ემატება კახეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი, როდესაც მონაცემებს აღზრდის კონკრეტული ფორმების - ფსიქოლოგიური და ფიზიკური დასჯის - მიხედვით ვაანალიზებთ (იხ. დანართები 5-16 და 5-19).

დანარჩენი რეგიონები - იმერეთი (რაჭა-ლეჩხუმთან და ქვემო სვანეთთან ერთად), სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთი - მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან თბილისისგან არც ძალადობრივი მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით და არც ძალადობრივი დისციპლინის კონკრეტული სახეების, როგორიცაა ფიზიკური დასჯა ან ფსიქოლოგიური აგრესია, მაჩვენებლებით.

ფიზიკური დასჯის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამ შემთხვევაშიც ქვემო ქართლში გამოვლინდა. ქალაქში ან სოფლად ცხოვრების გაკონტროლებისას ფიზიკური დასჯის ალბათობა აქ ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე თბილისში. თითქმის ორჯერ უფრო მაღალი ალბათობა ფიქსირდება კახეთსა და შიდა ქართლის რეგიონშიც (იხ. დანართი 5-19).

ფსიქოლოგიური აგრესიის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გურიასა და შიდა ქართლში დაფიქსირდა, სადაც აღზრდის ამ ფორმის გამოყენების ალბათობა თითქმის ორჯერ უფრო მაღალია დედაქალაქთან შედარებით (იხ. დანართი 5-16).

შემდგომი ანალიზი გვიჩვენებს რეგიონების ეფექტს მას შემდეგ, რაც გავითვალისწინებთ შინამეურნეობის სხვადასხვა მახასიათებელს, როგორიცაა შინამეურნეობის მატერიალური კეთილდღეობა, ოჯახის უფროსის ეთნიკური წარმომავლობა და დევნილის სტატუსი და სხვ. ამ ცვლადების დამატება მოდელში ცვლის ცალკეული რეგიონების ეფექტის მასშტაბს, რაც შეიძლება მიგვანიშნებდეს, რომ რეგიონებს შორის აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენების მხრივ განსხვავებები ნაწილობრივ შინამეურნეობების მახასიათებლებით შეიძლება აიხსნას. მაგალითად, ოჯახის უფროსის ეთნიკური წარმომავლობის გაკონტროლების შემდეგ ქვემო ქართლის რეგიონის ეფექტი მცირდება ფიზიკური დასჯის შემთხვევაში და უმნიშვნელო ხდება ფსიქოლოგიური აგრესიის შემთხვევაში (იხ. დანართები 5-20 და 5-17). ეს მიგნება მიუთითებს, რომ თბილისსა და ქვემო ქართლის რეგიონს შორის განსხვავებები აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გავრცელების ხარისხში მეტწილად ოჯახის/შინამეურნეობის უფროსის ეთნიკური წარმომავლობით აიხსნება.


ბავშვის ასაკი

ბავშვის ასაკი ძალადობრივი აღზრდის მეთოდების გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრედიქტორია. განხორციელებული კვლევების თანახმად, მცირე ასაკის ბავშვები უფრო ხშირად არიან ძალადობრივი მეთოდების მსხვერპლნი, ვიდრე უფროსი ასაკის ბავშვები⁴⁰. აღზრდის მეთოდების ასაკთან კავშირის შესასწავლად მრავალინდიკატორულ კლასტერულ კვლევაში მონაწილე ბავშვები ოთხ ასაკობრივ კატეგორიად დაიყვნენ: 1- 2 წელი, 3–4 წელი, 5–9 წელი და 10–14 წელი.

ანალიზის შედეგები საქართველოში თავსებადია ზოგად ტენდენციასთან, რომელიც ფართომასშტაბიან საერთაშორისო შედარებით ანგარიშში ფიქსირდება: კავშირი ბავშვის ასაკსა და აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენების სიხშირეს შორის წრფივი არ არის. თავდაპირველად ძალადობრივი მეთოდების გამოყენება იზრდება ასაკთან ერთად, პიკს 5-9 წლის ასაკში აღწევს და შემდეგ უფროსი ასაკის ბავშვებში იკლებს.

თუმცა ორი ქვეჯგუფის - ფსიქოლოგიური აგრესიისა და ფიზიკური ძალადობის - მიხედვით სურათის შედარებისას გარკვეულ განსხვავებებსაც ვხედავთ. კერძოდ, ფიზიკური დასჯისათვის პიკი 3-4 წლის ასაკია, ხოლო ფსიქოლოგიური აგრესიისათვის 5-9 წლის ასაკი.

ნახატი 8 1-14 წლის ბავშვების წილი კვლევის განხორციელებამდე ბოლო ერთი თვის განმავლობაში მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმების და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



ფიზიკური დასჯის მაჩვენებლები მერყეობს 19%-დან 10-14 წლის ასაკობრივ კატეგორიაში 43%-მდე 3-4 წლის ასაკობრივ კატეგორიაში. ფსიქოლოგიური აგრესიის მაჩვენებელი ყველაზე დაბალია 1-2 წლის ასაკობრივ კატეგორიაში (48%), ხოლო ყველაზე მაღალი 5-9 წლის ასაკობრივ კატეგორიაში (72%).

საცხოვრებელი ადგილის და ბავშვის სხვადასხვა მახასიათებლის (როგორცაა სქესი და შეზღუდული შესაძლებლობა) გათვალისწინების შემდეგ ასაკის ფაქტორი მაინც მნიშვნელოვნად უკავშირდება ძალადობრივი დისციპლინის გამოყენების ალბათობას (იხ. დანართები 5-13, 5-16, 5-19).

⁴⁰ UNICEF (2010). Child Disciplinary Practices at Home, 18; American Psychological Association. (2019). Resolution on physical discipline of children by parents

ბავშვის სქესი

საქართველოში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მონაცემთა ანალიზი ადასტურებს საერთაშორისო შედარებით ანგარიშში წარმოდგენილ მიგნებებს, რომ ბიჭები უფრო დიდი ალბათობით არიან ძალადობრივი აღზრდის ობიექტები, ვიდრე გოგონები.⁴¹ თუმცა ეს განსხვავებები დიდი არ არის. კერძოდ, შედეგების თანახმად, ბოლო ერთი თვის განმავლობაში საქართველოში აღზრდის ძალადობრივი მეთოდები გამოყენებული იქნა გოგონების 66%-ის და ბიჭების 71%-ის შემთხვევაში $X^2(1, N = 6797) = 16.207, P < .001$. ფსიქოლოგიური აგრესიის მაჩვენებელი გოგონებისთვის შეადგენს 64%-ს, ხოლო ბიჭებისთვის 68%-ს $X^2(1, N = 6797) = 13.694, P < .001$. ბიჭები, ასევე, უფრო დიდი ალბათობით არიან ფიზიკური დასჯის მსხვერპლნი (32% ბიჭებში და 29% გოგონებში) $X^2(1, N = 6797) = 6.735, P < .01$.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს განსხვავებებს ბავშვის სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. როგორც პროცენტული მაჩვენებლები მიგვითითებს, ძალადობრივი დისციპლინის გამოყენების მაჩვენებლებში მნიშვნელოვანი განსხვავებები მხოლოდ კონკრეტულ ასაკობრივ ჯგუფებში გვხვდება. კერძოდ, ფსიქოლოგიური აგრესიის მაჩვენებლები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება სქესის მიხედვით 5 წელზე მეტი ასაკის ბავშვებში. ბიჭები უფრო დიდი ალბათობით ხდებიან ფიზიკური დასჯის ობიექტები 1-2 წლის ასაკობრივ კატეგორიაში.

ზოგადად, მონაცემები მიუთითებს, რომ ბავშვის სქესი ძალადობრივი დისციპლინის გამოყენების მნიშვნელოვანი პრედიქტორია გარკვეულ ასაკობრივ ჯგუფებში. მცირე, თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები ბიჭებსა და გოგონებს შორის ფსიქოლოგიური აგრესიისა და ფიზიკური დასჯის გამოყენების მაჩვენებლებში შენარჩუნებულია მას შემდეგაც, როცა ბავშვისა და მისი ოჯახის სხვა მნიშვნელოვან მახასიათებლებს გავითვალისწინებთ (იხ. დანართი 5-17, 5-20).

ცხრილი 2 1-14 წლის იმ ბავშვების წილი, რომელთა მიმართ ბოლო ერთი თვის განმავლობაში გამოყენებული იქნა ძალადობრივი დისციპლინის სხვადასხვა ფორმა, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფი	ბავშვის სქესი	ნებისმიერი ძალადობრივი მეთოდი	ფსიქოლოგიური აგრესია	ფიზიკური დასჯა
1-2 წელი	გოგონა	51%	48%	21%
	ბიჭი	54%	47%	31%
3-4 წელი	გოგონა	71%	67%	41%
	ბიჭი	72%	68%	45%
5-9 წელი	გოგონა	71%	69%	34%
	ბიჭი	77%	75%	37%
10-14 წელი	გოგონა	65%	63%	19%
	ბიჭი	71%	70%	20%


შენიშვნა: სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები ნაჩვენებია მუქი ფერით

41 UNICEF (2010). Child Disciplinary Practices at Home, 18.

ბავშვის ფუნქციური სირთულეები

კვლევის ფარგლებში, ასევე, დადგინდა, რომ ფუნქციური სირთულეების მქონე ბავშვებში ფიზიკური დასჯისა და ფსიქოლოგიური აგრესიის მაჩვენებლები უფრო მაღალია $X^2 (1, N = 6342,) = 7.824, 11.951, P < .01$). ეს მიგნება, ასევე, თავსებადია ადრე განხორციელებულ კვლევებთან, რომლებშიც გარკვეული ფუნქციური შეზღუდვების მქონე ბავშვები განსაკუთრებულ რისკ-ჯგუფად არიან დასახელებულნი.⁴²

ნახატი 9 1-14 წლის ბავშვების წილი კვლევის განხორციელებამდე ბოლო ერთი თვის განმავლობაში მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმების და ფუნქციური სირთულეების მიხედვით



ბავშვის ასაკისა და სქესის გათვალისწინება ამ განსხვავებას კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის. ბავშვის სხვა მახასიათებლების გაკონტროლების შემდეგ ფუნქციური სირთულეების მქონე ბავშვებისთვის ფიზიკური დასჯის ალბათობა 1.5-ჯერ უფრო მაღალია, ხოლო ფსიქოლოგიური აგრესიისა 1.4 ჯერ უფრო მაღალი, ვიდრე იმ ბავშვებისთვის, რომელთაც ფუნქციური სირთულეები არ აღენიშნებათ (იხ. დანართები 5-16, 5-19).

განსაკუთრებით დიდია განსხვავებები მძიმე ფიზიკური დასჯის შემთხვევაში. კერძოდ, იმავე ცვლადების გაკონტროლებისას ფუნქციური სირთულეების მქონე ბავშვებისთვის მძიმე ფიზიკური დასჯის რისკი სამჯერ უფრო მაღალია იმ ბავშვებთან შედარებით, რომლებსაც ფუნქციური სირთულეები არ აქვთ.

შინამეურნეობა

შინამეურნეობის მატერიალური მდგომარეობა

შინამეურნეობის მატერიალური მდგომარეობა (სიმდიდრე) კომპლექსური, მრავალგანზომილებიანი ცვლადია, რომელიც ოჯახის ხილულ და ნაკლებად ხელშესახებ აქტივებს მოიაზრებს. ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრების თანახმად, არსებობს პირდაპირი კავშირი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის საზომებს (მაგალითად, ოჯახის შემოსავალი) და ბავშვის მიმართ ძალადობას შორის⁴³. თუმცა ოჯახის სიმდიდრის ეფექტი გაცილებით უფრო კომპლექსურია და რთული გზით, ხშირად ნაკლებად თვალსაჩინო, ფარული ან ირიბი ფორმით ზემოქმედებს მშობლობის პრაქტიკაზე.

42 Hendricks, C., & Lansford, J. E., Deater-Deckard, K., & Bornstein, M. H. (2014). Associations between child disabilities and caregiver discipline and violence in low- and middle-income countries. *Child Development*, 85, 513-531; American Psychological Association. (2019). Resolution on physical discipline of children by parents.

43 Merritt, D. H. (2009). Child abuse potential: correlates with child maltreatment rates and structural measures of neighborhoods. *Children and Youth Services Review*, 31(8), 927-934; Murphey, D.A. & Braner, M. (2000). Linking child maltreatment retrospectively to birth and home visit records: an initial examination. *Child Welfare*, 79(6), 711-728.

მაგალითად, კვლევები აჩვენებს, რომ ეკონომიკური სიდუხჭირე და სიღარიბე იწვევს ე.წ. ეკონომიკურ წნეხს, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება მშობლების ემოციურ სტრესს და უარყოფით გავლენას ახდენს შინამეურნეობის შიგნით პირად ურთიერთობებზე. ეს, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მშობლისა და ბავშვის ურთიერთობასა და აღზრდის პრაქტიკაზე და ბავშვის ზოგად მდგომარეობაზე ოჯახში.⁴⁴

ოჯახის ეკონომიკური სიდუხჭირე, შესაძლოა, ასევე იწვევდეს მეტ კონფლიქტებს, აგრესიას, ძალადობას ურთიერთობებში, მშობლების ნაკლებ ჩართულობას აღზრდის პროცესში, რაც ირიბად გავლენას ახდენს მშობლების მიერ ბავშვის ემოციური და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე, რადგან ბავშვს აკლია მშობლის ყურადღება, მხარდაჭერა პრობლემების გადაწყვეტისას და დახმარება სწავლის პროცესში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ეკონომიკური სტატუსისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ურთიერთმიმართების კონტექსტში არის სტრესი. ხანგრძლივი ეკონომიკური წნეხი ამცირებს ოჯახის წევრების ფსიქოლოგიურ რესურსებს ყოველდღიურ სტრესულ მოვლენებთან გასამკლავებლად, რასაც, თავის მხრივ, წვლილი შეაქვს მშობლობის არათანმიმდევრული პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.⁴⁵

ბავშვის მიმართ გამოყენებული დისციპლინის მეთოდებზე სიღარიბისა და სიმდიდრის გავლენის შესახებ თეორიული მსჯელობა რამდენიმე კონკრეტულ, მარტივ მაგალითში შეიძლება გამოიხატოს, რომლებიც აღწერილია იუნისეფის შედარებით ანგარიშში:

მატერიალური კეთილდღეობა შესაძლებლობას აძლევს მშობლებს, მეტი სტიმულირება გაუწიონ ბავშვს განვითარების პროცესში (სახლში და მის გარეთ), უზრუნველყონ მისთვის მეტი სათამაშო, დაიხმარონ სხვა ადამიანი ბავშვის აღზრდისას. ამან, შესაძლოა, შეამციროს უარყოფითი ქცევის გამოვლინება ბავშვებში და გააადვილოს მშობლის ფუნქციები.

მდიდარი მშობლები, შესაძლოა, იცნობდნენ აღზრდის უფრო მრავალფეროვან მეთოდებს, რადგან უფრო მეტად მიუწვდებოდათ ხელი სხვადასხვა საინფორმაციო და საგანმანათლებლო რესურსზე. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მდიდარ ოჯახებში ძალადობრივი დისციპლინის პრაქტიკა ნაკლებად ვლინდება.⁴⁶

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის ფარგლებში ფასდება შინამეურნეობის შედარებითი და არა აბსოლუტური სიმდიდრე. შინამეურნეობის მახასიათებლების მიხედვით, რესპონდენტები დაჯგუფებულები არიან ხუთ კატეგორიაში: ყველაზე ღარიბი 20%, მეორე, მესამე, მეოთხე და ბოლო - ყველაზე მდიდარი 20%. ეს შედარებითი მაჩვენებელი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ჯგუფების შედარებისთვის, თუმცა ნაკლებად გამოსადეგია შინამეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობის აბსოლუტური მნიშვნელობების ანალიზისას.


44 Evans, G. W., & Kim, P. (2013). Childhood poverty, chronic stress, self-regulation, and coping. *Child development perspectives*, 7(1), 43-48; Conger, R. D., Conger, K. J., & Martin, M. J. (2010). Socioeconomic status, family processes, and individual development. *Marriage and Family*, 72(3), 685-704.

45 Wadsworth, M. E., Raviv, T., Compas, B. E., & Connor-Smith, J. K. (2005). Parent and adolescent responses to poverty-related stress: Tests of mediated and moderated coping models. *Journal of child and Family Studies*, 14(2), 283-298.

46 UNICEF (2010). „Child Disciplinary Practices at Home“, 18.

შედეგები არ აჩვენებს საქართველოში ოჯახის სიმდიდრისა და ძალადობრივი დისციპლინის თანმიმდევრულ კორელაციას. თუმცა ძალადობრივი დისციპლინის ტიპების შემდგომი ანალიზი გარკვეულ განსხვავებებზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის სიმდიდრესა და ფსიქოლოგიურ ძალადობას შორის კავშირი ვერ იქნა ნაპოვნი, ეს ფაქტორი ავლენს ზომიერად ძლიერ ნეგატიურ კავშირს სხვა ტიპის ძალადობრივ დისციპლინასთან - ფიზიკურ დასჯასთან. კერძოდ, უფრო მდიდარი ოჯახები ნაკლებად იყენებენ ფიზიკური დასჯის მეთოდებს, ვიდრე ღარიბი ოჯახები $X^2(4, N = 6798) = 45.327, P < 0.001$.

ნახატი 10 1-14 წლის ბავშვების წილი ბოლო ერთი თვის განმავლობაში მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმების და შინამეურნეობის სიმდიდრის მიხედვით




ეს ეფექტი ქრება, როდესაც მოდელს სხვა ცვლადები ემატება (მაგალითად, შინამეურნეობის სიმჭიდროვე, მეურვის განათლება და სხვ. (იხ. დანართები 5-20, 5-21). ეს მიგნება იმაზე მიგვითითებს, რომ ოჯახის სიმდიდრის ეფექტი უკვე ასახულია ძალადობრივი დისციპლინის მარკენებელთა განსხვავებებში შინამეურნეობის სხვა მახასიათებლების მიხედვით.

შინამეურნეობის უფროსი ეთნიკური წარმომავლობა

შინამეურნეობის უფროსი ეთნიკური წარმომავლობის ძალადობრივ დისციპლინასთან ასოცირების უმარტივესი ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ ყველა ტიპის ძალადობრივი დისციპლინის მარკენებელი უფრო მაღალია იმ ოჯახებში, სადაც ოჯახის უფროსი აზერბაიჯანული ეთნიკური ჯგუფიდან არის.

ეს განსხვავებები უფრო დიდია ფიზიკური ძალადობის ქვეჯგუფში. იმ შინამეურნეობებში, სადაც უფროსი აზერბაიჯანული ეთნიკური ჯგუფიდან არის, ბავშვები ფიზიკური დასჯის უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან (53%) იმ ბავშვებთან შედარებით, სადაც შინამეურნეობის უფროსი ქართველია (28 %) $X^2(3, N = 6798) = 139.084, P < 0.001$

ნახატი 11 1-14 წლის ბავშვების წილი ბოლო ერთი თვის განმავლობაში მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმების და შინამეურნეობის უფროსის ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით




ეს ეფექტი მნიშვნელოვანი რჩება და კიდევ უფრო ძლიერდება მას შემდეგ, რაც მოდელში სხვა ცვლადებს ვაკონტროლებთ, როგორიცაა შინამეურნეობის ადგილმდებარეობა, ოჯახის და ბავშვის მახასიათებლები. ანალიზი აჩვენებს, რომ აზერბაიჯანულ ეთნიკურ ჯგუფში ფსიქოლოგიური აგრესიის გამოვლენის ალბათობა 2.6-ჯერ მაღალია ქართულ ეთნიკურ ჯგუფთან შედარებით (*იხ. დანართი 5-17*), ხოლო ფიზიკური დასჯის გამოვლენის ალბათობა 2.9-ჯერ უფრო მაღალი (*იხ. დანართი 5-20*).

ოჯახის უფროსის დევნილის სტატუსი

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც უკავშირდება ძალადობრივი დისციპლინის გავრცელებას საქართველოში, არის ოჯახის უფროსის დევნილის სტატუსი. ანალიზი აჩვენებს, რომ ბავშვები იმ ოჯახებიდან, სადაც ოჯახის უფროსს დევნილის სტატუსი აქვს, ძალადობრივი დისციპლინის უფრო მეტი რისკის ქვეშ არიან (75%), ვიდრე ისინი, რომელთა ოჯახის უფროსი არ არის დევნილი. (68 %) $\chi^2 (1, N = 6797 = 6.327, P < .01$. მსგავსი ტენდენცია აღინიშნება მაშინაც, როცა მონაცემებს ცალ-ცალკე ფიზიკური დასჯისა და ფსიქოლოგიური აგრესიისთვის ვაანალიზებთ.

ნახატი 12 1-14 წლის ბავშვების წილი ბოლო ერთი თვის განმავლობაში მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმების და შინამეურნეობის უფროსის დევნილის სტატუსის მიხედვით



ფიზიკური დასჯის შემთხვევაში ეფექტი მნიშვნელოვანი რჩება მას შემდეგაც, როცა ბავშვის მახასიათებლებთან ერთად შინამეურნეობის მახასიათებლებს ვითვალისწინებთ (იხ. დანართი 5-20).


შინამეურნეობაში ცხოვრობს ორივე მშობელი

კვლევები აჩვენებს, რომ მართლაც მშობლების ბავშვები უფრო ხშირად განიცდიან ძალადობრივ დისციპლინას, ვიდრე ორივე მშობელთან ერთად მცხოვრები ბავშვები.⁴⁷

საქართველოში არსებული მონაცემები მცირე, მაგრამ სტატისტიკურად მნიშვნელოვან საპირისპირო ეფექტს ამჟღავნებს. კერძოდ, იმ შინამეურნეობების ბავშვები, სადაც ორივე მშობელი ცხოვრობს, უფრო ხშირად ხდებიან ძალადობრივი დისციპლინის სუბიექტები (69%), ვიდრე ისინი, ვისი ერთი ან ორივე მშობელი არ ცხოვრობს შინამეურნეობაში (66%) $X^2 (1, N = 6796) = 4.108, P < 0.05$.

ეს ეფექტი მნიშვნელოვანი რჩება სხვა ცვლადების - შინამეურნეობის და ბავშვის მახასიათებლების - გაკონტროლების შემდეგ. თუმცა უფრო ღრმა ანალიზმა აჩვენა, რომ ეფექტი ქრება, როდესაც მოდელში შინამეურნეობის სიმჭიდროვეს ვამატებთ (შინამეურნეობის წევრთა საშუალო რაოდენობა ერთ საძინებელზე) (დანართი 5-14). ამ ცვლადის ეფექტი უფრო დეტალურად შემდეგ თავებშია განხილული.

ნახატი 13 1-14 წლის ბავშვების წილი ბოლო ერთი თვის განმავლობაში მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმების და შინამეურნეობაში ორივე მშობლის ცხოვრების მიხედვით



მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის ქალებისთვის განკუთვნილი კითხვარი, აგრეთვე, მოიცავდა კითხვას 15-დან 49 წლამდე ასაკის ქალებისთვის, იყვნენ თუ არა ისინი ოდესმე ქორწინებაში ან კავშირში. საქართველოში შედეგები ვერ აჩვენებს მნიშვნელოვან კორელაციას აღმზრდელის ოჯახურ მდგომარეობასა და ძალადობრივ დისციპლინას შორის. ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯის ფორმების მიხედვით ანალიზისას განსხვავებები ასევე არ არის მნიშვნელოვანი.

47 American Psychological Association. (2019). Resolution on physical discipline of children by parents.

შინამეურნეობის ზომა და სიმჭიდროვე

სხვა ქვეყნებში ამავე საკითხზე განხორციელებული კვლევები აჩვენებს, რომ შინამეურნეობის ზომა და სიმჭიდროვე ბავშვების მიმართ ძალადობრივი დისციპლინის გამოყენების რისკ-ფაქტორებია⁴⁸. როგორც შემოთავაზებულა, შინამეურნეობაში არსებულმა პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ემოციური სტრესი მშობლებში და ურთიერთობების არასტაბილურობა, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება გავლენა იქონიოს მშობლობის პრაქტიკაზე. ანალიზის მიზნებისათვის, საქართველოში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მონაცემთა საფუძველზე ორი კონკრეტული ცვლადი გამოითვალა.


ბავშვების რაოდენობა

პირველი ცვლადი ასახავს შინამეურნეობაში ბავშვების რაოდენობას - საქართველოს კვლევაში მონაწილე შინამეურნეობები წევრთა რაოდენობის მიხედვით შემდეგ სამ კატეგორიად დაიყო: ერთი შვილი, ორი ან სამი შვილი, სამზე მეტი შვილი.

ანალიზი აჩვენებს, რომ ძალადობრივი დისციპლინა უფრო ხშირია იმ შინამეურნეობებში, სადაც უფრო მეტი ბავშვია. ძალადობრივი დისციპლინის მაჩვენებელი ერთბავშვიან ოჯახში 60%-მდეა, ხოლო 3 ბავშვზე მეტი შინამეურნეობის შემთხვევაში - 80% $X^2(2, N = 6798) = 106.377, P < .001$.

ამავე მიმართულების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ასოციაციები დაფიქსირდა ფიზიკური დასჯისათვის ($X^2(2, N = 6798) = 7.512, P < .05$) და ფსიქოლოგიური აგრესიისათვის ($X^2(2, N = 6798) = 116.187, P < .001$). თუმცა, ფიზიკური დასჯის შემთხვევაში ეფექტის სიდიდე შედარებით მცირეა.

ნახატი 14 1-14 წლის ბავშვების წილი ბოლო ერთი თვის განმავლობაში მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმების და შინამეურნეობაში ბავშვების რაოდენობის მიხედვით



48 Socolar, Rebecca RS, and Ruth EK Stein. "Spanking infants and toddlers: Maternal belief and practice." *Pediatrics* 95.1 (1995): 105-111; Cappa, C., & Khan, S. M. (2011). Understanding caregivers' attitudes towards physical punishment of children: Evidence from 34 low-and middle-income countries. *Child Abuse & Neglect*, 35(12), 1009-1021.


სხვა ცვლადების (ბავშვის ასაკი, სქესი, ფუნქციური სირთულეები, შინამეურნეობის მახასიათებლები) გათვალისწინების შემდეგ შინამეურნეობაში ბავშვების რაოდენობის ფაქტორის ეფექტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი რჩება ძალადობრივი დისციპლინის ორივე ფორმისთვის - ფიზიკური დასჯისა და ფსიქოლოგიური აგრესიისათვის (დანართები 5-17, 5-20).

შინამეურნეობის სიმჭიდროვე (წევრთა საშუალო რაოდენობა ერთ საძინებელზე)

შინამეურნეობის სიმჭიდროვე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც საქართველოში ძალადობრივი დისციპლინის გამოყენებას უკავშირდება. ცვლადი გამოთვლილია როგორც ოჯახის წევრთა საერთო რაოდენობის და საცხოვრებელში არსებული საძინებლების შეფარდება. შინამეურნეობები ორ კატეგორიად დაჯგუფდა: ორ ადამიანამდე ერთ საძინებელზე, ორზე მეტი ადამიანი ერთ საძინებელზე.

ანალიზი ცხადყოფს, რომ ძალადობრივი დისციპლინა უფრო ხშირია უფრო მაღალი სიმჭიდროვის მქონე შინამეურნეობებში $X^2(1, N = 6797) = 28.568, P < .001$. განსხვავებები ყველაზე დიდია ფიზიკური დასჯის ქვეჯგუფში. იმ შინამეურნეობებში, სადაც სიმჭიდროვის მაჩვენებელი ერთ საძინებელზე ორ პირს არ აღემატება, ფიზიკური დასჯის მაჩვენებელი 25%-ს შეადგენს, ხოლო უფრო მაღალი სიმჭიდროვის მაჩვენებლის მქონე შინამეურნეობებში - 36%-ს $X^2(1, N = 6799) = 96.965, P < .001$.

ნახატი 15 1-14 წლის ბავშვების წილი ბოლო ერთი თვის განმავლობაში მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმების და შინამეურნეობის სიმჭიდროვის მიხედვით



შემდგომი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბავშვისა და შინამეურნეობის სხვა მახასიათებლების გაკონტროლების შემდეგ შინამეურნეობის სიმჭიდროვის ფაქტორის ეფექტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი რჩება. უფრო მეტიც, ეს ფაქტორი ხსნის ზოგიერთი სხვა ცვლადის გავლენას მოდელში (დანართები 5-17, 5-20).

მეურვეები და მშობლები


მეურვის განათლება

კვლევები თანმიმდევრულად აჩვენებს კავშირს აღმზრდელის განათლების სტატუსსა და ძალადობრივი დისციპლინის გამოყენების ალბათობას შორის. კერძოდ, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის წინა ციკლები ცხადყოფს ზოგად ტენდენციას, რომ რაც უფრო მაღალია აღმზრდელის განათლების დონე, მით უფრო დაბალია ძალადობრივი დისციპლინის მეთოდების გამოყენების ალბათობა.⁴⁹

საქართველოს მონაცემებიც იმავე ტენდენციაზე მიუთითებს.

ანალიზის მიზნით, მრავალინდიკატორულ კლასტერულ კვლევაში თავდაპირველად მოცემული განათლების ხუთი კატეგორია გაერთიანდა ორ დიდ ჯგუფში - აღმზრდელები უმაღლესი განათლებით და მის გარეშე. როგორც შედეგებიდან ჩანს, უმაღლესი განათლების მქონე აღმზრდელები ნაკლებად იყენებენ დისციპლინის ძალადობრივ მეთოდებს (ნახატი 16). განსხვავებები უფრო თვალსაჩინოა ფიზიკური დასჯის ქვეჯგუფში - უმაღლესი განათლების მქონე მშობლებში ფიზიკური დასჯის გამოყენების მაჩვენებელი 26%-ია, ხოლო უმაღლესი განათლების არმქონე მშობლებში - 34%. $X^2(1, N = 6796) = 50.717$, $P < .001$.

ნახატი 16 1-14 წლის ბავშვების წილი ბოლო ერთი თვის განმავლობაში მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმების და მეურვის/მშობლის განათლების მიხედვით



ეფექტი მნიშვნელოვანი რჩება სხვა ცვლადების გაკონტროლებისას. თუმცა, იგი ქრება, როდესაც მოდელში ვამატებთ შინამეურნეობის სხვა მახასიათებლებს (დანართი 5-18, 5-21).


მეურვის ფუნქციური სირთულები

მოზრდილთა ფუნქციური სირთულებების მოდული მოიცავს კითხვების მოკლე ბლოკს, რომელიც გაეროს სტატისტიკის კომისიამ შეიმუშავა. ეს კითხვები ზომავს ფუნქციურ სირთულებს ექვსი მიმართულებით: ხედვას, სმენას, სიარულს, შემეცნებას, საკუთარ თავზე ზრუნვას და კომუნიკაციას.

⁴⁹ UNICEF (2010). „Child Disciplinary Practices at Home“, 18.

კითხვები ჩართულია 18-49 წლის ქალებისა და მამაკაცებისთვის განკუთვნილ კითხვარებში. საქართველოში ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, რომ აღმზრდელის ფუნქციური სირთულეები ბავშვთა მიმართ დისციპლინის ძალადობრივი მეთოდების გამოყენების რისკ-ფაქტორია. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია აღმზრდელის ფუნქციური სირთულის სტატუსსა და ძალადობრივ დისციპლინას შორის გვხვდება როგორც ფიზიკურ ($X^2 (1, N = 6419) = 8.122, P < .01$), ასევე, ფსიქოლოგიურ აგრესიასთან მიმართებაში ($X^2 (1, N = 6420) = 33.260, P < .001$).

ნახატი 17 1-14 წლის ბავშვების წილი ბოლო ერთი თვის განმავლობაში მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმების და მეურვის/მშობლის ფუნქციური სირთულეების მიხედვით



სხვა ცვლადების გათვალისწინება, როგორცაა ბავშვის დაშინამეურნეობის მახასიათებლები, არ ამცირებს ფაქტორის ეფექტს. შედეგები ცხადყოფს, რომ ძალადობრივი დისციპლინის გამოყენების ალბათობა საშუალოდ ორჯერ მეტია იმ ბავშვების შემთხვევაში, რომელთა მშობლებს ფუნქციური სირთულეები აქვთ (დანართი 5-15).

ფაქტორის ეფექტის სიდიდე გარკვეულწილად მცირეა ფიზიკური დასჯისთვის, ფსიქოლოგიურ დასჯასთან შედარებით. თუმცა ის მნიშვნელოვანი რჩება ძალადობრივი დისციპლინის ორივე ფორმისთვის (დანართები 5-18, 5-21).


კეთილდღეობის სუბიექტური აღქმა მშობლის/მეურვის მიერ

კეთილდღეობის სუბიექტური აღქმა სხვადასხვა ასპექტის შესახებ (მაგ. შემოსავლის, ჯანმრთელობის, საცხოვრებელი გარემოს და ა.შ.) ინდივიდის შეხედულებების საფუძველზე ყალიბდება.⁵⁰

საქართველოს 2018 წლის მრავალინდიკატორულ კლასტერულ კვლევაში მეურვეებს/მშობლებს უნდა შეეფასებინათ, რამდენად ბედნიერად გრძნობდნენ ისინი თავს. რესპონდენტების დასახმარებლად მათ აჩვენებდნენ ბარათს სხვადასხვა ემოციის გამომხატველი სახეებით, რომლებიც შეესაბამებოდა შემდეგ პასუხებს: „ძალიან ბედნიერი“, „გარკვეულწილად ბედნიერი“, „არც ბედნიერი და არც უბედური“, „გარკვეულწილად უბედური“ და „ძალიან უბედური“. ანალიზის მიზნებისათვის პასუხები „გარკვეულწილად უბედური“ და „ძალიან უბედური“ ერთ კატეგორიაში გაერთიანდა, ხოლო დანარჩენი პასუხები მეორე კატეგორიაში. შედეგების თანახმად, ის მშობლები, რომლებიც საკუთარ თავს უფრო ბედნიერად მიიჩნევენ, ნაკლებად იყენებენ აღზრდის ძალადობრივ მეთოდებს (ნახატი 18). განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია როგორც ფიზიკური დასჯის $X^2 (1, N = 6372) = 23.432, P < .001$, ასევე ფსიქოლოგიური აგრესიის შემთხვევაში $X^2 (1, N = 6372) = 14.217, P < .001$.

50 UNICEF (2010). „Child Disciplinary Practices at Home“, 18.

ნახატი 18 1-14 წლის ბავშვების წილი ბოლო ერთი თვის განმავლობაში მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმების და მეურვის/მშობლის მიერ კეთილდღეობის სუბიექტური აღქმის მიხედვით




ეფექტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი რჩება კონტექსტის ცვლადების გაკონტროლების შემდეგაც (დანართები 5-18, 5-21).

მშობელი - დისკრიმინაციის მსხვერპლი

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის კითხვების ნაწილი შეისწავლიდა, იყო თუ არა მეურვე/მშობელი ბოლო 12 თვის განმავლობაში დისკრიმინაციისა და შევიწროების მსხვერპლი. კითხვებზე პასუხის გასამარტივებლად კითხვარი შეიცავდა დისკრიმინაციის ან შევიწროების სხვადასხვა პოტენციურ საფუძველს, როგორიც არის, მაგალითად, ეთნიკური წარმომავლობა, ემიგრანტის სტატუსი, სქესი, სექსუალური ორიენტაცია და ასაკი, რელიგია ან რწმენა და შეზღუდული შესაძლებლობები. ანალიზისთვის საკმარისი შემთხვევების უზრუნველსაყოფად ის რესპონდენტები, რომლებმაც განაცხადეს, რომ განიცადეს დისკრიმინაცია ზემოთ ჩამოთვლილი თუნდაც ერთი ნიშნით, გავაერთიანეთ ერთ ჯგუფში და შევადარეთ მათ, ვისაც კვლევაში 12 თვის განმავლობაში არ განუცდია რაიმე სახის დისკრიმინაცია ან შევიწროება.

შედეგები აჩვენებს, რომ ბავშვები უფრო ხშირად განიცდიან ძალადობრივ დისციპლინას, თუ მათი აღმზრდელები თავს დისკრიმინაციისა და შევიწროების მსხვერპლად მიიჩნევენ $\chi^2(1, N = 6796) = 13.715, P < .001$).

ნახატი 19 1-14 წლის ბავშვების წილი ბოლო ერთი თვის განმავლობაში მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმების და მეურვის/მშობლის მიერ დისკრიმინაციის აღქმის მიხედვით (მშობელი/მეურვე თავს მიიჩნევს დისკრიმინირებულად)



შემდგომი ანალიზი აჩვენებს, რომ ამ ფაქტორის ეფექტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი რჩება სხვა ძირითადი ცვლადების (ბავშვის, შინამეურნეობის და აღზრდელის სხვა მახასიათებლები) გათვალისწინების შემდეგაც (დანართები 5-18, 5-21). განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეფექტი ფიზიკური დასჯის შემთხვევაში. კერძოდ, იმ ბავშვებისთვის, რომელთა მშობლები თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევენ, ფიზიკური დასჯის ალბათობა 1.6-ჯერ უფრო მაღალია.

ძალადობრივი დისციპლინა და მშობლობის პრაქტიკა

ბავშვის მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმები მშობლისა და ბავშვის ურთიერთობის უფრო ფართო კონტექსტის ნაწილია. დისციპლინის მეთოდებთან ერთად, ბავშვის სოციალურ, ემოციურ და კოგნიტურ განვითარებაზე მშობელთან ურთიერთობის ბევრი სხვა ასპექტიც ახდენს გავლენას⁵¹. შეუფერხებელი, მოქნილი და ურთიერთნდობაზე დამყარებული კომუნიკაცია, მშობლების დახმარება და ზრუნვა ბავშვის ჯანმრთელი განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში⁵². კვლევები აჩვენებს, რომ ყურადღებიანი და ემპათიური დამოკიდებულება ბავშვის მიმართ ე.წ. „ბუფერის“ ფუნქციას ასრულებს და „არბილებს“ მშობლობის ზოგიერთი პრაქტიკის უარყოფით ეფექტებს, განსაკუთრებით მაღალი რისკის მქონე სოციალური ფონის მქონე ოჯახებში⁵³.

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის კითხვარი მოიცავდა რამდენიმე კითხვას სხვადასხვა აქტივობებში მშობელთა ჩართულობის შესახებ (მაგალითად, ბავშვისთვის წიგნების კითხვა, ერთად თამაში და ა.შ.)

ანგარიშის ამ თავში ყურადღება გამახვილებულია იმის გარკვევაზე, არსებობს თუ არა კავშირი აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენებასა და მშობლობის სხვა, სათანადო პრაქტიკას შორის, ანუ არიან თუ არა ძალადობრივი დისციპლინის მსხვერპლი ბავშვები ასევე მოკლებულნი პოზიტიური აღზრდის სხვადასხვა ფორმას.

წიგნები სახლში

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა შეიცავდა კითხვას სახლში წიგნების რაოდენობის შესახებ. რესპონდენტებმა აღნიშნეს, თუ რამდენი წიგნი ჰქონდათ სახლში. შინამეურნეობები დაიყო შემდეგ სამ კატეგორიად: შინამეურნეობაში არ არის წიგნები, შინამეურნეობაში არის 1-9 წიგნი და შინამეურნეობაში არის 10 ან მეტი წიგნი.

საქართველოს შედეგების თანახმად, წიგნების რაოდენობა სახლში უარყოფით კორელაციაშია აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენებასთან. საერთაშორისო შედეგებისაგან განსხვავებით, რომლებიც შერეულ სურათს გვიჩვენებს, საქართველოს შინამეურნეობებში წიგნების რაოდენობა კორელაციაშია ძალადობრივი დისციპლინის


51 Eshel, N., Daelmans, B., Mello, M. C. D., & Martines, J. (2006). Responsive parenting: interventions and outcomes. Bulletin of the World Health Organization, 84, 991-998.

52 Landry, S. H. (2008). The role of parents in early childhood learning. Encyclopedia on early childhood development, 1-6.

53 Taylor, C. (2004). Underpinning knowledge for child care practice: reconsidering child development theory. Child & Family Social Work, 9(3), 225-235.

ორივე ფორმასთან - ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ დასჯასთან. უფრო მეტი წიგნის მქონე ოჯახები ნაკლებად იყენებენ ბავშვების მიმართ აღზრდის ძალადობრივ ფორმებს $X^2 (2, N = 5741) = 20.051, P < .001$). განსხვავება უფრო დიდია ფიზიკური დასჯის შემთხვევაში - 12%-ს შეადგენს იმ შინამეურნეობებს, რომლებსაც წიგნები არ აქვთ, და იმ შინამეურნეობებს შორის, რომლებსაც 10-ზე მეტი წიგნი აქვთ $X^2 (2, N = 5742) = 62.852, P < .001$).

ნახატი 20 1-14 წლის ბავშვების წილი ბოლო ერთი თვის განმავლობაში მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინის ფორმების და შინამეურნეობაში წიგნების რაოდენობის მიხედვით




შემდგომი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბავშვის მახასიათებლებისა და შინამეურნეობების ადგილმდებარეობის გაკონტროლების შემდეგ წიგნების რაოდენობის ეფექტი ინარჩუნებს სტატისტიკურ მნიშვნელობას, თუმცა ქრება, როდესაც მოდელს ემატება შინამეურნეობის სხვა მახასიათებლები, როგორიცაა სიმჭიდროვე და ოჯახის უფროსის ეთნიკური წარმომავლობა. ეს მიგნება მიგვანიშნებს, რომ განსხვავებები შინამეურნეობებს შორის წიგნების რაოდენობის მიხედვით და ძალადობრივი დისციპლინის გამოყენების სიხშირე შინამეურნეობების სხვა მახასიათებლებითაც შეიძლება აიხსნას (დანართები 5-15, 5-18, 5-21).

პოზიტიური მშობლობა და ადრეული განვითარების ხელშეწყობა

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის კითხვარით შეგროვდა ინფორმაცია პოზიტიური მშობლობის სხვადასხვა პრაქტიკაზე, რომლებიც ბავშვის ადრეული განვითარების ხელშეწყობს სტრატეგიებად ითვლება: წიგნების კითხვა ან ილუსტრაციების დათვალიერება, ამბების/ზღაპრების მოყოლა, სიმღერა, ბავშვებთან თამაში, სეირნობა, დროის ერთად გატარება, თვლა ან ხატვა. მშობლებს/მეურვეებს ჰკითხეს, ბოლო სამი დღის განმავლობაში იყვნენ თუ არა ისინი ჩართულები ჩამოთვლილ აქტივობებში. ის მშობლები, რომლებმაც ოთხზე მეტი აქტივობა მიუთითეს, გააერთიანეს ერთ ჯგუფში და შეადარეს მათ, ვინც ნაკლები აქტივობა მიუთითა.

ამ ორ კატეგორიაში ძალადობრივი მეთოდების გამოყენების შედარებისას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა. ფსიქოლოგიური და ფიზიკური დასჯის გამოყენების რისკი უფრო დაბალია იმ შინამეურნეობებში, რომლებშიც მშობლები უფრო აქტიურად არიან ჩართულნი ზემოთ ჩამოთვლილ აქტივობებში $X^2 (1, N = 1606, 1605) = 7.956, 8.301, P < .05, P < .01$).

ნახატი 21 2-4 წლის ბავშვების წილი მათ მიმართ ბოლო ერთი თვის განმავლობაში გამოყენებული ძალადობრივი დისციპლინის ფორმებისა და მშობელთა ჩართულობის მიხედვით



ბავშვებზე მეთვალყურეობა


მრავალინდიკატორულ კლასტერულ კვლევაში მონაწილე მშობლებს სთხოვეს, აღენიშნათ, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში დარჩა თუ არა 0-59 თვის ასაკის ბავშვი სახლში მარტო მშობლის მეთვალყურეობის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შერჩევა არ გვადლევს საკმარის მონაცემებს სანდო დასკვნებისთვის, პირველადი ანალიზი ცხადყოფს ტენდენციას, რომ არასათანადო მეთვალყურეობასა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯის ალბათობას შორის დადებითი ურთიერთკავშირია.

დახმარება საშინაო დავალების შესრულებაში

კვლევის ერთ-ერთი საინტერესო დასკვნაა ის, რომ მშობლები, რომლებიც უფრო მეტად ეხმარებიან შვილებს საშინაო დავალებების შესრულებაში, უფრო მეტი ალბათობით იყენებენ აღზრდის ძალადობრივ მეთოდებსაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბავშვები, რომლებიც საშინაო დავალებებში უფრო მეტ დახმარებას იღებენ, უფრო ხშირად განიცდიან ფსიქოლოგიურ აგრესიას $X^2 (1, N = 3643) = 37.057, P < .001$ და ფიზიკურ დასჯას $X^2 (1, N = 3642) = 48.045, P < .001$

ნახატი 22 ძალადობრივი დისციპლინის მსხვერპლი ბავშვების წილი საშინაო დავალებების შესრულებაში მშობლის ჩართულობის მიხედვით (მშობელი ეხმარებოდა ბავშვს საშინაო დავალების შესრულებაში ბოლო 12 თვის განმავლობაში)



ეს მიგნება საინტერესო გზავნილს შეიცავს: ბავშვზე ზრუნვის პროცესში მშობლებმა შესაძლოა უნებლიეთ დიდი შეცდომა დაუშვან სწავლაში დახმარების მოტივით.

საქართველოში PIRLS⁵⁴–ის თვისებრივი კვლევის 2016 წლის შედეგების ინტერპრეტაციის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საჭიროა უფრო მეტი საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამები მშობლებისთვის, რათა მათ უკეთ გააცნობიერონ საკუთარი როლი სწავლაში ბავშვის დახმარებაში და შეძლონ შესაბამისი ეფექტიანი სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენება⁵⁵.

54 წიგნიერების საერთაშორისო კვლევას (PIRLS - Progress in International Reading Literacy Study) საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია (IEA) 2001 წლიდან ხუთ წელიწადში ერთხელ ატარებს. საქართველო PIRLS-ში 2006 წლიდან ჩაერთო. კვლევა მიზნად ისახავს 9-10 წლის (მეოთხეკლასელი) მოსწავლეების კითხვის უნარების შეფასებას.

55 NAEC (2019). PIRLS შედეგების ინტერპრეტაცია - საქართველოს მოსწავლეებისა და მასწავლებლების მოსაზრებები.

ქალაქობრივი დისციპლინა და ბავშვის განვითარება

ბავშვის ადრეული განვითარება

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა შეიცავდა მოდულს, რომელიც ბავშვის ადრეული განვითარების თავისებურებებს აფასებდა. ბავშვთა ადრეული განვითარება მრავალგანზომილებიანი ცნებაა და გულისხმობს მოტორული, კოგნიტური, ენობრივი, სოციალურ-ემოციური და რეგულაციური უნარებისა და შესაძლებლობების თანმიმდევრულ განვითარებას ცხოვრების პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში⁵⁶. ფიზიკური ზრდა, წიგნიერება, სოციალურ-ემოციური განვითარება და სწავლისათვის მზადყოფნა ბავშვის ზოგადი განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტებია, რომლებიც ქმნიან საფუძველს შემდგომი სრულფასოვანი ცხოვრებისთვის - ჯანმრთელობის, სწავლისა და კეთილდღეობისთვის⁵⁷.

ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების ინდექსის (ECDI) გამოსათვლელად კვლევაში გამოყენებული იქნა 10 პუნქტიანი მოდული. ECDI-ს ძირითადი მიზანია საქართველოში ბავშვების განვითარების სტატუსთან დაკავშირებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა. ინდექსი ემყარება განვითარების გარკვეულ ნიშნულებს, რომელთა მიღწევა ბავშვების მიერ 3 და 4 წლის ასაკშია მოსალოდნელი. ინდექსში შემავალი ათი საკითხის საშუალებით იზომება, თუ რამდენად შეესაბამება ბავშვის განვითარება სამიზნე ნიშნულებს ოთხი ძირითადი განზომილების მიხედვით:

- წიგნიერება: ბავშვს შეუძლია სულ მცირე 10 ასოს იდენტიფიცირება, სულ მცირე ოთხი მარტივი, პოპულარული სიტყვის წაკითხვა და 1-დან 10-მდე რიცხვითი სიმბოლოს ამოცნობა და დასახელება. თუ ბავშვი ჩამოთვლილთაგან ორ დავალებას ასრულებს, მიიჩნევა, რომ იგი ამ თვალსაზრისით სათანადოდ ვითარდება.
- ფიზიკური განვითარება: ბავშვს შეუძლია ორი თითის გამოყენებით მიწიდან აიღოს პატარა ობიექტი (მაგალითად, ქვა, ჭოხი) და/ან დედა/მეურვე არ აღნიშნავს, რომ ბავშვი ზოგჯერ ცუდად გრძნობს თავს და არ შეუძლია თამაში, მიიჩნევა, რომ იგი ფიზიკური თვალსაზრისით სათანადოდ ვითარდება.
- სოციალურ-ემოციური განვითარება: ბავშვი ადვილად ურთიერთობს სხვა ბავშვებთან, ხელს არ კრავს, არ კბენს ან არ ურტყამს სხვა ბავშვებს და ადვილად არ გამოდის წყობილებიდან. თუ ბავშვის ქცევა ჩამოთვლილთაგან ორ პუნქტს მაინც შეესაბამება, მიიჩნევა, რომ იგი ამ თვალსაზრისით სათანადოდ ვითარდება.
- სწავლა: თუ ბავშვი მიჰყვება მარტივ ინსტრუქციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გააკეთოს რაღაც სწორად და/ან შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს მისთვის მიცემული რაიმე დავალება, მიიჩნევა, რომ იგი ამ თვალსაზრისით სათანადოდ ვითარდება.

56 UNICEF et al. Advancing Early Childhood Development: From Science to Scale. The Lancet, 2016. https://www.thelancet.com/pb-assets/Lancet/stories/series/ecd/Lancet_ECD_Executive_Summary.pdf.


57 Shonkoff, J. and D. Phillips. From Neurons to Neighborhoods: The Science of Early Childhood Development. Washington, D.C.: National Academy Press, 2000; United Nations Children's Fund, Early Moments Matter, New York: UNICEF, 2017.

ECDI იანგარიშება როგორც იმ ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებსაც დადებითი ქულა აქვთ აღნიშნული ოთხიდან სამ განზომილებაში მაინც⁵⁸.

ძალადობრივ დისციპლინასა და ბავშვის ადრეულ განვითარებას შორის ურთიერთკავშირის შესასწავლად ძალადობრივი დისციპლინის გამოყენების პროცენტული მაჩვენებლები შედარდა ბავშვების ორ ქვეჯგუფში - ECDI ინდექსის მიხედვით დადებითი ქულის მქონე და არმქონე ბავშვებში.

ანალიზი აჩვენებს, რომ ძალადობრივი დისციპლინის მაჩვენებლები უფრო მაღალია იმ ბავშვებში, რომელთა განვითარების დინამიკა არ შეესაბამება ECDI ნიშნულებს. კერძოდ, მაჩვენებლებს შორის სხვაობა ორ ქვეჯგუფში შეადგენს 19%-ს ფსიქოლოგიური აგრესიის შემთხვევაში $X^2(1, N = 1095) = 15.942, P < .001$ და 25%-ს ფიზიკური დასჯის შემთხვევაში $X^2(1, 1095) = 26.186, P < .001$.

ნახატი 23 ძალადობრივი დისციპლინის მსხვერპლი ბავშვების წილი (ასაკი 2-4 წელი) ადრეული განვითარების ინდექსის მიხედვით



განვითარება უფროსი ასაკის ბავშვებში

როგორც ანგარიშის სხვა თავებში იყო განხილული, ბავშვის მიმართ გამოყენებული დისციპლინის მეთოდებსა და მშობლობის პრაქტიკის სხვა ასპექტებს გრძელვადიანი ეფექტი აქვთ ბავშვის განვითარებაზე.⁵⁹

ამ თავში ყურადღება გამახვილებულია ძალადობრივი დისციპლინის მეთოდების გამოყენებასა და 5-14 წლის ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასპექტს შორის, როგორიცაა: სწავლა, დამახსოვრება, კონცენტრირება, ცვლილებისადმი მზაობა, ქცევის კონტროლი, თანატოლებთან ურთიერთობა, შფოთვა და დეპრესია.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ინდიკატორული კლასტერული კვლევა ცალკეულ შემთხვევებში არ იძლევა საკმარის მონაცემებს სათანადო დასკვნების გამოსატანად, შედეგები მიუთითებს მნიშვნელოვან კავშირებზე ძალადობრივი დისციპლინის გამოყენებასა და ბავშვის განვითარების დინამიკას შორის.

58 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2019). საქართველოს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა 2018, ანგარიში კვლევის შედეგების შესახებ. თბილისი, საქართველო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

59 American Psychological Association. (2019). Resolution on physical discipline of children by parents; Patterson, G. R., DeBaryshe, B. D., & Ramsey, E. (1989). A developmental perspective on antisocial behavior (Vol. 44, No. 2, p. 329). American Psychological Association. Gershoff, E.T. (2002a) "Corporal punishment by parents and associated child behaviors and experiences: A meta-analytic and theoretical review" Psychological Bulletin, 128(4):539–579; Gershoff, E.T. (2002b) "Corporal punishment, physical abuse, and the burden of proof: Reply to Baumrind, Larzelere, and Cowan (2002), Holden (2002), and Parke (2002)" Psychological Bulletin, 128(4):602–611

ჩამოთვლილ ასპექტებში გარკვეული სირთულეების მქონე ბავშვების მიმართ ძალადობრივი დისციპლინის გამოყენების ალბათობა უფრო მაღალია.

- სწავლის სირთულეების მქონე ბავშვები უფრო ხშირად ხდებიან ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯის მსხვერპლნი.
- ასევე, შფოთვითი პრობლემების მქონე ბავშვებში უფრო დიდია ფსიქოლოგიური აგრესიისა და ფიზიკური დასჯის მაჩვენებლები.
- ფიზიკური დასჯისა და ფსიქოლოგიური აგრესიის მაჩვენებლები უფრო მაღალია იმ ბავშვებშიც, რომლებსაც აღენიშნებათ სირთულეები ქცევის კონტროლისას, კონცენტრაციისას, ცვლილებების მიღებისას და თანატოლებთან დამეგობრებისას (ნახატი 24, დანართები 5-25, 5-26)

ნახატი 24 ძალადობრივი დისციპლინის მსხვერპლთა წილი (ასაკი 5-14) გარკვეულ ფუნქციურ ასპექტებში სირთულეების მიხედვით

	ფსიქოლოგიური აგრესია		ფიზიკური დასჯა	
სწავლა				
არ აქვს სწავლის სირთულეები	69%		27%	
აქვს სწავლის სირთულეები	75%		44%	
შფოთვა				
აქვს შფოთვითი პრობლემები	64%		26%	
არ აქვს შფოთვითი პრობლემები	73%		30%	
კონცენტრაცია				
არ აქვს კონცენტრაციის სირთულეები	69%		28%	
აქვს კონცენტრაციის სირთულეები	80%		37%	
ცვლილებების მიღება				
არ აქვს ცვლილებების მიღების სირთულეები	69%		28%	
აქვს ცვლილებების მიღების სირთულეები	73%		32%	
ქცევის კონტროლი				
არ აქვს ქცევის კონტროლის სირთულეები	68%		26%	
აქვს ქცევის კონტროლის სირთულეები	83%		46%	
თანატოლებთან დამეგობრება				
არ აქვს დამეგობრების სირთულეები	70%		28%	
აქვს დამეგობრების სირთულეები	71%		35%	

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შედეგები არ გვაძლევს ზუსტი მიზეზშედეგობრივი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას, თუმცა მიგნებები მიგვითითებს, რომ ძალადობრივი დისციპლინა მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტია იმ პრობლემათა ჯგუფში, რომლებსაც ბავშვები შეიძლება ერთდროულად აწყდებოდნენ. საქართველოში მიღებული შედეგები თანხვედრაშია მსოფლიოს ტენდენციასთან - ძალადობრივი აღზრდის მსხვერპლ ბავშვებში უფრო ხშირია განვითარების შეფერხებები და ფუნქციური სირთულეები.

ქირითადი მიზნობები და დასკვნები

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა საქართველოში მშობლების მიერ გამოყენებული ძალადობრივი დისციპლინის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და სისტემური ანალიზის პირველი ფართომასშტაბიანი მცდელობაა. ძალადობრივი დისციპლინა ბავშვთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ფარმაა. მონაცემთა შეგროვების გარკვეული შეზღუდვების და თვითშეფასებაზე დაფუძნებული გამოკითხვისათვის დამახასიათებელი შესაძლო მიკერძოების მიუხედავად, მშობელთა და მეურვეთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის პრობლემის მასშტაბის, მიზეზებისა და შედეგების შესახებ და გვებმარება ჩარევასთან და პრევენციასთან დაკავშირებული სტრატეგიების დაგეგმვაში.

საერთო ჯამში, საქართველოს სპეციფიკურ კონტექსტში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების სპექტრი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მსოფლიოში გამოვლენილი ზოგადი ტენდენციებისგან, რომლებიც ჯერ კიდევ ათი წლის წინ იქნა აღწერილი ქვეყნების შედარებით ანგარიშებში.

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ძალადობრივი დისციპლინის პრაქტიკა საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული:

- გამოკითხვამდე ერთი თვის განმავლობაში 1-14 წლის ბავშვების 70% ძალადობრივი დისციპლინის მსხვერპლი აღმოჩნდა.
- ბავშვების 66% განიცდიდა ფსიქოლოგიურ აგრესიას, ხოლო დაახლოებით 31% ფიზიკურ დასჯას. ფიზიკური დასჯის მსხვერპლთა გარკვეული ნაწილის (5%) მიმართ გამოყენებული იყო ფიზიკური დასჯის მძიმე ფორმები.
- დისციპლინის ძალადობრივი ფორმების დეტალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ შინამეურნეობების ნახევარზე მეტში ბავშვს უყვიროდნენ, ბავშვების 20%-ს კი ხელი დაარტყეს.
- არაძალადობრივი დისციპლინის ფორმები უფრო მეტად არის გავრცელებული საქართველოში ძალადობრივ მეთოდებთან შედარებით. მაგალითად, მშობლების 90%-ზე მეტმა კვლევამდე ერთი თვის განმავლობაში ერთხელ მაინც სცადა ბავშვისთვის აეხსნა, თუ რატომ არის მისი ქცევა არასწორი. ეს მეთოდი, ზოგადად, ყველაზე ხშირად გამოიყენება საქართველოში; თუმცა არაძალადობრივ მეთოდებს მშობლები ხშირად ძალადობრივი დისციპლინის სხვადასხვა ფორმასთან კომბინაციაში მიმართავენ. გარდა ამისა, გამოკითხულთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ ბავშვების დიდი ნაწილის მიმართ გამოიყენება ძალადობრივი დისციპლინის ერთზე მეტი ფორმა. იმ ბავშვების წილი კი, ვის მიმართაც მარტო არაძალადობრივი მეთოდები გამოიყენება, მხოლოდ 28%-ს შეადგენს.

ფიზიკური დასჯის მიმართ მშობლების უმეტესობის (93%) ნეგატიური დამოკიდებულება კვლევის მნიშვნელოვანი და ძალიან იმედისმომცემი დასკვნაა. თუმცა დამოკიდებულებასა და რეალურ პრაქტიკას შორის დიდი განსხვავება ხაზს უსვამს აღმზრდელებთან მეტი მუშაობის აუცილებლობას პოზიტიური მშობლობის პრინციპების ეფექტიანად განხორციელებისთვის. ეს დასკვნა თანხვედრაშია მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის ადრეულ ციკლებში გამოვლენილ

საერთაშორისო ტენდენციებთან.

- გასაკვირი არ არის, რომ დედების/მეურვეების დამოკიდებულება ფიზიკური დასჯის მიმართ კორელაციაშია დისციპლინის რეალურ პრაქტიკასთან ოჯახში. სხვადასხვა ძირითადი ცვლადის (როგორცაა ბავშვის სქესი, ფუნქციური სირთულები და შინამეურნეობის მახასიათებლები) გაკონტროლების შემდეგაც ფიზიკური ძალადობის ალბათობა სამჯერ მაღალია იმ შინამეურნეობებში, სადაც აღმზრდელი ფიზიკურ დასჯას დისციპლინის აუცილებელ ფორმად განიხილავს.
- ამასთან, საინტერესოა, რომ ფიზიკური დასჯა გავრცელებულია იმ აღმზრდელებშიც, ვინც მას საჭიროდ არ მიიჩნევს. საქართველოში აღმზრდელთა მხოლოდ 7%-ს მიაჩნია, რომ ფიზიკური დასჯა აუცილებელია ბავშვების სწორად აღზრდისთვის, თუმცა იმ აღმზრდელთა წილი, ვინც ფიზიკურ დასჯას მიმართავს, გაცილებით დიდია. საქართველოში დიდია იმ შინამეურნეობების წილი, სადაც ძალადობრივი დისციპლინა მაინც გამოიყენება, ფიზიკური დასჯის მიმართ აღმზრდელების უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად.

უმცროსი ასაკის და ფუნქციური სირთულების მქონე ბავშვებისთვის რისკი გაცილებით მაღალია:

- მცირე ასაკის ბავშვები უფრო ხშირად არიან ძალადობრივი მეთოდების მსხვერპლნი, ვიდრე უფროსი ასაკის ბავშვები. ანალიზის შედეგების საქართველოში თავსებადია ზოგად ტენდენციასთან, რომელიც ფართომასშტაბიან საერთაშორისო შედარებით ანგარიშში ფიქსირდება: თავდაპირველად ძალადობრივი მეთოდების გამოყენება იზრდება ასაკთან ერთად, პიკს 5-9 წლის ასაკში აღწევს და შემდეგ იკლებს უფროსი ასაკის ბავშვებში. თუმცა ორი ქვეჯგუფის - ფსიქოლოგიური აგრესიისა და ფიზიკური ძალადობის - მიხედვით სურათის შედარებისას გარკვეულ განსხვავებებსაც ვხედავთ. კერძოდ, ფიზიკური დასჯისათვის პიკი 3-4 წლის ასაკია, ხოლო ფსიქოლოგიური აგრესიისათვის 5-9 წლის ასაკი.
- ბიჭებში ძალადობრივი დისციპლინის გამოყენების რისკი ოდნავ უფრო მაღალია, ვიდრე გოგონებში, მაგრამ, როგორც მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში, ეს განსხვავება საქართველოშიც მცირეა. ფსიქოლოგიური აგრესიის მაჩვენებლები სტატისტიკურად განსხვავდება სქესის მიხედვით მხოლოდ 5 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებში, ხოლო ფიზიკური დასჯის მაჩვენებლები მხოლოდ 1-2 წლის ასაკობრივ კატეგორიაში. საერთო ჯამში, მონაცემები მიუთითებს, რომ ბავშვები ძალადობრივი დისციპლინის რისკის ქვეშ თითქმის თანაბრად არიან, სქესის მიუხედავად.
- სქესისგან განსხვავებით, ბავშვების ფუნქციური სირთულები ძალადობრივი დისციპლინის გამოყენების ძალიან ძლიერი პრედიქტორია. ძირითადი ცვლადების გაკონტროლების შემდეგ დადგინდა, რომ მძიმე ფიზიკური დასჯის მსხვერპლად გახდომის შანსები სამჯერ უფრო მაღალია ფუნქციური სირთულების მქონე ბავშვებისთვის ფუნქციური სირთულების არმქონე ბავშვთა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. ეს დასკვნა გამოკვეთს ფუნქციური სირთულების მქონე ბავშვების აღმზრდელებს როგორც საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამების ძალიან მნიშვნელოვან მიზნობრივ ჯგუფს. მშობლების და მეურვეების ეს ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას და დახმარებას საჭიროებს პოზიტიური მშობლობის მეთოდების უკეთ გათავისებისა და უფრო ეფექტიანად გამოყენების პროცესში.

შინამეურნეობების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების ანალიზი აჩვენებს, რომ, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ძალადობრივი აღზრდის მეთოდები გვხვდება სხვადასხვა გარემოში და გამოიყენება სხვადასხვა მახასიათებლის მქონე შინამეურნეობებში. ამასთან, საერთო სურათის ფონზე, კვლევაში იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი კავშირი, რომელიც შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს მიზნობრივი ინტერვენციის სტრატეგიების დაგეგმვისას.

- ძალადობრივი დისციპლინის საერთო გავრცელების ფონზე რეგიონებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები ფიქსირდება. ფიზიკური დასჯის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქვემო ქართლშია (40%), ხოლო ყველაზე დაბალი - იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, რომლებიც კვლევაში ერთ ერთეულად გაერთიანდა (23%). ფსიქოლოგიური დასჯის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გურიასა და შიდა ქართლში (74%) დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი - სამცხე-ჯავახეთში (56%).
- ქალაქში-სოფლად ცხოვრების კონტროლისას, ძალადობრივი დისციპლინის გამოყენების მაჩვენებელი საკონტროლო ჯგუფთან - თბილისთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალი იყო ოთხ რეგიონში: ქვემო და შიდა ქართლში, აჭარასა და გურიაში. გარდა ამისა, ძალადობრივი დისციპლინის კონკრეტული ქვეტიპების ანალიზისას სიას სამეგრელო-ზემო სვანეთი და კახეთი ემატება. დანარჩენი რეგიონები - იმერეთი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთთან ერთად, სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთი - თბილისისაგან არ განსხვავდება არც ძალადობრივი დისციპლინის საერთო მაჩვენებლით, არც ძალადობრივი დისციპლინის კონკრეტული ფორმების - ფიზიკური ან ფსიქოლოგიური დასჯის - მაჩვენებლებით.

ძალადობრივი დისციპლინის მაჩვენებლებში განსხვავებების ნაწილი შინამეურნეობების მახასიათებლებით შეიძლება აიხსნას.

- შინამეურნეობის უფროსის ეთნიკური წარმომავლობა ხსნის ქვემო ქართლსა და თბილისს შორის ძალადობრივი დისციპლინის მაჩვენებლებში განსხვავებების უდიდეს ნაწილს.
- კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც კორელაციაშია ძალადობრივი დისციპლინის უფრო მაღალ დონესთან, არის ოჯახის უფროსის დევნილის სტატუსი.
- შინამეურნეობის სიმჭიდროვე კიდევ ერთი ძლიერი ფაქტორია, რომელიც უკავშირდება ძალადობრივი დისციპლინის გამოყენებას საქართველოში. შინამეურნეობის სიმჭიდროვე გამოითვალა როგორც ოჯახის წევრთა საერთო რაოდენობის და საცხოვრებელში საძინებლების შეფარდება. რაც უფრო დიდია შინამეურნეობის სიმჭიდროვე, მით უფრო მაღალია ძალადობრივი დისციპლინის მეთოდების გამოყენების რისკი.
- შედეგები არ აჩვენებს საქართველოში შინამეურნეობის სიმდიდრესა და ძალადობრივი დისციპლინის გამოყენებას შორის თანმიმდევრულ კორელაციას. თუმცა ძალადობრივი დისციპლინის ტიპების შემდგომი ანალიზი გარკვეულ განსხვავებებზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახურ სიმდიდრესა და ფსიქოლოგიურ ძალადობას შორის კავშირი ვერ იქნა ნაპოვნი, ეს ფაქტორი ავლენს ზომიერად ძლიერ ნეგატიურ კავშირს სხვა ტიპის ძალადობრივ დისციპლინასთან - ფიზიკურ დასჯასთან. კერძოდ, უფრო მდიდარი ოჯახები ნაკლებად იყენებენ ფიზიკური დასჯის მეთოდებს შვილებზე, ვიდრე ღარიბი ოჯახები.

საქართველოში ძალადობრივი დისციპლინის მაჩვენებლები კავშირშია აღმზრდელის გარკვეულ მახასიათებლებთან: განათლების დონესთან, ფუნქციურ სირთულეებთან და კეთილდღეობის სუბიექტურ აღქმასთან

- სხვა მრავალი ქვეყნის მსგავსად, უმაღლესი განათლების მეორე მშობლები ნაკლებად იყენებენ ძალადობრივი დისციპლინის მეთოდებს საქართველოში.
- ანალიზმა ასევე დაადგინა, რომ აღმზრდელის ფუნქციური სირთულეები ბავშვთა მიმართ ძალადობრივი დისციპლინის გამოყენებოს რისკის ფაქტორია. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აღმზრდელის ფუნქციური სირთულის სტატუსსა და ძალადობრივ დისციპლინას შორის გვხვდება როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური დასჯის შემთხვევაში.
- ძალადობრივი დისციპლინის გამოყენების ერთ-ერთი პრედიქტორი არის აღმზრდელის მიერ საკუთარი კეთილდღეობის სუბიექტური აღქმა. ის მშობლები, ვინც თავს ბედნიერად თვლის, ნაკლებად იყენებენ ძალადობრივი დისციპლინის მეთოდებს. ეფექტი მნიშვნელოვანი რჩება ყველა სხვა ძირითადი ცვლადის გაკონტროლების შემდეგ.
- შედეგები ასევე აჩვენებს, რომ ბავშვები უფრო ხშირად განიცდიან ძალადობრივ დისციპლინას, თუ მათი აღმზრდელები თავს დისკრიმინაციისა და შევიწროების მსხვერპლად მიიჩნევენ.

ბავშვები, რომელთა მიმართ იყენებენ ძალადობრივ დისციპლინას, ასევე უფრო ხშირად განიცდიან პოზიტიური აღზრდის სხვადასხვა ფორმის ნაკლებობას.

- ძალადობრივი დისციპლინის მაჩვენებელი უფრო მაღალია იმ შინამეურნეობებში, სადაც აღმზრდელები ნაკლებად არიან დაკავებულნი ისეთი საქმიანობით, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ადრეულ განვითარებას: წიგნების კითხვით ან ილუსტრაციების დათვალიერებით, ამბების/ზღაპრების მოყოლით, სიმღერით, ბავშვებთან თამაშით, სეირნობით, დროის ერთად გატარებით, თვლით ან ხატვით. ოჯახები, რომლებსაც ნაკლები წიგნი აქვთ, უფრო ხშირად იყენებენ ბავშვების მიმართ დასჯის ძალადობრივ ფორმებს.
- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შერჩევა არ გვაძლევს საკმარის მონაცემებს სანდო დასკვნების გამოტანისთვის, პირველადი ანალიზი ცხადყოფს ტენდენციას, რომ არასათანადო მეთვალყურეობასა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯის აღბათობას შორის დადებითი ურთიერთკავშირია. ის მშობლები, რომლებიც მეთვალყურეობის გარეშე ტოვებენ მცირეწლოვან ბავშვებს, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ აგრესიასაც უფრო ხშირად იჩენენ შვილების მიმართ.
- კვლევის ერთ-ერთი საინტერესო დასკვნაა ის, რომ მშობლები, რომლებიც უფრო მეტად ეხმარებიან შვილებს საშინაო დავალებების შესრულებაში, უფრო მეტი აღბათობით იყენებენ აღზრდის ძალადობრივ მეთოდებსაც. ბავშვზე ზრუნვის პროცესში მშობლებმა შესაძლოა უნებლიეთ ზიანი მიაყენონ საკუთარ აღზრდელებს სწავლაში დახმარების მოტივით და მნიშვნელოვანი შეცდომები დაუშვან ბავშვის აღზრდაში.

ანალიზი აჩვენებს კორელაციას ძალადობრივი დისციპლინის გამოყენებასა და ბავშვის განვითარების დინამიკას შორის

- ძალადობრივი დისციპლინის მაჩვენებლები უფრო მაღალია იმ ბავშვებში, რომელთა განვითარების დინამიკა არ შეესაბამება ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების ინდექსის (ECDI) ნიშნულებს. ბავშვის ადრეული განვითარება მრავალგანზომილებიანი ცნებაა და გულისხმობს მოტორული, კოგნიტური, ენობრივი, სოციალურ-ემოციური და რეგულაციური უნარებისა და შესაძლებლობების თანმიმდევრულ განვითარებას ცხოვრების პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში.
- ანალოგიური ტენდენცია ვლინდება უფროსი ასაკის ბავშვებშიც (5-14 წელი). სწავლის სირთულეების მქონე ბავშვები უფრო ხშირად ხდებიან ფიზიკური დასჯის მსხვერპლნი.
- ასევე, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯის მსხვერპლ ბავშვებში უფრო დიდია შფოთვითი პრობლემების მქონე ბავშვთა წილი.
- ფიზიკური დასჯისა და ფსიქოლოგიური აგრესიის მაჩვენებელი უფრო მაღალია იმ ბავშვებში (5-14 წელი), რომლებსაც აღენიშნებათ სირთულეები ქცევის კონტროლისას, კონცენტრაციისას, ცვლილებების მიღებისას და თანატოლებთან დამეგობრებისას (ნახატი 24, დანართები 5-25, 5-26).

ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე გაწეული დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი ინტერვენციების და პრევენციის სტრატეგიებისა და ქმედებების შემუშავებისა და ეფექტიანი მართვისთვის, ისევე, როგორც ბავშვთა ძალადობრივი აღზრდის პრაქტიკის გავრცელების, მიზეზებისა და შედეგების შესახებ სრულყოფილი ცოდნის ბაზის შექმნისათვის, რაც საფუძვლად დაედება ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას.

ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემის მოგვარება სისტემურ და თანმიმდევრულ ჩარევას მოითხოვს. წარმატების მთავარი წინაპირობაა გრძელვადიანი ხედვის არსებობა, ყველა დაინტერესებული მხარის კოორდინირებული ძალისხმევა და რეფორმების უწყვეტობა.

ანგარიშში მოცემული რეკომენდაციები სამ მთავარ კატეგორიად არის დაჯგუფებული: პირველი ორი ეხება ორ უმნიშვნელოვანეს განზომილებას - პოლიტიკის შემუშავებასა და კვლევას, ხოლო მესამე კატეგორია ამ ორ მიმართულებას შორის კავშირების გაძლიერებაზე ამახვილებს ყურადღებას.

რეკომენდაციები ეხმიანება ბავშვთა მიმართ ძალადობის 2020 წლის გლობალური ანგარიშის ზოგად სულისკვეთებას და საგანგებოდ აღნიშნავს პოლიტიკის ციკლის მართვის მოქნილი, მაგრამ თანმიმდევრული პრაქტიკის მნიშვნელობას. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია საკითხის საფუძვლიანი კვლევა და მონაცემთა მართვა მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

პოლიტიკის სფერო – სამომავლო ნაბიჯები

- ბავშვთა მიმართ დისციპლინის ძალადობრივი ფორმების გამოყენების ფართო მასშტაბი საქართველოში და დამოკიდებულებასა და პრაქტიკას შორის შეუსაბამობა აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა მშობელთა განათლების მიმართ უფრო კოორდინირებული და სისტემური მიდგომის ჩამოყალიბება. ამ მიმართულებით გაწეული ძალისხმევა კიდევ უფრო მკაფიოდ უნდა გაერთიანდეს ორი ძირითადი მიზნის გარშემო. ეს მიზნებია:

ა) ბავშვთა მიმართ გამოყენებული დისციპლინის კონკრეტული ძალადობრივი ფორმებისადმი უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება; და

ბ) საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბავშვის აღზრდის პოზიტიური მეთოდების შესახებ.

დარგის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მშობელთა განათლება პოზიტიური მშობლობის საკითხებზე უნდა იქცეს სახელმწიფო პრიორიტეტად და აისახოს სახელმწიფო და მუნიციპალურ დონეებზე დაგეგმილ, ურთიერთდაკავშირებულ საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამებში.

- **ამგვარი პროგრამების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეთ მოწყვლად ჯგუფებს, როგორებიც არიან დევნილი პირები, მართხელა დედები, უმცირესობები და ფუნქციური სირთულეების მქონე ბავშვების მშობლები.** ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ა) მშობელთა საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის ამ ჯგუფების კონკრეტულ საჭიროებებზე უკეთესად მორგებაზე; ასევე ბ)

ასეთ პროგრამებში მშობლებისა და აღმზრდელების მონაწილეობის გაზრდაზე.

ამგვარი ინიციატივების წარმატების მნიშვნელოვანი წინაპირობაა ეფექტიანი კოორდინაცია სამთავრობო უწყებებს, კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებს შორის. აგრეთვე, მნიშვნელოვანია სხვა სამინისტროების, სახელმწიფო უწყებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლობა. ზუსტად უნდა განისაზღვროს ის კომპეტენციები და ამოცანები, რომლებიც საჭიროა დაგეგმილი პროგრამების განსახორციელებლად, და მკაფიოდ გაიმიჯნოს პასუხისმგებლობები უწყებებს შორის.

კვლევა ცხადყოფს, რომ რაც უფრო ბედნიერნი და კმაყოფილნი არიან მშობლები საკუთარი ცხოვრებით, მით უფრო ნაკლებად იყენებენ ისინი აღზრდის ძალადობრივ მეთოდებს. ცხოვრებით მაღალი კმაყოფილება და კეთილდღეობის სუბიექტური აღქმა კავშირშია ძალადობრივი დისციპლინის ნაკლებ აღბათობასთან. ამრიგად, **მშობლების კეთილდღეობა და ფსიქიკური ჯანმრთელობა ოჯახში აღზრდის არაძალადობრივი პრაქტიკის გამოყენების უმნიშვნელოვანეს წინაპირობად უნდა განვიხილოთ. საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად რისკ-ჯგუფების წარმომადგენელი მშობლებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფსიქოლოგის კონსულტაციებიც.**

ამ ტიპის პროგრამების სპეციალურ მიზნობრივ ჯგუფებში შეიძლება შევიდნენ დევნილთა და უმცირესობათა წარმომადგენლები, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მშობლები და განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა აღმზრდელები. ფსიქოლოგიური დახმარების პრაქტიკის გამოცდილება თბილისში გვიჩვენებს, რომ ამგვარი ბავშვების ბევრ მშობელს/მეურვეს აქვს მაღალი შფოთვა, დეპრესია, დაბალი თვითშეფასება, ქორწინებით დაბალი კმაყოფილება, რაც გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე და აუარესებს მის ქცევას. მშობლების ფსიქოლოგიური მომსახურება შეიძლება ჩართული იქნეს ბავშვთა და მოზარდთა სახელმწიფო პროგრამებში.

ბავშვების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე მიმართული პროგრამების პარალელურად უნდა განხორციელდეს სპეციალური პროგრამები ქრონიკული დაავადებებისა და განვითარების სირთულის მქონე ბავშვების მშობლებისთვის, რათა უკეთესად მოხდეს მათი მხარდაჭერა და გაიზარდოს მათთვის ფსიქოლოგიური კონსულტაციის სერვისზე წვდომა.

სკოლამდელი დაწესებულებები და სკოლები სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საერთო სივრცეებია, სადაც ერთად იყრიან თავს მშობლები, ბავშვები და მასწავლებლები. შესაბამისად, **საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა განვიხილოთ სტრატეგიულ ობიექტებად, სადაც შეიძლება მოისინჯოს და გავრცელდეს ეფექტიანი მშობლობის საკითხზე ყველა დაინტერესებული მხარის თანამშრომლობის ახალი პროგრამები.** ინიციატივები შეიძლება მოიცავდეს საგანმანათლებლო პროგრამებს ბავშვთან კომუნიკაციისა და პოზიტიური მშობლობის პრაქტიკაზე. ეს ინიციატივები უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს სპეციალისტებთან და მშობელთა ფსიქოლოგიურ განათლებაზე მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და ისინი ხელს უნდა უწყობდეს მშობლების საგანმანათლებლო ჯგუფების ფორმირებას, რომლებსაც თავად მშობლები გაუძღვებიან, და მიზნად ისახავდეს სპეციალისტების, პრაქტიკოსებისა და სასკოლო თემების ქსელების გაძლიერებას ადგილობრივ დონეზე.

- **განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მშობელთა განათლების საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლას აპრობირებული დავალიდური მიდგომების შესარჩევად. ეს მიდგომები, ამავე დროს, კარგად უნდა ერგებოდეს ადგილობრივ სპეციფიკას.** შესაძლო ალტერნატივებიდან ერთ-ერთი საინტერესო მიდგომა შეიძლება იყოს ბავშვის განვითარების საერთაშორისო პროგრამა (ICDP). ამ პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი ის არის, რომ მისი წარმატებით განხორციელების მთავარი წინაპირობაა ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინება და გააზრება. პროგრამის შემუშავების პროცესის ძირითადი ეტაპები მოიცავს ადგილობრივი კულტურული პრაქტიკის იდენტიფიცირებას და შემდეგ მასზე დაყრდნობას აუთენტური და მდგრადი განვითარების სტიმულირების მიზნით. პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები მოიცავს მოწყვლად ოჯახებს - სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოყოფნამეურნეობებს, ეთნიკური უმცირესობების მინამეურნეობებს, ასევე, სკოლისა და სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებლებს. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ICDP-ის ტრენინგის პროგრამის ბენეფიციარი მშობლები 6-12 თვის შემდეგ აჩვენებენ უფრო მაღალ შედეგებს მშობლობის პრაქტიკის საზომ სკალაზე, ასევე უკეთეს მაჩვენებლებს საკუთარ ძალებში რწმენისა და ემოციური მდგომარეობის საზომებში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, რომელსაც ამგვარ პროგრამაში მონაწილეობა არ მიუღია (Skar A.S., et al., 2015). პოზიტიური მშობლობის საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამების სხვა მაგალითები №2 დანართშია მოცემული.
- **საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამების კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიზნობრივ ჯგუფში მომავალი მშობლები უნდა შევიდნენ.** იტერვენციების ეს ქვეჯგუფი დაეხმარება მომავალ მშობლებს ბავშვის განვითარების ხელშეწყობი სტრატეგიების ათვისებაში. ამ პროგრამების გავრცელებისათვის შესაძლოა გამოყენებული იქნეს ორსული ქალების მონიტორინგის პროგრამები, სამშობიარო სახლები და სამეანო განყოფილებები. სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, აგრეთვე, პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართვა. ადგილობრივი ქსელების და ადამიანური რესურსების გაძლიერება ხელს შეუწყობდა პროგრამების უკეთ მორგებას ადგილობრივ კონტექსტზე, გაზრდიდა ინიციატივების მოქნილობასა და მდგრადობას.
- **მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ბავშვებთან და მშობლებთან მომუშავე პროფესიული კადრების გაძლიერება ბავშვთა მიმართ ძალადობის ეფექტიანად პრევენციის, დადგენისა და შესაბამისი ჩარევების განხორციელებისათვის.** ეს გულისხმობს ადამიანური რესურსების მომზადებისა და გადამზადების პროგრამების სრულყოფას ფსიქოლოგიის, სოციალური სამუშაოს, ოკუპაციური თერაპიის, სკოლამდელი, დაწყებითი და ზოგადი განათლების მასწავლებლების მომზადების სფეროებში. განსაკუთრებული პრიორიტეტი უნდა იყოს პოზიტიური მშობლობის პრაქტიკის ფასილიტატორებისა და მშობელთა ქოუჩების უზრუნველყოფა რეგიონებში.
- **კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია მიმდინარე პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაციის მართვის სისტემების გაუმჯობესება.** არსებული სამოქმედო გეგმები კრიტიკულად უნდა გადაიხედოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით და, სადაც საჭიროა, დაიხვეწოს იმგვარად, რომ ისინი იყოს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი და კონტექსტის შესატყვისი. ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის 2020 წლის მსოფლიო სტატუს ანგარიშის რეკომენდაციების შესაბამისად, მთავრობამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მიმდინარე პროგრამების შედეგების მონიტორინგს, უკეთესად უნდა დაბალანსდეს აქცენტები პრობლემების იდენტიფიცირებაზე და პრობლემების მოგვარების შეფასებაზე მიმართულ კვლევებს შორის.

ცოდნის ბაზის ფორმირება – ამოცანები მკვლევართათვის

- **მეტი ძალისხმევაა საჭირო აღზრდის პრაქტიკის ძირითადი ასპექტების ამსახველი ცვლადების კონცეპტუალიზაციის გაუმჯობესებისთვის.** ეს გულისხმობს მონაცემთა შეგროვების მეთოდებს შორის სინერგიის გაუმჯობესებას, მონაცემთა შეგროვების ახალი მეთოდებისა და მიდგომების დანერგვას, წყაროდან და სხვადასხვა მეთოდით მიღებული შედეგების ტრიანგულაციით გამოვლენილი შეუსაბამობის შესწავლას და ერთიანი კონცეპტუალური ჩარჩოს ჩამოყალიბებას.
- **მშობლობის ნეგატიურ, ძალადობრივ პრაქტიკასთან ერთად უკეთესად უნდა გაიზომოს პოზიტიური პრაქტიკაც.** დღეისათვის ბავშვთა მიმართ გამოყენებული დისციპლინის პრაქტიკის საზომი ინსტრუმენტები ძირითადად ფოკუსირებულია ძალადობრივ, არაეფექტურ პრაქტიკაზე და ნაკლებად მოიცავს პოზიტიური მშობლობის პრაქტიკას. პრობლემური, ძალადობრივი პრაქტიკის ზუსტი შესწავლა მნიშვნელოვანია ბავშვთა მიმართ ძალადობის უკეთ გააზრებისათვის და მშობლის კომპეტენციების მინიმალური სტანდარტის განსაზღვრისათვის⁶⁰. თუმცა, ამასთანავე, პოზიტიურ პრაქტიკაზე მეტი ყურადღების განახვილება და მეტი სიზუსტე მისი აღწერისას მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისათვის ხელშემწყობი სოციალური პირობებისა და მშობლობის პრაქტიკის იდენტიფიკაციისა და უკეთ გააზრებისათვის⁶¹.
- **კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი საზომ ინსტრუმენტებში ბავშვის განვითარების ეტაპებისა და ასაკობრივი თავისებურებების უკეთ გათვალისწინებაა.** დისციპლინისა და აღზრდის პრაქტიკა ბავშვის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულია. ზოგიერთი პრაქტიკა უცვლელად გამოიყენება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, ზოგიერთი კი აღარ გამოიყენება ან ჩანაცვლდება ახალი პრაქტიკით ბავშვის განვითარების კვალდაკვალ. არსებული ინსტრუმენტების მეტა-ანალიზი აჩვენებს, რომ მათი უმეტესობა დღეისათვის არ გვაძლევს შედარებების შესაძლებლობას სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ბავშვის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.
- **ინსტრუმენტებში შემავალი დებულებები და კითხვები მშობლობის პოზიტიურ პრაქტიკასთან დაკავშირებით ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი პასუხებისას ე.წ. სოციალური სასურველობის რისკი.** მშობლები ნაკლებად აღიარებენ ისეთი პრაქტიკის გამოყენებას, რომელიც არ არის სოციალურად მისაღები. ეს მოცემულობა საფრთხეს უქმნის კვლევის ვალიდურობას. ბევრ ინსტრუმენტში დებულებები და კითხვები ისეა წარმოდგენილი, რომ სათანადოდ არ არის გათვალისწინებული ადგილობრივი კონტექსტი. მშობლები შესაძლოა მიიჩნევენ, რომ კონკრეტულ პრაქტიკას მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციაში მიმართავენ. მნიშვნელოვანია, უკეთ მოხდეს მშობლის ქცევის კონტექსტუალიზაცია და, ამასთანავე, შენარჩუნებული იყოს განზოგადების შესაძლებლობა.
- **უნდა გაუმჯობესდეს დისციპლინის საზომი ინსტრუმენტების თავსებადობა სხვადასხვა კულტურულ კონტექსტთან.** მნიშვნელოვანია, განხორციელდეს გაზომვის ეკვივალენტობის კვლევები, რაც ხელს შეუწყობდა არსებული ინსტრუმენტების სრულყოფასა და ახალი, უფრო რელევანტური საზომების შემუშავებას. ის განსხვავებები, რომლებსაც ვხვდებით მონაცემთა ანალიზისას, შესაძლოა განპირობებული იყოს გაზომვის შეცდომებით ან კულტურული კონტექსტით, ან ორივე ფაქტორით ერთდროულად. უნივერსალური და კულტურის თვალსაზრისით უნიკალური პრაქტიკის დადგენის წინაპირობა სწორედ სხვადასხვა კულტურულ ჯგუფში გაზომვის ეკვივალენტობის დადგენაა.

60 Budd, K. S. (2001). Assessing parenting competence in child protection cases: a clinical practice model. *Clinical Child and Family Psychology Review*, 4, 1–18.

61 Sanders, M. R. (1999). Triple P—Positive Parenting Program: towards an empirically validated multilevel parenting and family support strategy for the prevention of behavior and emotional problems in children. *Clinical Child and Family Psychology Review*, 2, 71–90.

კვლევისა და პრაქტიკის შორის კავშირის გაძლიერება

- **კვლევისა და პოლიტიკის შედეგებისა და გავლენის გაზრდის მიზნით საჭიროა ყურადღება მიექცეს ცოდნის წარმოქმნასა და გამოყენებას შორის ურთიერთმიმართებას და მათ შორის კავშირის გაძლიერებას.** მხოლოდ მკვლევრების ძალისხმევა არ არის საკმარისი კვლევის შედეგების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად, მაგრამ მათ ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ. ანალოგიურად, პოლიტიკის დღის წესრიგის შემქმნელთა მიერ კვლევისა და პრაქტიკის კავშირის გაძლიერება განხილული უნდა იქნეს დამოუკიდებელ ძალიან მნიშვნელოვან ამოცანად, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა ბავშვთა მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენციისა და ბრძოლის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად⁶².

- **პოლიტიკის შემქმნელებს შეუძლიათ ხელი შეუწყოთ უნივერსიტეტებსა და სხვა სამეცნიერო ინსტიტუტებს ცოდნის მობილიზებაში (ცოდნის ფორმირების პროცესში უმაღლეს სასწავლებლებსა და დარგებს შორის კავშირების გაძლიერებაში).** ამისათვის მნიშვნელოვანია კვლევაში ჩართული ინსტიტუციებისთვის პოლიტიკის გრძელვადიანი მიზნების ეფექტიანად კომუნიკაცია და კვლევის დაგეგმვასა და მისი ქმედითობის შეფასებაში პოტენციური მომხმარებლების ჩართვა. არსებობს მრავალი მაგალითი იმისა, რომ მკვლევრებსა და მომხმარებლებს შორის ადრეული მსჯელობა შედეგად გვაძლევს უფრო რელევანტურ და საინტერესო კვლევებს, ასევე შედეგების გამოყენებით უფრო მეტად დაინტერესებულ მომხმარებელს.

- **კიდევ ერთი სტრატეგიული მიმართულებაა საგანმანათლებლო და კვლევითი ინსტიტუტების, ისევე, როგორც პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში ჩართული უწყებების მიზნობრივი ქსელების შექმნა.** ამ ქსელებმა უნდა გააერთიანოს საერთო ინტერესის მქონე უწყებები, რომლებიც მსგავს პრობლემატიკასა და საკითხებზე მუშაობენ. ამგვარი ქსელების არსებობა ქმედითი გზაა უფრო მასშტაბური ინიციატივების შემუშავებისთვის და კვლევებში ე.წ. გამოყენებითი ასპექტის გაძლიერებისთვის. ქსელების არსებობა მნიშვნელოვანია ცოდნის შექმნის პროცესის ოპტიმიზაციისთვის, ცოდნის შეჯერებისა და გავრცელებისთვის, ისევე, როგორც, ზოგადად, ბავშვთა ძალადობრივი აღზრდის მიზეზებისა და შედეგების შესახებ უფრო ეფექტიანი, თანმიმდევრული და კომპლექსური კვლევითი პროგრამების შექმნისათვის.

- **დაბოლოს, კვლევას არ მოჰყვება შედეგი, თუ პოტენციურ მომხმარებელს არ აქვს ინტერესი, გაეცნოს შედეგებს ან არ აქვს შესაბამისი უნარები, რომ ეფექტიანად გამოიყენოს მონაცემები.** შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, გაიზარდოს პოტენციურ მომხმარებელთა შესაძლებლობები კვლევის შედეგების გააზრებისა და გამოყენებისთვის. მეტი ძალისხმევა უნდა ჩაიდოს არასპეციალისტი მომხმარებლისათვის კვლევის შედეგების მარტივ ენაზე „თარგმნაში“.

62 Levin, B. (2004). Making research matter more). Education Policy Analysis Archives, 12(56).

დანართები

დანართი 1: პოზიტიური მშობლობის სარგებელი და უპირატესობა

პოზიტიური მშობლობის სტილი, ქცევა ან ინტერვენცია	სარგებელი და უპირატესობა	წყარო
ავტონომიის მხარდამჭერი აღზრდა	სასკოლო გარემოში უკეთესი ადაპტირება თანატოლებში გაზრდილი მოტივაცია ჩვილებში ინტერნალიზაციის მაღალი ხარისხი მცირეწლოვან ბავშვებში უკეთესი ფსიქოლოგიური ფუნქციონირება მოზარდებში	Joussemet, Landry & Koestner, 2008
	დეპრესიული სიმპტომების შემცირება მოზარდებში გაზრდილი თვითშეფასება მოზარდებში	Duineveld, Parker, Ryan, Ciarrochi, & Salmela-Aro, 2017
	გაზრდილი ოპტიმიზმი ბავშვებში	Hasan & Power, 2002
სენსიტიური / ყურადღებიანი მშობლობა, რომელიც ავითარებს მშობლისა და ბავშვის უსაფრთხო მიჯაჭვულობას	გაზრდილი თვითშეფასება უფროს მოზარდებში	Liabe-Gustavo & Roesch, 2004
	გაზრდილი სოციალური თვით- ეფექტურობა მოზარდებში	Coleman, 2003
	პოზიტიური შედეგების სპექტრი ბავშვებში, როგორიცაა ბავშვის უსაფრთხო მიჯაჭვულობა მშობელთან, გაუმჯობესებული კოგნიტური და სოციალური განვითარება	Juffer, Bakermans- Kranenburg & van Ijzendoorn, 2008
Liabe-Gustavo & Roesch, 2004 Coleman, 2003 Juffer, Bakermans-Kranenburg & van Ijzendoorn, 2008 Forgatch & DeGarmo, 1999 Smith, Landry, & Swank, 2000 Sandler, Wolchik, Tein, & Winslow, 2015	გაუმჯობესებული უსაფრთხო მიჯაჭვულობა ჩვილებში გაუმჯობესებული სასკოლო ადაპტაცია ბავშვებში	Forgatch & DeGarmo, 1999
	გაუმჯობესებული კოგნიტური და სოციალური შედეგები სკოლამდელ ასაკში	Smith, Landry, & Swank, 2000
	ბავშვებსა და მოზარდებში ქცევითი პრობლემების შემცირებისა და კომპეტენციების გაუმჯობესების მრავალრიცხოვანი გავლენები ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა თვითშეფასება, გამკლავების	Sandler, Wolchik, Tein, & Winslow, 2015

პოზიტიური მშობლობის სტილი, ქცევა ან ინტერვენცია	სარგებელი და უპირატესობა	წყარო
	ეფექტურობა, საგანმანათლებლო მიზნები და სამუშაო მისწრაფებები	
	ბავშვებში ქცევითი პრობლემების შემცირება დისფუნქციური მშობლობის სტილის შემცირება მშობლობის კომპეტენციის ზრდა	Sanders, Calam, Durand, Liversidge, & Carmont, 2008
	ხანგრძლივ ვადაში ქცევითი პრობლემების შემცირება ბავშვებში	de Graaf, Speetjens, Smit, Wolff, & Tavecchio, 2008
	ოჯახური კონფლიქტის და სტრესის შემცირება; ქცევითი პრობლემების და ქცევითი დარღვევების შემცირება ბავშვებში; ოჯახის ერთობის, კომუნიკაციის და ორგანიზების გაუმჯობესება; მშობლებსა და ბავშვებში მედეგობის გაუმჯობესება	Kumpfer & Alvarado, 1998
	ქცევითი პრობლემების შემცირება და პოზიტიური განვითარება ბავშვებში	Kumpfer & Alvarado, 1998
ყურადღებიანი მშობლობა (ემოციების მიმღებლობა და მათთან გამკლავება)	ემოციების გაუმჯობესებული რეგულირება, რაც ასოცირდება მრავლობით პოზიტიურ შედეგთან ბავშვებსა და მოზარდებში	იხ. Bornstein 2002- ში ციტირებული კვლევები
„ჩართული“ მშობლობა (გამოიყენება წესები და რეგულაციები, გულისხმობს ბავშვის ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში)	გაზრდილი თვითრეგულირება და ქცევის შესაბამისობა ბავშვებში	იხ. Bornstein 2002- ში ციტირებული კვლევები
განმავითრებელი მშობლობა, რაც ხასიათდება სიყვარულის გამოხატვით, სწავლებით და წახალისებით	მრავლობითი პოზიტიური შედეგი ბავშვებსა და მოზარდებში, რაც გამოიხატება ქცევის შესაბამისობის, კოგნიტური შესაძლებლობების და სკოლისთვის მზაობის გაუმჯობესებაში, ნეგატივიზმის შემცირებაში, ახლის შემეცნების სურვილის ზრდაში, კოგნიტური/ სოციალური უნარების, მეტყველების ფუნქციის და სასაუბრო უნარების განვითარებასა და ანტისოციალური ქცევის შემცირებაში.	იხ. Roggman, Boyce, & Innocenti, 2008- ში ციტირებული კვლევები
მხარდამჭერი ოჯახები	გაზრდილი მედეგობა ბავშვებსა და მოზარდებში	Newman & Blackburn, 2002

პოზიტიური მშობლობის სტილი, ქცევა ან ინტერვენცია	სარგებელი და უპირატესობა	წყარო
მშობელთან მიჯაჭვულობა, პოზიტიური ოჯახური კლიმატი და პოზიტიური მშობლობის სხვა ფაქტორები	სოციალური უნარების გაუმჯობესება მოზარდებში	Engels, Deković, & Meeus, 2002
თბილი, დემოკრატიული და მყარი მშობლობის სტილი (მაგალითად, ავტორიტეტული)	გაუმჯობესებული სასკოლო მიღწევები მოზარდებში	Steinberg, Elmen, & Mounts, 1989
ოჯახის მხრიდან მეთვალყურეობა და მონიტორინგი; ოჯახის ღირებულებების, ნორმების და მოლოდინების ეფექტიანი კომუნიკაცია; რეგულარული პოზიტიური საოჯახო დრო	თანატოლების ნეგატიური ზეგავლენის დაძლევის გაუმჯობესებული უნარი მოზარდებში	Lochman, 2000

წყარო: Lonczak H.S. (2020). What is positive parenting? A look at the research and benefits.

დანართი 2: პოზიტიური მშობლობის პროგრამების მაგალითები

პროგრამა	აღწერა
Parent's Circle program (Pearson & Anderson, 2001): მშობელთა წრეების პროგრამა	გაითვალისწინა რა, რომ პოზიტიური მშობლობა ადრეულ ეტაპზე იწყება, პროგრამა დაეხმარა ჩვილთა მშობლებს გაერთიანებულიყვნენ ახალშობილთა ინტენსიური მოვლის განყოფილებაში, რათა განევიტარებინათ მშობლობის უნარები და გაეუმჯობესებინათ ახალშობილების აღზრდა.
The Home Visiting Program (Ammaniti, Speranza, & Tambelli, et al., 2006): სახლში ვიზიტის პროგრამა	ასევე ახალშობილებზე ფოკუსით, პროგრამა მიზნად ისახავდა მშობელთა სენსიტიურობის გაზრდას, რათა გაეუმჯობესებინა დედა-შვილის უსაფრთხო მიჯაჭვულობა. ამ მიზნით ფსიქოლოგები აკითხავდნენ მაღალი რისკის დედებს მათ სახლებში, რათა გაეუმჯობესებინათ მშობლების მგრძნობელობა ჩვილების სიგნალების მიმართ.
The Early Head Start Home-based Program (Roggman, Boyce, & Cook, 2009): ადრეული მხარდაჭერის პროგრამა ბენეფიციარების სახლებში	პროგრამის მიზანი მშობლისა და ბავშვის უსაფრთხო მიჯაჭვულობის ჩამოყალიბების მხარდაჭერა იყო. ნახევრად სოფლად მცხოვრებ მშობლებს ყოველკვირეულად სახლში აკითხავდა ოჯახის განმანათლებელი და ასწავლიდა პოზიტიურ სტარტეგიებს, რომლებიც ხელს უწყობს მშობლისა და ბავშვის ჯანსაღ ინტერაქციას და ბავშვის აქტივობაში ჩართულობას.
American Psychological Association's ACT Raising Safe Kids (RSK) program (Knox, Burkhard, & Cromly, 2013): ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის პროგრამა „დაცული ბავშვის აღზრდა“	პროგრამის მიზანი იყო მშობლების ცოდნის და უნარების განვითარება პოზიტიური მშობლობის მიმართულებით, რაც არაძალადობრივი დისციპლინის, ბრავის მართვის, პრობლემის მოგვარების სოციალური უნარების და სხვა ტექნიკების სწავლებას მოიაზრებდა, რაც ბავშვის აგრესიისა და ძალადობისგან დაცვას ემსახურებოდა.
New Beginnings Program (Wolchik, Sandler, Weiss, & Winslow, 2007): პროგრამა „ახალი დასაწყისი“	ემპირიულ გამოცდილებაზე დაფუძნებული პროგრამა, რომელიც 10 სესიისგან შედგებოდა, პოზიტიური მშობლობის უნარების სწავლებას გულისხმობდა იმ ოჯახებისთვის, რომლებიც გაყრის ან დაცილების პირობებში იმყოფებოდნენ. მშობლები სწავლობდნენ, როგორ უნდა განავითარონ პოზიტიური და თბილი ურთიერთობა შვილებთან, გამოიყენონ ქმედითი დისციპლინა და დაიცვან ბავშვები მშობელთა დაშორებასთან დაკავშირებული კონფლიქტისგან. პროგრამის „ახალი დასაწყისი“ მიზანი რთულ დროს ბავშვში მედეგობის განვითარებაა.

პროგრამა	აღწერა
Family Bereavement Program (Sandler, Wolchik, Ayers, Tein, & Luecken, 2013): ოჯახში მძიმე დანაკლისის მართვის პროგრამა	ინტერვენცია მიზნად ისახავდა მედეგობის განვითარების ხელშეწყობას ისეთ ოჯახებში, რომლებიც ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მხარდამჭერ ჯგუფურ გარემოში 10 შეხვედრის ფარგლებში მშობლები, რომლებმაც დაკარგეს მეუღლე, სწავლობდნენ ბავშვებში მედეგობის განვითარების სხვადასხვა პრაქტიკას (მაგ. აქტიური მოსმენა, ქმედითი წესების გამოყენება, გამკლავების სტრატეგიები ბავშვისთვის, ოჯახის კავშირების გაძლიერება, საკუთარ თავზე სათანადო ზრუნვა).
The Positive Parent (Suárez, Rodríguez, & López, 2016): „პოზიტიური მშობელი“	ესპანური ონლაინ პროგრამა მიზნად ისახავდა პოზიტიური მშობლობის განვითარებას, მშობლების დახმარებას ბავშვის განვითარებისა და შვილების აღზრდის ალტერნატიული ტექნიკის შესახებ ცოდნის გაღრმავებითა და მეტად გაცნობიერებული, დამოუკიდებელი და შემოქმედებითი მიდგომების დანერგვით მშობლობის პრაქტიკაში. პროგრამა ასევე ხელს უწყობდა სხვა მშობლებთან მხარდამჭერი კავშირების ჩამოყალიბებას და მშობლობის საკუთარი გამოცდილებით თავდაჯერებისა და კომპეტენციის ზრდას.
Healthy Families Alaska Programs (Calderaa, Burrellb, & Rodriguez, 2007): პროგრამა „ჯანსაღი ოჯახები“	ალასკაში ბინაზე ვიზიტის აღნიშნული პროგრამის მიზანი პოზიტიური მშობლობის და ბავშვის ჯანსაღი განვითარების ხელშეწყობა იყო. პარაპროფესიონალები მუშაობდნენ მშობლებთან პოზიტიური მშობლობის დამოკიდებულებების, ბავშვსა და მშობელს შორის ინტერაქციის, ბავშვის განვითარების შესახებ ცოდნის და ოჯახური გარემოს ხარისხის გაუმჯობესებაზე.
The Strengthening Families Program (Kumpfer & Alvarado, 1998): ოჯახების გაძლიერების პროგრამა	პირველადი პრევენციის პროგრამა ფართოდ გამოიყენებოდა მშობლებისთვის პოზიტიური მშობლობის სხვადასხვა პრაქტიკის სწავლებისთვის. ოჯახის სისტემების და კოგნიტურ-ბიჰევიორალური ფილოსოფიის შესაბამისად, პროგრამა ასწავლიდა მშობლობის ისეთ უნარებს, როგორიცაა ბავშვებთან პოზიტიურ ინტერაქციაში ჩართულობა, პოზიტიური კომუნიკაცია, ქმედითი დისციპლინა, დადებითი ქცევის განმტკიცება და ოჯახური თავშეყრის გამოყენება ორგანიზების ხელშესაწყობად. პროგრამის ზოგადი მიზანი იყო ბავშვის და ოჯახის დაცულობის ფაქტორების გაძლიერება, ბავშვებში მედეგობის, სოციალური და ცხოვრებისეული უნარების განვითარება.

პროგრამა	აღწერა
Incredible Years Program (Webster-Stratton & Reid, 2013): პროგრამა „დაუჯერებელი წლები“	ეს არის მასშტაბურად განხორციელებული და შეფასებული ჯგუფური ინტერვენცია, რომელიც მიზნად ისახავდა ბავშვებში ემოციური პრობლემების და აგრესიის შემცირებას, მათი სოციალური და ემოციური კომპეტენციის გაუმჯობესებას. მშობელთა ჯგუფები 12-20 კვირის განმავლობაში ყოველკვირეულად მონაწილეობდნენ ჯგუფურ სესიებში, რომლებიც მიზნად ისახავდა ურთიერთობების განვითარებას, პოზიტიური დისციპლინის გამოყენებას, სკოლისთვის მზაობისა და აკადემიური უნარ-ჩვევების გაღრმავებას, ქცევის პრობლემების შემცირებასა და ბავშვების ჯანმრთელი ფსიქოსოციალური განვითარების სხვა ასპექტების გაუმჯობესებას. პროგრამა ასევე გამოიყენებოდა ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიულობის სინდრომის (ADHD) მქონე ბავშვებისთვის.
Evidence-based Positive Parenting Programs Implemented in Spain (Ministers of the Council of Europe, in Rodrigo et al., 2012): ესპანეთში განხორციელებული მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოზიტიური მშობლობის პროგრამები	ფსიქოსოციალური ინტერვენციის სპეციალურ გამოცემაში წარმოდგენილია ესპანეთის მასშტაბით განხორციელებული პოზიტიური მშობლობის პროგრამების მრავალი თვისებრივი კვლევა. ეს არის ჯგუფური, სახლებსა და ონლაინ ფორმატით ჩატარებული პროგრამები, რომელთაგან თითოეული მიზნად ისახავს პოზიტიური მშობლობის მხარდაჭერის სერვისებს. გამოცემა გვანვდის ინფორმატიულ რესურსს იმის გასაანალიზებლად, თუ ოჯახის დახმარების სერვისებით მოსარგებლე ოჯახებიდან რომელი მშობლები იღებენ განსაკუთრებულ სარგებელს სხვადასხვა ტიპის მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროგრამებით, რომლებიც მიმართულია პოზიტიური მშობლობის განვითარებისკენ.
Triple P Positive Parenting Program (Sanders, 2008): „სამი P“ - პოზიტიური მშობლობის პროგრამა“	ეს პროგრამა უაღრესად კომპლექსური აღმზრდელობითი პროგრამაა, რომლის მიზანია, მაღალი რისკის მქონე ბავშვების მშობლებს განუვითაროს ცოდნა, საკუთარი თავის რწმენა და უნარები, რომლებიც საჭიროა მათი შვილების ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისა და ადაპტაციისთვის. პროგრამები მრავალმხრივია, თუმცა „სამი P“ პროგრამების ძირითადი აქცენტი ბავშვების თვითრეგულირების გაუმჯობესებაა.

პროგრამა	აღწერა
